საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლალი ოსანაძე

სიმონ ჩიქოვანის ლირიკის ძირითადი ტენდენციები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლელა კუკულაძე -ასოც. პროფ.

აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

უაღრესად ორიგინალური ხელწერის შემოქმედი სიმონ ჩიქოვანი განსაკუთრებით საინტერსო მოვლენაა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ცის კიდობანზე. მისი შემოქმედება ყურადღებას იპყრობს დაუცხრომელი და გაბედული ძიებებით როგორც მხატვრული შინაარსის, ისე პოეტური აზროვნების სფეროში. მას დიდი დამსახურება მიუძღვის თანამედროვე ქართული ლირიკის მხატვრული შინაარსის გამდიდრებაში.

სიმონ ჩიქოვანის ლირიკის მხატვრული მხარე რთული და მრავალფეროვანია. მან ქართული ლექსის პოეტური კულტურა კიდევ უფრო დახვეწა, გააღრმავა და გააგრძელა კლასიკური ლირიკის აღმავალი ტრადიციული ხაზი. ამავდროულად მხატვრული გარდასახვის გზით საქართველოს სახვადასხვა კუთხის საინტერესო ფერწერული სურათები შექმნა; გააცოცხლა საქართველოს ისტორიის ესა თუ ის პერიოდი; გვიჩვენა სამშობლოს მსახურებისა და ერთგულების მაგალითი; გაგვანდო საკუთარი გრძნობა და ფიქრი. სწორედ ამ საკითხთა ანალიზს მოიაზრებს ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი.

Annotation

Highly original handwriting creator Simon Chikovani is a particularly interesting phenomenon on the arc of the 20th century Georgian poetry. His creations draw attention to the tireless and bold searches in the field of artistic content and poetic thinking. He has great merit in enrichment of the artistic content of the contemporary Georgian lyric.

Simon Chikovani's lyrical artistic side is complex and varied. He has further improved, deepened Poetry culture of Georgian poem and continued the traditional line of classical lyric. At the same time he created interesting pictorial pictures of different regions of Georgia through artistic transformation; Revived the different periods of Georgian history; Showed us the example of serving the homeland and faithfulness. Revealed his own sense and thinking.

The analysis of these issues is considered by our master's thesis.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ---------- 5

I საკითხის კვლევის ისტორიისათვის ---------- 7

II ფუტურიზმი, როგორც ლიტერატურული მეთოდი და ---------- 21
სიმონ ჩიქოვანი

III ეროვნული მოტივი სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში

§ 1. სამშობლოს სიყვარულის პოეტური გარდასახვა ---------- 35

§ 2. ისტორიული წარსულის პოეტური ხატება ---------- 47

§ 3. „განჯის დღიურები“ - დიდი შემოქმედის ცხოვრების პოეტური ქრონიკა ----- 58

§ 4. სიმონ ჩიქოვანის ომისდროინდელი ლირიკა ---------- 65

§ 5. საქართველოს კუთხეთა პოეტური ასახვა ----------68

IV სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკა ----------78

V მხატვრული ოსტატობის ზოგიერთი საკითხი ს. ჩიქოვანის ლირიკაში -85

aძირითადი დასკვნები ---------- 95

გამოყენებული ლიტარატურა ---------- 99

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით საგულისხმო წვლილი შეიტანა დახვეწილი პოეტური ხელწერის შემოქმედმა სიმონ ჩიქოვანმა. მისი პოეზია სწორხაზობრივი გაღრმავებაა ქართული ლექსის განვითარების კლასიკური ტრადიციებისა. პოეტის შემოქმედება ყურადღებას იქცევს როგორც შინაასობრივი სამყაროს მრავალფეროვნებითა და პრობლემატურობით, ასევე პოეტური ოსტატობის თვალსაზრისითაც. მართალია, ბოლო ხანს მიმდინარე შეხებულებათა გადაფასების პროცესმა რამდენადმე დააცხრო და გაანელა მისი პოეზიისადმი ადრინდელი ინტერესი, მაგრამ, მისი პოეტური ნაკალმევი კვლავაც რჩება ეროვნული მწერლობის ძალუმ შენაკადად. მართებულად შენიშნავს მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „სიმონ ჩიქოვანმა, როგორც პოეტმა, მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მეოცე საუკუნის ჩვენს ლიტერატურაში ახალი ტენდენციების დამკვიდრებასა და შემდგომ გაღრმავებას. თანამედროვე ქართული პოეზიისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი არაერთი მხატვრული სიახლე სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მის შემოქმედებასთან (ნიკოლეიშვილი,2002:397).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოეტის ავანგარდისტული ძიებანი, რიტმულ-ვერსიფიკაციული სიახლენი, პოეტური ციკლის, როგორც სტრუქტურის გამდიდრება ახალი ნიშან-თვისებებით და ა. შ. სიმონ ჩიქოვანის პოეტური მანერა, მისი ლექსის ინტონაციური ჟღერადობა და თავისებური მხატვრული ქსოვილი, უაღრესად თვითმყოფადი და ორიგინალური ნიშნებით გამოირჩევა. ამავდროულად ხასიათდება

თემატური მრავალფეროვნებით, განსაკუთრებით მრავლად უწერია სამშობლოზე, მის საამაყო წარსულსა და თვალწარმტაც ბუნებაზე. დიდი სითბოთი ხატავს პოეტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, წარმოაჩენს მათ კოლორიტს, მათი მშვენიერების წარმოსაჩენად კი იყენებს ნაირგვარ ფერთა პალიტრას. ჩვენი სამაგისტრო **თემის მიზნად** სწორედ ამ საკითხთა შეძლებისდაგვარად საფუძვლიანი განხილვა დავისახეთ

თემა ნაკვლევია **ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.**

თემის აქტუალობა განისაზღვრება სიმონ ჩიქოვანის პოეზიისათვის ნიშანდობლივი განსხვავებული ხელწერითა და მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის სრულყოფის საქმეში შეტანილი უდიდესი წვლილით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებით და პოეტის ეროვნული თვითშეგნებისა და შემოქმედებითი ხელწერის თავისებურებათა წარმოჩენით.

თავი I

საკითხის კვლევის ისტორიისათვის

სიმონ ჩიქოვანი დაიბადა 1901 წლის 24 აპრილს აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში. პოეტს დედა დაბადების წელსვე გარდაეცვალა. მამა - ივანე ჩიქოვანი განათლებული კაცი იყო. მისი ოცნება ყოფილა , შვილი სამთო ინჟინერი გამოსულიყო (იხ. ლექსი ,,მამის ოცნება'') , მაგრამ სულში ჩამარხულმა პოეტურმა მადლმა სულ სხვაგვარად წარმართა მისი ცხოვრება. ნაადრევად დაობლებული პოეტის აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ბებიამ და ძიძამ. ბავშვობის წლები მან ძირითადად მეზობელ სოფელ ტყვირში გაატარა, ბებიასთან, რომელიც კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას და გატაცებით ესაუბრებოდა შვილიშვილს მის შესახებ. თავის პოეტურ გატაცებას სიმონ ჩიქოვანი, უპირველეს ყოვლისა, უახლოეს წინაპართა ლიტერატურულ ინტერესებს უკავშირებდა. ,,ჩემი გვარეულობა, - წერდა ერთგან იგი, -ცნობილი იყო ოჯახური პოეტებით - ბევრი ჩემი წინაპართაგანი და ნათესავთაგანი ლექსად აწარმოებდა მიწერ-მოწერას და მე ვფიქრობ, რომ პოეზიისადმი მიდრეკილება ჩამესახა ბავშვობაში, საკუთარ ოჯახში''.

ტყვირში გატარებული ბავშვობის მოგონებანი ასევე განუყოფელად დაუკავშირდა ძიძას, რომელიც უსაზღვროდ ჰყვარებია პოეტს. ამიტომაც აღიბეჭდა მის ცნობიერებაში ძიძის სიკვდილი ძალზე მტკივნეულად, რამაც სათანადო პოეტური ასახვა ჰპოვა მისადმი მიძღვნილ ლექსში - ,,ძიძის საფლავი'':

ტყვირის ტაძართან შეშინდა ძიძა.

შეშფოთდა, როგორც სამრეკლოს მტრედი,

შინ დაზაფრული მიმწუხრზე მიწვა

და ვერ იცოცხლა სამი დღის მეტი.

სამარე ჩრდილში გათხარეს წესით,

ზვინთან ეკიდა მანდილი ფიწალს,

ჭადარმა ნაზად გაშალა ფესვი

და მოახვია საფლავში ძიძას.

(ჩიქოვანი, 1963:145)

კიდევ უფრო ტრაგიკულად განიცადა სიმონ ჩიქოვანმა დის ნაადრევი გარდაცვალება, რასაც არაერთი ლექსი მიუძღვნა. ყოველივე ეს, ოჯახურ ხელმოკლეობასთან ერთად, ფრთებს აკვეცდა და თრგუნავდა მომავალი პოეტის ბავშვურ სილაღეს. ამიტომაცაა, რომ ბავშვობის დროინდელ მოგონებებს მის შემოქმედებაში ხშირად ახლავს ხოლმე მართალი ადამიანური სევდა და თავისებური სამდურავი წუთისოფლისადმი: ,,სად დავიბადე, უნდო ბედმა რა გამატანა, სული მწყურვალი დ მათარა ძლიერ პატარა''. ამ ,,მწყურვალი სულით'' დაიწყო მან სწავლა ჯერ თავის სოფელში, შემდეგ კი, 1914 წელს, ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. 1917 წელს ს. ჩიქოვანს მამაც გარდაეცვალა, მაგრამ, მძიმე მატერიალური პირობების მიუხედავად , ის სწავლას მაინც განაგრძობს და 1921წელს, რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდგომ, თბილისის უნივერსიტეტში შედის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად იგი მუშაობდა წითელი არმიის ქართული ნაწილების პოლიტგანყოფილებაში, გაზეთის რედაქციასა და კლუბში. 1924 წლიდან კი პოეტი მუშაობას იწყებს ახლადდაარსებული ჟურნალის - ,,მნათობის'' რედაქციაში.

1922 წელს თბილისში შიქმნა ახალგაზრდა ფუტურისტთა ჯგუფი. 23 აპრილს თბილისის კონსერვატორიის შენობაში პირველი ფუტურისტული ლიტერატურული საღამო გამართეს, იმავე წლის 6-7 მაისს კი თანამოაზრეებთან ერთად, ს. ჩიქოვანმა

გამოსცა ქართული ფუტურიზმის პირველი საპროგრამო მანიფესტი - ,,საქართველო - ფენიქსი''. 1924-28 წლებში კი მისი აქტიური თანამონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოვიდა ქართველი ავანგარდისტი მწერლების პერიოდული ორგანოები: ,,H2SO4", ,, ლიტერატურა და სხვა '' , ,,დროული '' და ,,მემარცხენეობა''.

1928 წლიდან, ფუტურისტების ლიტერატურული ჯგუფის დაშლის დროიდან , ს. ჩიქოვანი ენერგიულად ებმება საქართველოს მწერალთა კავშირის საქმიანობაში და გარდაცვალებამდე მისი ხელმძღვანელი ორგანოების უცვლელი წევრი ხდება. 1932 წლიდან იგი ინიშნება გამომცემლობა ,,საბჭოთა მწერლის'' მთავარ რედაქტორად. 1944-51 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავჯდომარედ. 1954-60 წლებში რედქტორობდა ჟურნალ ,,მნათობს".

ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ს. ჩიქოვანი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და პრემიებით. მათგან, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიყოს საკავშირო სახელმწიფო პრემია, რომელიც 1947 წელს მიენიჭა პოემისათვის ,,სიმღერა დავით გურამიშვილზე'' და ლექსებისათვის: ,,ვინა სთქვა", ,,ქართლის საღამოები'', ,,გამარჯვების ზეიმი''.

სიმონ ჩიქოვანი იყო ახალგაზრდა მწერალთა გზის გამკვალავი და აქტიური თანამდგომი. მისი ხელშეწყობითა და უშუალო მზრუნველობით არაერთი ნიჭიერი შემოქმედი გამოვიდა დიდ ლიტერატურულ ასპარეზზე. პოეტის მეგობარი, რ. ჯაფარიძე იგონებს: „სიმონი ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა პოეტებისა და ბელეტრისტების მუშაობას. მაშინაც კი, როცა თვალში სინათლე აღარ ჰქონდა, სათაყვანებელი მეგობრის - ქალბატონ მარიკას დახმარებით ის ხარბად ეწაფოდა ყოველ ახალ სტრიქონს და სიახლის გამუდმებული ძიება იყო მისი ძნელი სიცოცხლის აზრი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიმონის ფრთებქვეშ დავაუკაცდნენ ჩვენი ნიჭიერი პოეტები, პროზაიკოსები და კრიტიკოსები ახალი თაობისა. საკმარისია დავასახელო არჩილ სულაკაური და ოთარ ჩხეიძე, გურამ ასათიანი და გიორგი მარგველაშვილი , აგრეთვე სხვები და სხვები, რათა ნათელი გახდეს, რა მახვილი თვალისა და მხურვალე

გულის პატრონი იყო სიმონ ჩიქოვანი, რომელიც უტყუარი ალღოთი გრძნობდა ტალანტის დაბადებას და შემდეგ გამოცდილი მებაღის რუდუნებით უწყობდა ხელს მის გაფურჩქვნას. მან კარგად იცოდა, რომ ერთი ტალანტი მეორეს ხელს არ უშლის , პირიქით! ქვეყანა ვრცელია. იგი ტალანტების უსასრულო რაოდენობას დაიტევს(ჯაფარიძე, 1970:324).

იგი იყო არამარტო შესანიშნავი პოეტი, არამედ ღრმად ერუდირებული ლიტერატორიც. მისი წერილები და ესეები გვხიბლავენ შეხედულებათა ორიგინალობით, აზროვნების სიღრმითა და მასშტაბურობით, დახვეწილი გემოვნებითა და მაღალი პროფესიონალიზმით. რევაზ ჯაფარიძე იგონებს: „სიმონი მხატვრული აღმოჩენების ამოულეველი ზღვა იყო და მის თითოეულ სიტყვას ღრმა ლოგიკურ თანამიმდევრობასთან ერთად დიდი სიახლე და მოულოდნელობა ახასიათებდა. ის განცვიფრებდა თავისი გონების ელვარებით და ამავე დროს ისეთ რამეს გიმხელდა, რაც სავსებით ბუნებრივი და, ერთის შეხედვით, ადვილი მისაწვდომი იყო. მის მიერ წაკითხული ნაწარმოები, შენი თუ სხვისა, ახალ შუქში ხვდებოდა და სულ სხვაგვარად განათებული ნაცნობ, მაგრამ მაინც გაუცხოვებულ სამყაროდ აღიქმებოდა.

ეს ფენომენალური მეხსიერების მქონე ადამიანი, შეუდარებელი მცოდნე ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებისა, გაფაციცებული ინტერესითა და შინაგანი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს, თუ რა ხდებოდა თანამედროვე ლიტერატურაში.

სიმონ ჩიქოვანის ცხოვრება იყო მაგალითი მრავალმხრივი სულიერი ინტერესებით ცხოვრებისა და ამ მრავალმხრივ ინტერესებში უმთავრესი და უსათუოესი ადგილი ყოველთვის მშობლიური ლიტერატურისა და მშობელი ხალხის ინტერესებს ეკავა“ (ჯაფარიძე, 1970:323-324).

ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს ს. ჩიქოვანის ახლო მეგობრული ურთიერთობა სხვადასხვა ეროვნების მწერლებთან - რუსებთან, უკრაინელებთან, სომხებთან... მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ ყოფილ საბჭოთა კავშირში საქვეყნოდ

პატივცემული და აღიარებული ისეთი მწერლები, როგორიც არიან: ვლ. მაიაკოვსკი, ნ. ტიხონოვი, ბ. პასტერნაკი, ნ. ზაბოლოცკი, მ.ბაჟანი, მ.რილსკი, ყ.ყულიევი... ამ მეგობრულმა ურთიერთობამ ბევრი სიკეთე მოუტანა ჩვენს მწერლობას. გარდა იმისა, რომ ს. ჩიქოვანმა მაღალოსტატური თარგმანებით გაამდიდრა ეროვნული ლიტერატურა, მისი აქტიური მზრუნველობითა და თანამონაწილეობით კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობის არაერთი შესანიშნავი ნიმუში ითარგმნა უცხო ენებზე. ტრაგიკული გამოდგა ს. ჩიქოვანის სიცოცხლის ბოლო წლები. დიაბეტით დაავადებულმა პოეტმა თვალის ჩინი დაჰკარგა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მისი შემოქმედებითი შთაგონება კი არ დაიშრიტა, არამედ, პირიქით, პოეტური სიმწიფის ახალ სტადიაში შევიდა. ამისი დადასტურებაა ის შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებიც სწორედ ამ პერიოდში შექმნა პოეტმა.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმონ ჩიქოვანი კლასიკური და თანამედროვე მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნეა ჩვენს მწერლობაში. იგი შეყვარებული იყო ფერწერაზე. თამაზ ჩხენკელი იგონებს: „მახსოვს ოთახში ლარნაკზე მიყუდებული იმპრესიონისტების სურათი ელაგა, - რეპროდუქციები. როგორც ჩანს, რიგრიგობით ცვლიდა მათ და ისე უჭვრეტდა. არ გამკვირვებია. არჩილ სულაკაურისაგან ვიცოდი, რომ საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი იმპრესიონისტული ფერწერა. აღმოსავლურ პოეზიაზე ვილაპარაკეთ. დიდი აზრისა არ იყო თანამედროვე აზიელ პოეტებზე, და საეთოდ, როგორც შევნიშნე, აღმოსავლური კულტური არ აინტერესებდა. შევეკამათე და აქ ჩემი გაოცება იმან გამოიწვია, რომ ბატონი სიმონი ყურადღებით მისმენდა. შიგადაშიგ ჩაურთავდა მხოლოდ რაღაცნაირი ინტონაციით: აჰა, ასეა ვითომ? .. მართლა?.. ას ფიქრობ?.. ეს ცოცხალი ინტერესი იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ავღელდი და საკმაოზე მეტი ვილაპარაკე. მკითხა, რას კითხულობო. ჰამსუნის, მისტერიებს'' - მეთქი. ამის გაგონებაზე ბიჭურად შესძახა: აჰ, რა არის მინუტა! და იქვე რამდენიმე ისეთი დეტალი გაიხსენა, თითქოს გუშინ წაეკითხა ეს წიგნი. მასთან სრულიად ვერ ვგრძნობდი ასაკობრივ განსხვავებას... -ის მომიყევი, ის! - მითხრა ერთხელ ,,მნათობის'' რედაქციაში. ვიღაცას

ეთქვა ჩემი გაოგნებული შთაბეჭდილება, როცა საქმეზე მივედი ერთ ცნობილ ლიტერატორთან, რომელმაც გაუგონარი ტრაბახით გამაოცა,. სიცილით ვუთხარი: საიდან გაიგე-მეთქი და მერე ,,ულტიმატუმი'' წავუყენე: გეტყვით, თუ არავისთან გამამხელთ. -აჰ, ვერ მოგცემ მაგის პირობასო,- გულიანად იცინოდა. არაჩვეულებრივი სიცილი იცოდა . მაგრამ ასათიანს ვუთხარი ერთხელ (მანქანით მივდიოდით სადღაც), თუ დაკვირვებიხარ, რანაირად იცინის-მეთქი სიმონი! გურამს გაეხარდა: შენიშნეო? და იქვე განმარტა: ორნაირი სიცილი აქვსო: ერთი, როცა გულწრფელად არის გახარებული და მეორე, თუ ,,გამოიჭირე'' რამეში - თავის გამამტყუნებელიო!.. ჰა, ჰა, ჰა, - ვიცინოდით ჩვენც...

სიმონ ჩიქოვანის უკანასკნელ შემოდგომაზე ნაშუადღევს, ვერის ბაზართან გურამ კანკავას და გურამ გვერდწითელს შევხვდი. - რა ვქნათ?.. წავიდეთ სიმონთან - შევთავაზე მე. ვიყიდეთ ბაზარში ჭრელი ,,კვახი'' (მეტი ფული არა გვქონდა) და ვეწვიეთ ბატომ სიმონს. შინ დაგვიხვდა ქალბატონი მარიკა და ნიკა. ჩვეულებრივი საუბარი. მერე სუფრა გაიშალა. სიმონი ისვენებსო, გვითხრეს და სუფრას ჩვენ შემოვუსხედით. ღვინოს ვსვამდით ორძირიანი ბროლის მწვანე, მრგვალი ჭიქებით. რატომღაც კარგად დამამახსოვრდა ეს. კარგა ხანს ვისხედით. ჩვენი მიზანი ბატონი სიმონის ნახვა იყო და ბოლოს ისიც გამოჩნდა. მე შემზარა მისმა დანახვამ: ეს იყო კაცი, რომლის სახეს სიკვდილის ნიღაბი ჰქონდა აფარებული. დიდი ხანია არ მენახა. ვიცოდი, რომ ვერ იყო კარგად, მაგრამ ამას არ მოველოდი. სიმონ ჩიქოვანი თვალხილულივით მიუჯდა სუფრას. ყველას ზუსტად მოგვმართავდა, იმდენად რომ, ეჭვიც კი შემეპარა: ნუთუ მართლა ვერ გვხედავს-მეთქი. საუბარი ჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარიმართა, მერე ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. მეტიც, ცხოველი სჯა-ბაასი გაიმართა (ეს იყო სიმონ ჩიქოვანის სტიქია!). პირისპირ ვუყურებდი ამ დაბრმავებული პოეტის სიკვდილმორეულ სახეს, მის სახეზე აფარებულ სიკვდილის ნიღაბს. ეს ნიღაბი ნელ-ნელა ლღვებოდა. მისი გამომეტყველება თანდათან იძენდა ცოცხალ და ბუნებრივ იერს. ჩვენ ვანიშნეთ ქალბატონ მარიკას და წმოდგომა დავაპირეთ, მაგრამ არ გაგვიშვა: ცოდვაა ასეთი კარგი საღამოს დამთავრებაო... ასე შემოგვაღამდა. მე

ახლაც ხშირად მაგონდება სიმონ ჩიქოვანის სახე, სიკვდილის ნიღბით მოსილი პოეტის სახე. ამ ნიღაბს მხოლოდ მისი ლექსების თბილი ზღვაური ალღობს(ჩხენკელი, 2009:)

გურამ ასათიანიც იხსენებს: „თუ მასთან (სიმონ ჩიქოვანთან) რამდენიმეჯერ მოგიხდათ საუბარი, ადვილად შეამჩნევთ, რომ იგი განსაკუთრებით ახალი დროის ფრანგი მხატვრებისა და მათი მიმდევრების შემოქმედებით არის დაინტერესებული(ასათიანი, 1983:200).

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პოეტი გააფთრებით ებრძოდა სიბრმავეს, დიდხანს სამუდამოდ დაკარგა თვალის სინათლე. სიმონ ჩიქოვანი გარდაიცვალა 1966 წლის 22 აპრილს. იგი დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

1940 წელს ს. ჩიქოვანმა შექმნა ლექსების ციკლი - ,,შინიდან გაველ სამშობლოს გზებზე'', რომელშიც მაღარმხატვრულად აისახა მისი ბიოგრაფიის დრამატული ეპიზოდები. ეს ციკლი არის აღსარება თავის თავთან თუ რწმენასთან განმარტოებული შემოქმედისა. იგი მოიცავს რომენტიკულ ფერებში გადატანილ ბავშვობისა და სიყრმისდროინდელ მოგონებებს. პოეტის შემოქმედებითი ბუნების გასათვალისწინებლად მას, უდავოდ, დიდი ყურადღება ენიჭება.

ჩვენი ბავშვობის დღეები მშვიდი,
მიმზიდველი და ჩვილნი ესოდენ,
მოგონებები,რომლებსაც ვზრდიდით,
ან ჩვენთან ერთდ რომ იზრდებოდნენ,
ვით ვაშლის ხე და ფოთოლი ლეღვის,
ან აცვენილი სკიდან ფუტკარი,
ჩემთან დარჩნენ და მიპყრობენ ღელვით
და მეც პასუხი ვერვის ვუთხარი!

(ჩიქოვანი, ,,შინიდან გაველ სამშობლოს გზებზე“,1963:120)

როგორც ცნობილია, სიმონ ჩიქოვანის პოეზია ქართული მოდერნიზმის წიაღში აღმოცენდა. მაგრამ აღსანიშნავია. რომ მისი შემოქმედების მთავარ პათოსს იმთავითვე დეკადენტური პოეტიკის დაძლევა და უარყოდა წარმოადგენდა. ამ ტენდენციამ, რომელიც ადრე არსებითად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, თანდათან პრინციპული მსოფლმხედველობრივი და შემოქმედებითი მიმათულება მიიღო. მკვლევარ გურამ ასათიანის შეფასებით, „სიმონ ჩიქოვანის მიერ შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში შექმნილი საუკეთესო ლექსები განეკუთვნებიათ ახალი დროის ქართული ლირიკის იმ შედარებით მცირერიცხოვან ნაწარმოებთა რიგს, რომლებშიც თავის მაღალი პოეტური გამოხატულება პოვა თანამედროვე ადამიანის არა მხოლოდ ემოციურმა სამყარომ, არამედ მისმა მრავალმხრივმა ინტელექტუალურმა ინტერესებმაც“(ასათიანი, 1983:199).

ეს მკაფიოდ გამოვლენილი ინტელექტუალიზმი, რომელიც პოეტის შემოქმედებითი ბუნების დამახასიათებელი თვისებაა, არამც და არამც არ აუქმებს მის პოეზიაში ემოციური სიმძაფრისა და დრამატიზმის ელემენტს. პირიქით, სიმონ ჩიქოვანის პოეტური სამყარო აღბეჭდილია ჭეშმარიტად დრამატული, დაუშოშმინებელი, პათეტიკური სულით. იდეის და ემოციის, ნაფიქრისა და განცდილის ერთიანობა განსაკუთრებულ ელფერს აძლევს მისი ლირიკის მხატვრულ შინაარს. როგორც გურამ ასათიანი აღნიშნავს: „სიმონ ჩიქოვანის ლექსი ჩვეულებრივ ჭარბად არის დატვირთული რეალური, ნივთიერი სამყაროს ცოცხალი საგნებითა და საღებავებით. მისი სტრიქონი, როგორც ვაზის ჭიგო მწიფობის თვეში, დახუნძლულია მძიმე მტევნებივით სისხლავსე და მჭიდროდ ასხმული სახეებით, რომლებიც პოეტურად განსაგნებული ფიქრისა და სულიერი წვის ნაყოფს წარმოადგენენ. აქ გასათვალისწინებელია პოეტის თავისებური მხატვრული კონცეფციაც, კერძოდ, მისთვის დამახასიათებელი პოეტური შემოქმედების შინაგანი არსისა და მნიშვნელობის გაგება“(ასათიანი,1983:2003).

რთული და ორიგინალურია სიმონ ჩიქოვანის ცხოვრების გზა, მოქალაქეობრივი და პოეტური ბიოგრაფია. სულიერი ცხოვრების ეს თავისებურება ქმნის მის მხატვრულ

ინდივიდუალობას და უკუფენილია მთელ რიგ ლირიკულ ლექსებში. აქ ღრმად არის განცდილი პოეტის პირადი ცხოვრების მრავალი მომენტი (არველაძე, 1966:43).

სიმონ ჩიქოვანი ეკუთვნის იმ თანამედროვე პოეტთა რიგს, რომელთა სახელთან დაკავშირებულია, კერძოდ, ე.წ. ,,წმინდა ლირიკის'' ვიწრო ჩარჩოების გარღვევა და ქართული პოეზიის გამდიდრება ეპიკური ხასიათის მოტივებითა და სახეებით. მისი სტრიქონი ცოცხალი ნერვივით ფეთქავს, (,,კვერცხის ცილივით სტრიქონი მითრთის''). მისი ლექსის რიტმი დიდი სიზუსტით გადმოსცემს იმ დაუშოშმინებულ სულისკვეთებას, რომლითაც მთელი მისი პოეტური სამყარო არის აღბეჭდილი.

სიმონ ჩიქოვანის პოეტური სტილის ძირითადი ნიშან-თვისებანი მოვლენათა ხედვის ახლებური კუთხე, ცნობილი საგნებისა და მოვლენების მწერლისეული გააზრება, ქვეტექსტის სიღრმე და თავშეკავებული ვნების შინაგანი ექსპრესიულობა, გარე სამყაროს მსუყე პლასტიკური ფერებით ხატვის უნარი - თავიდანვე ჩამოყალიბდა და შემდგომ თანდათან დაიხვეწა. ამის ერთ-ერთი მაგალითია უსათაურო ლექსი, რომელიც 1927 წლით თარიღდება:

მინდა დავკრიფო მწიფე მტევნები,
მაჭრით ავავსო ბროლის ჭიქები.
მწუხრზე სიცოცხლეს დავედევნები
და ღამე სიკვდილს დავეჭიდები.
გულს უნდა დიდხანს გამოზოგება,
თუმცა მძიმეა ჩემი ჭაპანი,
სიცოცხლე არის ნიშნის მოგება,
კერის კვამლი და მოკლე ზღაპარი.
თვალმა თუ ხარბად წყალი დალია.
თბილად დაგხვდება ჩუმი ლოგინი,
ცხოვრება ხშირად ნატვრის თვალია,
ამინდის ცვლა და წვიმის ლოდინი.

(ჩიქოვანი,1963:45)

სიმონ ჩიქოვანის საუკეთესო პოეტური ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია მძაფრი შინაგანი რეფლექსიის ნიშნები, რომლებიც პოეტს ქართული კლასიკური მწერლობის გარკვეულ ტრადიციებთან აახლოვებენ. კერძოდ, სიმონ ჩიქოვანს ვაჟა-ფშაველას ტრადიციებთან განსაკუთრებით აკავშირებს ბუნების ,,უთვალავ ფერთა'' მძაფრი განცდა და ,,ყოფითი'', სინამდვილიდან ცოცხლად აღებული სახეებით გატაცება. ეს არცაა გასაკვირი. ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველამ, საერთოდ, ღრმა და უაღრესად კეთილისმყოფელი ზემოქმედება მოახდინა ქართველი პოეტების შემოქმედებაზე არა მხოლოდ თავისი პოეზიის კონკრეტული სახეებითა და მოტივებით, არამედ სინამდვილისადმი მხატვრული დამოკიდებულების ძირითადი თავისებურებითაც. დიდ შემოქმედებით წინაპართან ამგვარ სიახლოვეს თავად გრძნობდა სიმონ ჩიქოვანი. სწორედ ამიტომ აკავშირებდა საკუთარ პოეზიას ვაჟასა და დავით გურამიშვილის უკვდავ შემოქმედებასთან:

გურამიშვილის და ვაჟას ფერი,
მათი მომდევნო მე ვარ მესამე.
წმინდა სახმილით ვიტანჯე ბევრი
და შთაგონებით ბევრჯერ ვეწამე.
როგორც რქას სტოვებს მთაში ირემი,
ისე დავტოვე ნაკვესი ნიჭის.
ეგებ ეს არის ღალა მცირედი
და სულის სანთლის ანთება მიჭირს.
მე ყურში მესმის: დანას ლესავენ,
ნუთუ მომკლავენ, შენი კვნესამე!
გადმომაყარეთ ვაჟას კესანე,
ჭირში და ლხინში მე ვარ მესამე!
ეგებ საფლავში ფესვივით გავთბე,

ნუ დამივიწყებთ თქვენზე მინდობილს.

მე წმინდანივით სიცოცხლე დავთმე,

მალე მოვკვდები, ძმებო, მშვიდობით!

(ჩიქოვანი, „გურამიშვილის და ვაჟას ფერი“, 1963:323)

სიმონ ჩიქოვანი რამდენიმე წიგნისა და ლიტერატურული წერილების ავტორა. ,,რუსთაველი'', ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი'', ,,ტიციან ტაბიძე'', ,,ვასილ ბარნოვი'' და მისი სხვა მრავალი გამოკვლევა აშკარად ლაპარაკობს სიმონ ჩიქოვანის დიდ ერუდიციაზე, მის მაღალ ლიტერატურულ გემოვნებასა და თავისებურებაზე.

გურამ ასათინის მოგონებით, „სიმონ ჩიქოვანმა ბრწყინვალედ იცოდა კლასიკური და ახალი დროის მწერლობა, სახვითი ხელოვნება, განსაკუთრებით ფერწერა, მსჯელობისას ხშირად მიმართავდა პარალელებს ევროპულ და რუსულ ლიტერატურასთან. ეს იყო ზოგჯერ მოულოდნელი პარალელები, მაგრამ ყოველთვის კანონზომიერი, და თუ წყაროს არამედ თითქოს ყოველდღიური, საშინაო, განუყრელი ფიქრისა და დაკვირვების საგანს“ (ასათიანი, 1983:212).

განსაკუთრებით ყვარებია აკაკი წერეთელი და მისი უკვდავი სტრიქონები:

ერთი წუთიც კი სიცოცხლის

თუ სინათლის მომფენია,

უსინათლოს და უგრძნობელს

საუკუნეს მირჩევნია.

დიდი და ჭეშმარიტი პოეზია მუდამ იყო და არის მძაფრი სულიერი მღელვარებისა და ჭიდილის, ახალი სახეებისა და ფერების ძიებისათვის დაუცხრომელი ბრძოლის შეუნელებელი შინაგანი წვის შედეგი. სწორედ ამ იდეითაა ნასაზრდოები ს. ჩიქოვანის მეტად საგულისხმო ლექსი ,,იჭვი''. პოეტის აზრით, შემოქმედმა მხოლოდ მაშინ უნდა გადასცეს ქაღალდს თავისი ჩანაფიქრი, როდესაც სინამდვილიდან აღებულ მასალას გრძნობისა და გონების ბრძმედში გამოაწრთობს და კონკრეტულ-მხატვრულ სახეებში გაიაზრებს:

დიდი პოეტის თვისება არი-
გრძნობას სიფრთხილით გაუღოს კარი,
თუ გაუღენთილი არ არის ქნარი,
არ შეაშფოთოს მთვლემარე ლარი.
არ დააყოვნოს დაშვება ღუზის,
ნაწვიმარ სულში დაწრიტოს ღვარი
და მიმოქცევას მღელვარე მუზის
გზა უჩვენოს და დაუდოს ზღვარი.
სანამდი გრძნობა მიიღებს სახეს,
დაემგვანება ჰანგსა და სურათს,
მანამ არ გახსნას მთრთოლვარე ბაგე
და არ დასცალოს ცხოველი სურა.

(ჩიქოვანი, „იჭვი“, 1963:178)

თუ ამ ლექსში თავისი ლიტერატურული კრედოს გამოხატვის საშუალებად პოეტმა შედარებით განყენებული მსჯელობა აირჩია. სამაგიეროდ, ლექსში ,,მეთევზის სტუმრობა'' იგივე თემა კონკრეტული პოეტური გააზრებითაა გადაწყვეტილი და შემოქმედის რთული და მრავალფეროვანი გზის თავისებურებას სავსებით ნათლად წარმოგვიდგენს. ამ ლექსში ერთმანეთთან შედარებულია პოეტისა და მეთევზის შრომა. როგორც მეთევზის ბადეში გახვეული თევზი წყალში ტოვებს თავის სიცოცხლეს, ასევე პოეტიც თავის გულის ფეთქვას ლექსს გადასცემს და შემდეგ მისი სიცოცხლით ცოცხლობს:

ამოცვენილი წყლიდან თევზები
კანკალებენ და ნაწვიმარს ჰგვანან,
წყალმა წაიღო მათი ფესვები,
წაიღო ფუძე და გადიტანა.
ხელს შეახებ და მოკვდება თევზი!
სტრიქონი ხელის შეხებით ცოცხლობს,

თევზს ეკარგება ოთახში ფესვი
და ეკუმება თვალები მომცრო.
სტრიქონიც ეძებს სხვის გულში ბინას,
ხავერდის დარად თხოულობს ალერსს,
პოეტის სულშიც მებადურს სძინავს
და მხოლოდ წყალთან გაახელს თვალებს

(ჩიქოვანი, „მეთევზის სტუმრობა“,)

სიმონ ჩიქოვანი მეამბოხე იყო ბუნებით ,,პოეზია ხუთი წუთით მაინც უნდა უსწრებდეს წინ ცხოვრებას''- ეს სიტყვები სიმონ ჩიქოვანის ლირიკის დევიზად გამოდგებოდა. აკი წერდა კიდეც:

ვისწავლე სიბრძნე დღიურ სიცხადის;
ჭეშმარიტებას ვშლიდით ფერდობათ.
ჩვენ გავჩნდით ერთად და არ ვიცადეთ
სანამ დროება მომწიფდებოდა

(ჩიქოვანი, ,,ლექსი ბრძოლაში“, 1933: 81)

ეროვნული ლირიკის განვითარება, კვლავინდებურად, საზოგადოებრივ პრობლემატიკასთან პიროვნულ მისწრაფებათა თავისებური სინთეზისა და გამთლიანების რთული გზით წარიმართა. სწორედ ამ მომენტს გახაზავს სიმონ ჩიქოვანი, როცა წერს: ,,ჩემი ღრმა რწმენით, ლირიკული პოეზია მაშინ ხდება სრულყოფილი, როცა სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილებები მოგონებებად იქცევა და სულში მომწიფდება. პოეტის მიერ სინამდვილის ბიოგრაფიული განცდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამოვლებული ავტორის პირადი სულიერი ზრახვები ლირიკული პოეზიის საფუძველია, ხოლო გულში შენახული მოგონების მხატვრული განზოგადება პოეზიაში რეალიზმის საყრდენია. შემოქმედებაში ასეთი გზით პოეტური აზრის და გრძნობის ორგანული შერწყმა ხდება და მწერლობაში კლასიკური პოეზიის გზა მტკიცდებაა“(ნიკოლეიშვილი, 1979:4).

თვისებრივი სიახლე, რაც ქართულმა ლირიკულმა ლექსმა შეიძინა ჩვენი საუკუნის პირველ მოეთხედში და თანდათან გაღრმავდა შემდგომ პერიოდში, პოეზიაში ლირიკული და ეპიკური ელემენტების თავისებური შერწყმით გამოიხატა. ლირიკული გმირის სულიერი სამყარო უფრო ტევადი და მაშტაბური გახდა. ამან განაპირობა ის, რომ მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ლირიკის ხვედრითი წონა საგრძნობლად გაიზარდა დანარჩენ საუკუნეებთნ შედარებით. ჟანრობრივ ელემენტთა თავისებურ სინთეზს უსვამს ხაზს გიორგი მერკვილაძე, როცა განიხილავს მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიის საკითხებს: ,,ჟანრობრივ ელემენტთა ბუნების შერწყმის ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება გალაქტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, ა.მირცხულავას, კ. კალაძეს, რ.მარგიანის, ი.ნონეშვილის, ო. ჭილაძის და სხვათა შემოქმედებაში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თვისებრივად ახალ მოვლენასთან. ეს არის ისეთი, უკვე ცალკე ციკლად ჩამოყალიბებული ლექსები, რომელთაც ერთი თემა, ერთი მიზანსწრაფვა და სინამდვილის ათვისების ერთი ხატოვანი კონცეფცია აერთიანებს; როდესაც ხდება ცალკეული სულიერი სამყაროს აღქმა გარკვეულ მთლიანობაში და ამგვარად არის დანახული ლირიკული გმირი“(მერკვილაძე, 1971:42).

როცა თანამედროვე ქართული ლექსის რთულ და თავისთავად ბუნებაზე საუბრობენ და მის სტილურ თავისებურებებზე მიუთითებენ, ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში აქცევენ სიმონ ჩიქოვანის ლირიკას. როგორც ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, „სიმონ ჩიქოვანმა ქართულ პოეზიას ახალი ჟღერადობა და ელფერი შეჰმატა. ეს სიახლე ჩვენი ეპოქის გრანდიოზულობის, ჩვენი თანამედროვის რთული სულიერი სამყაროს მაღალოსტატური გამოხატვაა“(ნიკოლეიშვილი, 1979:8).

წლებთან ერთად პოეტს სულ უფრო და უფრო დაჟინებით უბრუნდებოდა ფიქრი საკუთარი ბედის ავ-კარგზე, მისი ტალანტის ხვედრზე. ჩიქოვანს თითქოს ეშინოდა. სამყაროს მევალედ არ დარჩენილიყო:

სულის თვისება, მღერა და ცრემლი,
როგორ ვამგვანო აპრილის კოკრს!

ანუ ოსტატის გაწვრთნილი ხელი
აღსარებისთვის ავღმართო როგორ!
ეს ჟამი დადგა, მეცვლება ფერი,
ველი დააჭკნა და მცირე ხნით მოთოვს:
მინდა მიწაზე ცხოვრება ჩემი,
ჰგავდეს ქარიშხალს და არა ფოთოლს.

(ჩიქოვანი, ,,არის სიყრმეს და სიმწიფეს შორის“, 1963:174)

სიმონ ჩიქოვანის მთელი პოეზია მოგზაური პოეტის ლირიკული დღიურია; იმ განწყობილებათა უშუალო ანარეკლია, რომელიც მოგზაურობის დროს მიუღია მწერალს, მერე გადაუმუშავებია, მხატვრული ფანტაზიით გაუცხოველებია და ისე მიუტანია მკითხველამდე. ამ ლირიკულ დღიურებში ერთმანეთს შეერწყა წარმოსახული კუთხის წარსულიცა და აწმყოც. პოეტის ხილვები მონუმენტურობითა და ხატოვანებით ხასიათდება და ცხადად წარმოგვიდგენს შესაბამის გარემოს. ეს გზა იწყება მშობლიური სოფლის სანახებში, მოივლის საქართველოს მდიდარ და რომანტიკულ კუთხეებს, მიემართება რუსეთისა და უკრაინის ტრამალებზე, გოგჩის ტბის სილაჟვარდეს იტევს და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით გადის (ნიკოლეიშვილი, 1979:32-33)

ამრიგად, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანის პოეზიამ თვალსაჩინოდ შეძლო იმ საუკეთესო მისწრაფებათა და ნიშანთვისებათა ტიპიური დატევა-გაღრმავება, რაც ქართული კლასიკური ლექსის თანამედროვე ტრადიციებს ქმნის.

თავი II

ფუტურიზმი, როგორც ლიტერატურული მეთოდი

და სიმონ ჩიქოვანი

როგორც ითქვა, სიმონ ჩიქოვანი ქართული ფუტურიზმის თავკაცი და ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან და მისმა თანამოაზრე მწერლებმა - ნიკოლოზ ჩაჩავამ, აკაკი ბელიაშვილმა, დავით გაჩეჩილაძემ, ბესარიონ ჟღენტმა, გრიგოლ ორაგველიძემ, პოლ ნოზაძემ, ალექსანდრე გაბესკირიამ და მზია ერისთავმა 1922 წლის 23 აპრილს ფუტურისტებმა კონსერვატორიის დარბაზში გამართეს საღამო , 6-7 მაისს კი, პოეზიის დღესთან დაკავშირებით გამოსცეს მანიფესტი ,,საქართველო-ფენიქსი'', რომელსაც ხელს აწერენ: ნიგოლ თავდგირიძე (ნიკოლოზ ჩაჩავა), აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, პავლე ნოზაძე, ბესო ჟღენტი, დავით გაჩეჩილაძე, ალექსანდრე გაბესკირია, მზია ერისთავი, გ.ორაგველიძე. ნ. ჩაჩავა იგონებს: ,,ჯერ კიდევ მეორე კლასში ვიყავი , როცა დავაარსე ხელნაწერი ჟურნალი ,,წინსვლის ემბლემა'', რომელშიც მონაწილეობას იღებენ სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი და დავით გაჩეჩილაძე. სიმონ ჩიქოვანი და დავით გაჩეჩილაძე ჩემს ოჯახში ცხოვრობდნენ, ჩვენ ბავშვობიდანვე გატაცებით ვკითხულობდით მხატვრულ ლიტერატურას, ვკამათობდით ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე. ამ კამათში მონაწილეობდნენ ბესარიონ ჟღენტი და აკაკი ბელიაშვილიც, რომლებიც ჩემთან სისტემატურად დადიოდნენ ხოლმე. ვწერდით ლექსებსა და მოთხრობებს , ერთმანეთს ვუკითხავდით და ვარჩევდით.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ეს ხელნაწერი ჟურნალი ბეჭდვით ჟურნალად გადავაქციეთ. მასში მე და სიმონ ჩიქოვანი ფსევდონიმებით გამოვდიოდით - ჩემი

ფსევდონიმი იყო ნარჩინაძე. სიმონ ჩიქოვანისა კი - მხიარულაძე, უფრო მოგვიანებით გამოვეცით ახალი ჟურნალი ,, ეარის ინანთი''(კვერენჩხილაძე, 2008:71-72).

ფუტურიზმი, როგორც ერთ-ერთი ავანგარდისტული მხატვრული მიმდინარეობა, XX საუკუნის 10-იან წლებში წარმოიშვა და ყველაზე სრულად იტალიასა და რუსეთში გამოვლინდა. მართალია, არსებულ ლიტერატურულ ტრადიციებთან დაპირისპირება მეტ-ნაკლებად ყველა ახალ მიმდინარებას ახასიათებს, მაგრამ ფუტურიზმს ამ მხვრივ ტოლი არა ჰყავს. მან სრულიად უარყო მანამდე არსებული კულტურული მემკვიდრეობა და ახალი ხელოვნების შექმნას შეეცადა. იტალიელი ფუტურისტები, რომლებიც თავს უარყოფის გზით იმკვიდრებდნენ, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ფერფლად ქცევას მოითხოვდნენ, რადგან ძველი ხელოვნება, მათი აზრით, ახალი ადამიანის ინტერესებს ვერ აკმაყოფილებდა. ისინი მომავლის სახელით მოქმედებდნენ და წარსულის მიმართ გამოჩენილ აგრესიასაც ამით ამართლებდნენ (იტალიური სიტყვა futurismo ლათინური futurum-დან მოდის და ,,მომავალს'' ნიშნავს). ფუტურიზმის სამშობლო იტალიაა. მისი დაბადება ფილიპო ტომაზო მარინეტიმ ამცნო მთელ ქვეყანას პარიზში გამოქვეყნებული მანიფესტით (1909წ. 20 თებერვალი).

ფუტურისტებმა რადიკალურად უარყვეს არსებული გემოვნება. მათ ექსცენტრულ ხელოვნებაში, რომელიც მოულოდნელობის ეფექტზეა აგებული, ესთეტიზმს ანტიესთეტიზმი უპირისპირდება, რომანტიკას - ანტირომანტიკა, ჰუმანიზმს -ანტიჰუმანიზმი. ფუტურიზმმა შექმნა გენიოსი ზეკაცის კულტი, რომელსაც სურს ძალის გამოყენებით გარდაქმნას ცხოვრება და ,,ააფეთქოს ყველა ტრადიცია.''

,,დამთავრდა ადამიანის ბატონობა, დგება ტექნიკის საუკუნე, - აცხადებდა მარინეტი ერთ-ერთ თავის მანიფესტში - ჩვენ უნდა დავუმეგობრდეთ ტექნიკას და მოვამზადოთ სათადარიგო ნაწილების მქონე მექანიკური ადამიანის წარმოშობა. ჩვენ გავათავისუფლებთ ადამიანს სიკვდილზე ფიქრისგან.''

იტალიური ფუტურიზმის ყოვლისდამამხობელი იდეოლოგიის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ომის აპოლოგია. მარინეტი ომს ,,სამყაროს ჰიგიენად '' მიიჩნევდა.

ფუტურისტები მოითხოვდნენ, რომ პოეზია თავისუფალი ყოფილიყო ავტორის ლირიკული ,,მე''-საგან. ადამიანურ გრძნობებს ისინი სისუსტეებად მიიჩნევდნენ და ,,მშვენიერის'' კრიტერიუმებად ძალას, ენერგიას და სისწრაფეს აცხადებდნენ. აღარ არის საჭირო ტრადიციულ მხატვრულ შედარებებში გამოყენებული შემაერთებელი სიტყვები: როგორც, მსგავსი და სხვა. კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ საგანი და ასოციაცია ერთსიტყვაში შეერთდება და ერთ ლაკონურ სახედ ჩამოყალიბდება. და ბოლოს, აღარ არის საჭირო პუნქტუაცია, რადგან თუ დამხმარე სიტყვებზე უარს ვიტყვით, მეტყველება უაზრო პაუზების გარეშე წარიმართება. მიმართულების მისანიშნებლად ან რაიმეს გამოსაყოფად მარინეტი მწერლებს მათემატიკური სიმბოლოების (+ - x = > <) და სანოტო ნიშნების გამოყენებას ურჩევს.

მარინეტი თვლის, რომ ახალი სტილი ფართო ასოციაციებს უნდა დაეფუძნოს, უნდა უკუაგდოს მოძველებული სახეები და გაცვეთილი მეტაფორიები (ე.ი. თითქმის ყველაფერი). უნდა შეიქმნას ე.წ. ,,უმავთულო წარმოსახვა'', ფუტურისტმა პისტოლეტიდან გასროლილი ტყვიის ჯერივით უნდა მიაყაროს მკითხველს ასოციაციურ სახეთა უწყვეტი რიგი და ეს იქნება დიდი ხელოვნება, რომელსაც მსხვერპლად უნდა შეეწიროს მკითხველის მხრიდან გაგება (ფუტურისტებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი უცნაური ხელოვნება მკითხველისათვის გაუგებარი იქნებოდა, სწორედ ამიტომ წერდნენ უამრავ მანიფესტებს, სადაც თეორიულად ასაბუთებდნენ და განმარტავდნენ თავიანთ ესთეტიკურ პრინციპებს).

მარინეტიმ წამოაყენა ,,განთავისუფლებული სიტყვის პოეტიკა'', რომელიც ავტორის მრავალფეროვან შეგრძნებებს ასოციაციათა მწკრივების სახით წარმოგვიდგენდა. ამავე დროს პოეტს უნდა მოეშველიებინა ბგერათმიბაძვა, ჩანახატები, კოლაჟები, მრავალნაირი ტიპოგრაფიული შრიფტი, მათემატიკური აღნიშვნები. სიტყვისა თუ ფრაზის გრაფიკულ და ბგერით მხარეს აზრზე მეტი დატვირთვა ენიჭებოდა.

ენის დეფორმირების გარდა, ფუტურიზმის ანტიესთეტიზმი იმაში გამოიხატება, რომ მან საზღვარი წაშალა ესთეტიკურ და ყოველდღიურ რეალობას შორის და გზა

გაუხსნა დოკუმენტური მასალის შეტანას. იგი უპირატესობას ანიჭებდა იმ რეალობას, რომელიც ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო მხატვრული პრაქტიკის მიერ. პოეტური ინტერესის საგანი გახდა ყოფაში ახლახანს შემოსული ნივთები, (ტექნიკა), ქალაქის მატერიალური კულტურა (ურბანიზმი).

რუსული ფუტურიზმი არ იყო ერთგვაროვანი, მას არ გააჩნდა ერთნაირი ცენტრი და პროგრამა. რუსეთში უამრავი ფუტურისტული დაჯგუფება არსებობდა. მათ შორის გამოირჩეოდა ,,გილეა'', რომლის აქტიური წევრები იყვნენ: ძმები დ. და ნ.ბურლიუკები, ვ. ხლებნიკოვი , ვ.მაიაკოვსკი, ვ. კამენსკი, ა. კრუჩიონიხი, ბ. ლევშიცი. რუსული ფუტურისტული მოძრაობის ფუძემდებლად კი ი. სევერიანინი ითვლებოდა. მათი საერთო ნიშნები იყო: ტრადიციული კულტურის უარყოფა, ანტიესთეტიზმი, ურბანისტული მოტივები, ენის ნორმების რღვევა. როგორც იტალიური, ისე რუსული ფუტურიზმიც საკუთარ თავს რევოლუციური მომავლის შესატყვის ერთადერთ ხელოვნებად მიიჩნევდა.

XX საუკუნის 10-იან წლებში აღმოცენებულმა ფუტურიზმმა იტალიასა და რუსეთში 20-იანი წლების ბოლოს ამოწურა თავისი თავი. ქართველ ფუტურისტთა მოღვაწეობა კი 1922-1928 წლებით შემოიფარგლება (პირველი მანიფესტის გამოქვეყნებიდან ბოლო პერიოდული ორგანოს გამოცემამდე). მათ გამოსცეს წიგნები, წაიკითხეს ლექციები, ჩაატარეს საღამოები, რამაც ხელი შეუწყო ქართველ ფუტურისტთა გაერთიანების წარმოშობას, რომელმაც 1922 წელს საკუთარი მანიფესტი გამოაქვეყნა სათაურით: ,, საქართველო- ფენიქსი''.

თავიანთ მანიფესტში, რომელიც არსებითად იტალიელ და რუს ფუტურისტთა იდეების გადამღერება იყო, ქართველი ფუტურისტები აცხადებდნენ, უარვყოფთ, რაც ჩვენს უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყებაო. ამ მანიფესტს ხელს აწერდნენ: ნიკოლოზ ჩაჩავა, აკაკი ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ბესარიონ ჟღენტი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ ორაგველიძე, პოლ ნოზაძე, ალექსანდრე გაბესკირია, მზია ერისთავი.

როდესაც ქუთაისელი ფუტურისტთა ნაწილი თბილისში გადმოვიდა, 1923 წლის 16 თებერვალს თბილისელი და ქუთაისელი ფუტურისტები გაერთიანდნენ ერთ ჯგუფად , რომელშიც გარდა ზემოხსენებულისა შევიდნენ: ბიძინა აბულაძე, შალვა ალხაზიშვილი, ჟანგო(ივანე) ღოღობერიძე, ნიკოლოზ შენგელაია, მხატვარ-კუბისტები: ბენო გორდეზიანი, ირაკლი გამრეკელი, მოგვიანებით მიემატნენ: ლევან ასათიანი და დემნა შენგელაია. ერთ ჯგუფში გაერთიანებულებმა თავის თავს უცნაური სახელი ,,H2SO4-ის სკოლა'' უწოდეს და მისმა საბჭომ 1924 წლის 25 მაისს გამოსცა იგივე სახელწოდების ჟურნალი (მხოლოდ ერთი ნომერი).

ფუტურისტები ქადაგებდნენ ქართველი ხალხის განსაკუთრებულობას (,,ვაღიარებთ ქართველ ხალხს მსოფლიო მესიად'') კატეგორიულად არ ცნობდნენ წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას (,,ჩვენ უარვყოფთ წარსულს. ეს მხოლოდ ლიტერატურას შეეხება'') - (,,H2SO4-, 1924, N1), ,,მე პირველი უარვყოფ დღევანდლამდე არსებულ ქართულ პოეზიას...“(კვერენჩხილაძე, 2008:73).

ფუტურისტებს უნდოდათ რევოლუცია მოეხდინათ მწერლობაში, ძირფესვიანად გარდაექმნათ ქარტული ლექსი. იჩემებდნენ ახალი, რევოლუციური საქართველოს შესატყვისი მწერლობის ერთადერთი შემქმნელის სახელს (,, უარვყოფთ, რაც ჩვენს უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყება ‘’).

სწორედ ყოველივე ძველისადმი ფუტურისტების ასეთ დამოკიდებულებას უძღვნა პ.იაშვილმა 1923 წ. პიტნავას დუქანში ხელსახოცზე დაწერილი ეს ექსპრომტი: ,, უწინ ლეკები, შმაგი ქისტები თავზე ესხმოდნენ კახეთის მდელოს, დღეს კი ჭაბუკი ფუტურისტები ანადგურებენ ძველ საქართველოს''.

ფუტურისტები პროლეტარულ მწერლობასაც არად აგდებდნენ, ისინი ბ. ჟღენტის პირით ამბობდნენ: პროლეტარული კულტურის ერთადერთი წარმომადგენლები ფუტურისტები ვართო. ,,პროლეტარული პოეზია, ჩემი მტკიცებით არ არსებობს''. რადგან ,,ქართული პროლეტარული პოეზია ნატურალიზმისა და რეალიზმის ნიადაგზე სდგას'' (ჟურნ. ,,ლიტ. და სხვა'' N 1).

,,ქართული ფუტურიზმი ბუკითა და ნაღარით, მუქარითა და გამაყრუებელი მებრძოლი ყიჟინით გამოვიდა. ის უპირველეს ყოვლისა ეკვეთა ,,ცისფერ ყანწებს'' , მაგრამ ამ თავგანწირულ ბრძოლას იდეური სარჩული არ ედვა'' /ბ. ბუაჩიძე, პოეტის დაბადება, საბჭოთა ინტელიგენციის გაზ. ,,სიტყვა და საქმე'' 1935. N 11;

,,H2SO4'' გოგირდმჟავას ფორმულაა და გარდა იმისა, რომ ფუტურიზმისათვის დამახასიათებელ ტექნიციზმის კულტზე მიგვანიშნებს (მარინეტი მოუწოდებდა მწერლებს, რომ ადამიანური გრძნობებიდან ყურადღება არაცოცხალი მატერიის მდგომარეობაზე გადაეტანათ: ელექტრონების ქარიშხალზე და მოლეკულათა ნახტომებზე), გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვასაც შეიცავს, რაზეც ხაზგასმით მიუთითებენ თავიანთ სტატიებში ქართველი ფუტურისტები. მათი აზრით, გოგირდმჟავას ხსნარით, ანუ ფუტურისტული ხელოვნებით, უნდა გაწმენდილიყო ქართული პოეზია.

,,H2SO4'' , რომელიც 1924 წლის 25 მაისს გამოვიდა, მასში გამოქვეყნებული ზაუმური ლექსებით, ყოვლის უარმყოფელი უცნაური თეორიული სტატიებით, კუბისტური სურათებით და ნაირგვარი, ერთმანეთში არეული შიფტით, ჭეშმარიტად ფუტურისტული ჟურნალი იყო. მსგავს პოეტიკას ეფუძნებასიმონ ჩიქოვანის ცნობილი ფუტურისტული ლექსები: ,,ცირა“, ,,ქარბორია'', ,,ხაბო'', ,,მეკამეჩეების ურმული''.

ფუტურისტთა კრიტიკული თავდასხმების უმთავრესი ობიექტები იყვნენ ცისფერყანწელები, რომელთა ხელოვნებამაც, გარკვეული თვალსაზრისით, ნიადაგი მოუმზადა ფუტურიზმის აღმოცენებას (მარინეტი სიმბოლისტებს ფუტურიზმის ინტელექტუალურ მამებს უწოდებდა). ორივე მიმდინარეობა ქართული კულტურის რადიკალურ განახლებას ესწრაფოდა; უარყოფდა კლასიკასა და ურბანისტულ მოტივებს ამკვიდრებდა, თუმცა ფუტურისტები ამ მხრივ სიმბოლისტებზე გაცილებით შორს წავიდნენ, მათ თავადვე მონათლეს საკუთარი სულისკვეთება ,,ტერორად'' და ეს ტერორი პირველ რიგში ცისფერყანწელების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ფუტურისტები საზოგადოებრივ ადგილებში უცნაური, კადნიერი, გამომწვევი მოქმედებით ცდილობდნენ ყურადღების მიქცევას, თავისი პოზიციების განმტკიცებას და

იდეოლოგიურ ტუ ესთეტიკურ მოწინააღმდეგეთა გაბიაბრუებას, მათ 1921წ. დებოში მოაწყვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბარამიძე, 1983:23-24).

ფუტურისტები ლექსებს თავიანთ მოქმედებაზე არანაკლებ უცნაურსა და გაუგებარს ჰქმნიდნენ, ამის დასტურად, ჩვეულებრივ, ასახელებენ ფუტურისტთა ყველაზე დამახასიათებელ ლექსებს: ს. ჩიქოვანის ,,ცირას“:

ბადე ბაიდებს
ბუდე ბაიდებს
ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს
აიდა ბაიდებს, აიდო ბაიდებს
ცირა ციბა, ცირა წარბი,
ცირა წაბლი წარბენილი.

(ჩიქოვანი, 1963:195)

ან კიდევ:

,,ობობა ღრუმე ღრუბელი ორმო
ბირთვი და ბურთი ბეგობი ზურგი
როყო ხუნაგი ხარიბა კუზი
ბუნაგი ძაბრის კოვზი საგუბე ...''

(ჩიქოვანი, 1963:195)

როგორც ვხედავთ, პოეტის ფუტურისტული გატაცებანი უკიდურესობამდეა მისული. აქ რაიმე აზრობრივ დატვირთვაზე, იდეურ და შინაარსობლივ ქვეტექსტებზე საუბარი ზედმეტია. თუ პირველ მაგალითში ავტორს ყურადღება რიტმული ინტონაციის სიფაქიზეზე აქვს გადატანილი, მეორეგან იგი ცდილობს ახალი ბგერითი შესიტყვებების შექმნით გააკვირვოს მკითხველი.

ამ და მსგავს მაგალითებში არსებითი იყო ბუნდოვანი, პარადოქსული ხილვების გამოხატვა და ახალ ლექსიკურ შესატყვისთა ძიება: არ ჩანდა აზრი, სათქმელი თითქოს მთლიანად უარყოფილი იყო, ფაქტიურად ხორციელდებოდა მათივე ლოზუნგი- ,,პოეზია სიტყვის გარეშე''. თუმცა ძუნწად ისეთი სტრიქონებიც გვხვდებოდა, რომლებშიც ასე თუ ისე იკვეთებოდა ავტორის იდეური სახე.

ფუტურისტები თუმცა აცხადებდნენ: ლიტერატურაში რევოლუციონერები ვართო, მაგრამ ფორმალური ნოვატორობის გზით წავიდნენ. (ტ.ტაბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ,, ფუტურიზმი დეკლარაციების შემდეგ დარჩა მხოლოდ სიტყვად!'' (ირონია და ცინიზმი, პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში, ჟ. ,,მეოცნებე ნიამორები'', 1923, N 9). ეს ფუტურისტებმაც საკმაოდ მალე შეიგნეს და დაიწყეს ახალი გზების ძიება.

მკვლევარ ავთანდილ ნიკოლეიშვილის დაკვირვებით, ფუტურიზმის ჩასახვასა და განვითარებას საქართველოში ხელი შეუწყო იმ გარემოებემაც, რომ ლიტერატურაში იმ დროისათვის შეიმჩნეოდა საგრძნობი მოძალება იდეურობისა და რევოლუციის ნიღაბს ამოფარებული მდარე პროდუქციისა. იწერებოდა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც შიშველი პლაკატურობითა და სააგიტაციო ტონით, პრიმიტიულად გამოიხატებოდა ავტორის ნააზრევი. ლიტერატურა კი ახლის მარადიული ძიებაა)ნიკოლეიშვილი, 1979:18)

როგორც აღვნიშნეთ, სიმონ ჩიქოვანი ფუტურისტული მიმდინარეობის მთავარი წარმომადგენელია საქართველოში. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო ინიციატივით უხდებოდა საქმიანობა ამ ლიტერატურულ ჯგუფს, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც სიმონ ჩიქოვანს, ასევე ,,მემარცხენეთა'' სხვა დანარჩენ წარმომადგენლებს, თავიანთი შთაგონება მხოლოდ და მხოლოდ ფუტურისტული პრინციპებით არ შემოუფარგლავთ.

ლექსების ციკლში ,,ორკესტრული ლექსალობა" ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა მწერლის გადახრა ფუტურიზმისაკენ. ამ ციკლის საერთო დამახასიათებელი თვისებაა ახალი სიტყვებისა და ჟღერადი ბგერითი შესიტყვებების ძიება, ორიგინალური რიტმული კონსტრუქციების შექმნის ცდა, თვითმიზნური ესთეტიკის პრინციპებით შექმნილი სახეებისკენ სწრაფვა, ტრადიციული პოეტური ფორმების მსხვრევა, მოულოდნელ,

გარეგნულ ეფექტებზე დამყარებული ასოციაციური ხილვების უსისტემო და ბუნდოვანი წარმოსახვა.

უარყოფითთან ერთად ამ ძიების გარკვეულად დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზია ერთგავარ კრიზისულ მდგომარეობაში მოექცა. მისი თვისობრივი ბუნების ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი, ზოგიერთი წარმომადგენლის გამოკლებით, მხოლოდ იდეური პათოსის წინა პლანზე წამოწევა გახდა. ეს იყო ქცეული ლექსის მთავარ და არსებით მიზნად, ხოლო პოეტური შესრულების კულტურა, უკანა პლანზე იყო გადატანილი. ადამიანი თავისი შინაგანი პიროვნული სამყაროთი ჯერ კიდევ ჩრდილში იყო მოქცეული და ლირიკული პოეზიის ძირითად საგანს არ წარმოადგენდა.

ქართული ლირიკული პოეზიის ამ თვისებას კარგად ახასიათებს თამაზ ჩხენკელი: ,,მე-20 საუკუნის პოეტების ლექსებს ათიან წლებამდე გასული საუკუნის პოეზიის ინერციის ბეჭედი აზის. რიტმი და პოეტური ფრაზა ჯერ კიდევ სავსებით არ არის გამოსული ტრადიციული განზომილების ნაჭუჭიდან და დატვირთული არ არის პიროვნული განცდით აღბეჭდილი ახალი ფსიქიკური რეალობით. მხოლოდ 1915-19 წლებში გალაქტიონისა და ,,ცისფერყანწელების'' პირველი შედევრით იკვეთება სპეციფიკურად ახალი მსოფლგანცდა და მოდერნისტული სტილი, რომელიც არსებითად უპირისპირდება, ერთი მხრივ, მე-19 საუკუნის პოეტიკასა და რაციონალისტურ აზროვნებას, ხოლო, მეორე მხრივ, მე-20 საუკუნის ,,დასაწყისის დიფუზიურ პოეზიასა და ეპიგონების'' ესთეტიკურ ბარბაროსობას (ჩხენკელი, 1972:11).

სიმონ ჩიქოვანმა ძალზე რთული მსოფლმხედველობრივი და შემოქმედებითი ევოლუციის გზა განვლო. პოეტის სიტყვით თავის ადრინდელ ლექსებში იგი შეგნებულად მიმართავდა სიტყვიერი მასალის იმგვარ გაგებას და გამოყენებას, რომელიც ქართული პოეზიის ისტორიაში ბესიკის ,,ტანო-ტატანოსთან'' და ,, შავნი შაშვნისთან'' არის დაკავშირებული. როცა სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი განვითარების გზის სირთულეზე ვსაუბრობთ, ყურადღება, პირველ ყოვლისა, უნდა მივაქციოთ არა იმ მიმდინარეობის

თეორიულ მოთხოვნებს, რომლის წარმომადგენლადაც იგი ითვლება, არამედ ამ პერიოდის მის შემოქმედებას. მხატვრული სამოსელი იყო პირველი პერიოდის შემოქმედებაში სიმონ ჩიქოვანისათვის ნაწილობრივ ფორმალისტური.

თვითონ სიმონ ჩიქოვანი ამგვარად აფასებდა თავისი ადრინდელი შემოქმედების ხასიათს: ,, მე თვითონ გაზრდილი ვიყავი ქართულ და რუსულ პოეტურ კულტურაზე. რუს პოეტთაგან პუშკინისა და ლერმონტოვის გარდა განსაკუთრებით მიყვარდა ტიუტჩევი. ამიტომ ფუტურიზმის პოზიციებზე გადასვლა ნიშნავდა ჩემთვის ჩვეულ შეხედულებათა და მიდრეკილებათა შეცვლას. როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვაზე თავისებური მუშაობის რამდენიმე წლის შემდეგ მე და ჩემი მეგობრების უმრავლესობა დავცილდით ,, მემარცხენეობას''. ეს მოხდა იმიტომ, რომ თანამედროვე ცხოვრება გახდა ჩემი შემოქმედების მთავარი თემა"(ნიკოლეიშვილი, 19879:25).

სიმონ ჩიქოვანის ადრეული შემოქმედებითი გზის სირთულეს განაპირობებდა პოეტის ყოყმანი რეალიზმსა და ფუტურიზმს შორის. ერთი მხრივ, ის, როგორც ფუტურიზმის ერთ-ერთი თეორიული ფუძემდებელი საქართველოში, თავისი პოეტური მოღვაწეობით ცდილობდა პრაქტიკულად გაემართლებინა და დაენერგა ეს მიმდინარეობა. მეორე მხრივ, იგი ორგანულად, სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებთან. მასზე იყო აღზრდილი და, ამდენად, მისი აბსოლუტური უარყოფა მისთვის, როგორც ქართველი პოეტისთვის, თითქმის შეუძლებელიც იყო.

სიმონ ჩიქოვანის პოეტური ოსტატობის განვითარების გარკვეული პერიოდისათვის მართლაც მკაფიოდ იყო ლექსის გარეგანი, განსაკუთრებით ბგერადი სტრუქტურისადმი გამახვილებული ყურადღება, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ შემდგომში სიმონ ჩიქოვანი, როგორც ლექსის ოსტატი, სრულიად სხვა გზით წავიდა და ბევრი რამ უარყო თავის პოეტიკაში. სიმონ ჩიქოვანის პირველი პოეტური ცდები იმ ლიტერატურული სკოლის პრინციპებს იზიარებდა , რომელმაც ფეხი ვერ მოიკიდა საქართველოში.ეს იყო დასაწყისი პერიოდი მისი შემოქმედებისა.

,,ობობა ღრუმე ღრუბელი ორმო

ბირთვი და ბურთი ბეგობი ზურგი

როყო ხუნაგი ხარიბა კუზი

ბუნაგი ძაბრის კოვზი საგუბე ...''

ამ და მსგავს მაგალითებში არსებითი იყო ბუნდოვანი, პარადოქსული ხილვების გამოხატვა და ახალ ლექსიკურ შესატყვისთა ძიება: არ ჩანდა აზრი, სათქმელი თითქოს მთლიანად უარყოფილი იყო, ფაქტიურად ხორციელდებოდა მათივე ლოზუნგი- ,,პოეზია სიტყვის გარეშე''. თუმცა ძუნწად ისეთი სტრიქონებიც გვხვდებოდა, რომლებშიც ასე თუ ისე იკვეთებოდა ავტორის იდეური სახე.

თამაზ ჩხენკელი მიიჩნევს, რომ „სიმონ ჩიქოვანის ადრეულ ცდებში ტრადიციულად დადგინებულის უ კ უ გ დ ე ბ ა ს და ხშირად უ ა რ ყ ო ფ ა ს ა ც გარკვეული გამართლება ჰქონდა: ერთის მხრივ, იგი უნდა განთავისუფლებულიყო 20-იან წლებში ტოტალურად გაბატონებული ,,ქართული სიმბოლიზმის'' დამთრგუნველი ზეგავლენისაგან, ხოლო მეორეს მხრივ, მას საკუთარისაურთიერთო არხი უნდა მოეძებნა წარსულის პოეტურ რეზერვუარებთან“(ჩხენკელი, 2009:86).

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები თითქოს განგებ მოკლებულნი არიან ფორმალურ ეფექტს (ამ სიტყვის სიწრო გაგებით). სიმონ ჩიქოვანის პოეტური ხელოვნების თავისებურება მდგომარეობს არა სიტყვის გარეგნულ ელვარებაში. მისი პოეზია თითქოს დაჟინებით გითრევთ შიგნით, თავის სიღრმეში, რათა პოეტის მდიდარი ინტელექტუალურ სამყაროსა და პოეტურ ხილვებს გაზიაროთ. აქ მთავარი, გადამწყვეტი როლი მინიჭებული აქვს ლექსის შინაგან ფორმებს, პოეტურ აზროვნებას, სახეთა თავისებურ სისტემას. მართალია, თავის ცნობილ ლექსში ,,იჭვი''პოეტი სასოწარკვეთით შემოგვჩივის:

ვერ შევიტყუე სიტყვაში ფიქრი,

ვერ მოვახვიე ჯავშანი გარეთ.

კვერცხის ცილივით სტრიქონი მითრთის

და მთაში მიხმობს არაგვის მთვარე.

ხშირდება გულის საშიში ფეთქვა

მსურს საჭაშნიკო სიმღერა გითხრათ.

მე სრულიად სხვა მინდოდა მეთქვა

და სხვას მიმღერებს წყეული რითმა.

(ჩიქოვანი, 1963:148)

მაგრამ სიმონ ჩიქოვანის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის შინაგანი არსი სწორედ პოეტური სიტყვის ფორმალური, შემთხვევითი იმპულსებისაგან განთავისუფლებასა და საკუთარი სულირი სამყაროს შინაგან კანონზომიერებათადმი მათ დამორჩილებაში მდგომარეობს, რაც სწორედ ამ ლექსში არის ფორმულირებული განსაკუთრებული სიზუსტითა და პოეტური ხატოვანებით:

დიდი პოეტის თვისება არი -

გრძნობას სიფრთხილით გაუღოს კარი,

თუ გაუღენთილი არ არის ქნარი,

არ შეაშფოთოს მთვლემარე ლარი.

არ დააყოვნოს დაშვება ღუზის,

ნაწვიმარ სულში დაწრიტოს ღვარი

და მიმოქცევას მღელვარე მუზის

გზა უჩვენოს და დაუდოს ზღვარი.

(ჩიქოვანი, 1963:178)

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავის ფუტურისტულ გატაცებაში პოეტს ადრევე შეეპარა ეჭვი. 1926 წელს დაწერილ ლექსში ,,მიძღვნა ახალ პოეტებს“ სიმონ ჩიქოვანი ამბობდა;

ვინ საყმაწვილო სენისაგან ჩვილი ბავშვები,

ჩვენი გრძნობებიც გაყვითლდება ალბათ ოდესმე.

მოვა დროება ხასიათთა ცაში აშვების

და ჩვენი თქმების ორმაგობას ნიშანს დაუსვამს.

პირზე ღიმილით ჩვენს შეხვედრებს მოიგონებენ...

(ჩიქოვანი, ,,მიძღვნა ახალ პოეტებს“, 1963:183)

ფუტურიზმსა და რეალიზმს შორის ჭიდილში, ამ ორ საპირისპირო მიმართულებათა ურთიერთკვეთების პროცესში, იწერებოდა სიმონ ჩიქოვანის ადრინდელი ლექსები, რომლებიც ხან ჯანსაღი რეალისტური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. თვით პოეტმა ასე განსაზღვრა თავისი იმდროინდელი საქმიანობა:

მე პოეტებში მეამბოხე და ურბანელი,

ჩემს უნებურად ვინახავ მთვარეს,

მთვარეს ავადმყოფობს, ნაცრის ფიფქიანს,

მაგრამ ვინ არის დამნაშავე ამ სირბილეში,

ამაზე, მტკვარო, შენ არასდროს არ გიფიქრია.

(ჩიქოვანი, 1965:117)

პირობითი საზღვარი, რომლითაც შეიძლება გაითიშოს ეს ორი პერიოდი სიმონ ჩიქოვანის ლირიკის განვითარებისა, არის 1929-1930 წლები, როდესაც დაიწერა ლექსების ციკლი ,,მთაო, გადმიშვი''. ამ ციკლის ლექსების პოეტური სახეები და მეტაფორები კოლორიტულად წარმოგვისახავენ საქართველოს მთიანეთის ბუნებას, მთიელი ადამიანის ყოფით მხარეს. „ეს ლექსები რწმენის უკვდავების, ამქვეყნიური ბედნიერი ცხოვრების თავისებური საგალობლებია, სიცოცხლის ჰიმნია, ვალინდელი დღის იმედით შთაგონებული ადამიანის მიერ ნამღერი“(ნიკოლეიშვილი, 1979:44).

პოეტი საკუთარ შეცდომებთან ერთად გამოეთხოვა განვლილ სიყმაწვილეს (,,პასუხის მაგიერ''), რომელსაც თან გაჰყვა ბევრი ბრმა ნაბიჯი და სინანული. ,,სიმონ ჩიქოვანის პირველი წლების შემოქმედებაში ,,ზაუმურ'' პოეზიას, - როგორც ლ. ასათიანი აღნიშნავს, - არ სჭერია საგრძნობი და მნიშვნელოვანი ადგილი. თუ მან რამდენიმე ლექსი მაინც გამოაქვეყნა ასეათი ხასიათის, ეს უფრო ხარკს წარმოადგენდა მისი ახალგაზრდული გატაცებისას ამ ხანაში“(ასათიანი, 1955: 55). ამაზე მეტყველებს თუნდაც ის

ორგანული სიახლოვე წარსულის კულტურულ მემკვიდრეობასთან, რომელიც თვალშისაცემია ს. ჩიქოვანის ადრინდელ ლექსებსა და წერილებში.

როგორც ფუტურისტ პოეტს, სიმონ ჩიქოვანს უნდა გაელაშქრა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ. ზემოთაც ვნახეთ, წარსულის უარყოფა ფუტურისტების მიერ ჩამოყალიბებული მანიფესტის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამ თეორიულ საპროგრამო მოთხოვნას პრაქტიკული ხორცშესხმა უნდა ეპოვნა ფუტურისტების მხატვრულ შემოქმედებაშიც. მაგრამ საკმარისია, გადავავლოთ თვალი ს. ჩიქოვანის ადრინდელ ლირიკას, რომ დავინახოთ ის სისხლხორცეული და ორგანული კავშირი წარსულთან, რომლითაც საზრდოობს პოეტის შთაგონება. პოეტმა პირდაპირ აღიარა მისი განუყოფელი კავშირი წარსულის ლიტერატურულ ტრადიციებთან და თავისი თავი გურამიშვილის, ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შთამომავლად მიიჩნია.

სიმონ ჩიქოვანის ადრინდელი პოეზია თემატურად საერთოს პოულობდა ბარათაშვილისა და ილიას შემოქმედებასთან. ამის შესახებ ჯერ კიდევ ადრე, 1930 წელს, მიუთითა ბუაჩიძემ: ,,ჩიქოვანის შემოქმედებაში აღსანიშნავია ,,ბარათაშვილიანის'' ტალღა. მართალია, ს. ჩიქოვანმა ვერ შეძლო ბარათაშვილის პოეტური ორბიტიდან გასვლა, მაგრამ საინტერესო აქ ავტორის სურვილია, გააღრმავოს დიდი წინაპრის მიერ ნათქვამი პოეტური სიტყვა (ბუაჩიძე, 1960:91).

ლექსზე მუშაობისას სიმონ ჩიქოვანი ეყრდნობა იმ დიდ, ფასდაუდებელ სიმდიდრესაც, რომელიც თვით პოეტური აზროვნების მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე არის დაგროვილი. ეს ბუნებრივიცაა. როგორც მკვლევარი გურამ ასათიანი ღანიშნავს, „ვინც ნამდვილად ეთაყვანება ქართულ ლირიკას, ვისთვისაც მართლა ძვირფასი და ახლობელია ,,ვეფხისტყაოსნისა'' და ,,მერანის'', ძველი ქართული ფრესკებისა და საგალობლების შემოქმედთა მაღალი ოსტატობა, არ შეიძლება მას ჩვენი მაღალი ისტორიული ტრადიციები მხატვრული აზროვნების სიმარტივისა და სიღატაკის გამართლებად მიაჩნდეს“(ასათიანი, 1983:2005).

1930 წელს, როცა სიმონ ჩიქოვანის ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა, პოეტი უკვე გათავისუფლებულია ფუტურიზმის გავლენისაგან და იგი ავტორია არაერთი რეალისტური ნაწარმოებისა. ამიტომაც იყო, რომ წიგნისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში პოეტი ასე ახასიათებდა მის მიერ განვლილ პოეტურ გზას: ,,თემატურად, კრებულის ზოგიერთი ლექსი უკვე განვლილი ხანაა ჩემთვის; მათი პროპაგანდა ავტორს საჭიროდ არ მიაჩნია, მაგრამ წიგნის მთლიანობისა და პოეტური განვითარების აღსანუსხავად , კრებული იტევს წმინდა ლირიული ხასიათის მასალებს და ექსპერიმენტალურ ცდების ნიმუშებსაც. ეს წინგი ბრძოლაა სიტყვისა და თემის დამორჩილების ასპარეზზე. ამიტომ ის ნოვატორული მოვლენაა ქართულ მეტყველებაში. თანადროობის თვალსაზრისით წიგნს რევოლუციონური თემატიკა მიუძღვის წინ; ხოლო ლექსალობით ის ოთხივე განყოფილებაში რეკონსტრუქტული ცდაა ქართული მწერლობის ტრადიციებთან შეფარდებით“ (ჩიქოვანი, 1930:3).

გურამ ასათიანი აღნიშნავს: „მთელი თავისი შემოქმედებითი იერით ის ახალი სულიერი ყალიბის პოეტი იყო... თავის ყოველდღიურ ყოფაში, ურთიერთობაში, საუბარში ის ყველაზე ნაკლებად ცდილობდა რომელიმე სახელოვანი წინაპრისათვის მიბაძვას... ,,შემოქმედებას სიახლე უყვარს'', - ასეთი იყო მისი რწმენა, წრფელი გულისთქმით ნაკარნახევი პოეტური დევიზი... და მაინც სიმონ ჩიქოვანის პიროვნებაში, მისი მუდამ მშფოთვარე სულის სიღრმეში საოცარი ბუნებრიობით იყო შენარჩუნებული გასული საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მგზნებარე მოქალაქეობრივი ტემპერამენტიც... მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის, შრომის, შთაგონების შინაგან სტიმულს ეროვნული საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება წარმოადგენდა“(ასათიანი, 1983: 210).

,,შემოქმედებას სიმწიფე უყვარს“ - ვკითხულობთ ს. ჩიქოვანის ,,მესამე მინაწერში''. სწორედ ეს შინაგანი თვისება არის განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლენილი მისი უკანასკნელი წლების ლირიკულ ლექსებში. ჩვენც სწორედ ამ პერიოდის ლირიკული ლექსების თემატური კვლევა დავისახეთ მიზნად.

თავი III

ეროვნული მოტივი სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში

§ 1. სამშობლოს სიყვარულის პოეტური გარდასახვა

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სამშობლოს თემას. პოეტს უსაზღვროდ უყვარს თავისი ქვეყანა, მშობლიური ენა და კულტურა, ეს სავსებით ბუნებრივია. მკვლევარ ათანდილ ნიკოლეიშვილს სამართლიანად მიაჩნია, რომ „ყველა საუკეთესო ტენდენციამ და თვისებამ, რომელიც ს. ჩიქოვანს, როგორც შემოქმედს, ახასიათებს, პირველ რიგში თავი მოიყარა პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლექსებში. მათში ავტორმა გამოხატა ფიქრები. მამულის აწმყოსა და წარსულზე. პოეტმა სამშობლო რწმენად აქცია, ეს რწმენა არის მისი სიცოცხლის აზრის განმსაზღვრელი ძალა“(ნიკოლეიშვილი,). პოეტს ღრმად სწამდა მხატვრული სიტყვის ხალხისადმი, ქვეყნისადმი სამსახური:

მეც, მეგობრებო, მოვდივარ აგრე,
ჩემი სიმღერით ხალხში ჩაწნილი,
ყოველი ჩემი პირადი საქმე
ხალხის ცხოვრების არის ნაწილი.
მართლაც ვერ ნახოს კაცმა წვალება,
თუ ფუტკრივით შრომობდა სკაში.
რა არის სულის გარდაცვალება?-
ფერისცვალება, გადასვლა ხალხში.

(ჩიქოვანი, 1963: 118)

ხალხური სულისკვეთების, ეპოქის გარეშე დარჩენილი ნაწარმოები იმთავითვე დასაღუპავადაა განწირული. ,,სტრიქონი ხალხის ბუდეში ცხოვრობს'', - ეს გადაწყვეტილება ბევრი ფიქრისა და განსჯის, საკუთარი გამოცდილების შედეგად მიღებული უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომლის მიღმა მშობელი ხალხი ერის აწმყო და წარსული, სამშობლო მიწის სითბო და სურნელი დგას. ყოველივე ამისთვის გვერდის ავლა და საკუთარი სულის ნაჭუჭებში ჩამწყვდევა ხელოვნების მაღალი იდეალების

ღალატია. ,,ვაჩვენოთ მუზას ცხოვრება რთული, ან ფოლიანტი პაპის ნაწერი, მიმინოს დარად გავწაფოთ სული და გადვისროლოთ ხალხში ფაცერი'', - ეს მოწოდება, - საკუთარი შთაგონებისადმი მიმართული, - მკაფიოდ აყალიბებს სიმონ ჩიქოვანის თვალსაზრისს ლიტერატურის საზოგადოებრივი როლის შესახებ.

პოეზია ბევრად უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული მშობლიურ ნიადაგთან, ვიდრე პროზა, - გვეუბნება თომას ელიოტი. პოეზია ამ კავშირის განცხადებაა და არაფერი ისე მძაფრად არ გვიმჟღავნებს პოეტს, როგორც დამოკიდებულება თავისი ერისა და ისტორიისადმი.

საქართველოში ლექსი ძალიან გავრცელებული და პატივცემულია. ამას ადასტურებს აღორძინების ხანის პოეტის „ამირანდარეჯანიანის“ გამლექსავის, სულხან თანიაშვილის სიტყვები: „ლექსს უფრო ყურსა უგდებენ, ამბის წიგნები ძევს ავად“(ნიჟარაძე, კიკვიძე, 2007:183).

სიმონ ჩიქოვანს ნამდვილი გატაცებით უყვარდა თავისი ქვეყანა - ,,უსასრულობის შემცველი მხარე'', სწამდა მისი ხალხის შემოქმედებითი გენიისა, აღტაცებას გვრიდა მისი გონების სიდიადე და სულის სიმშვენიერე, ღრმას სჯეროდა მის მიერ შექმნილი დიდი კულტურის უკვდავება. ასეთი საქართველოსთვის ის მზად იყო შეეწირა თავი. საკუთარი სისხლის, სიცოცხლის ფასად შეენარჩუნებინა მისი სიწმინდე.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიის ნიშანდობლივი თვისებაა სიმბოლური აზროვნებისკენ სწრაფვა. მაგალითად, ქართველი ხალხის გმირული ისტორიის გამოსახატავად პოეტი ხშირად იყენებს მუხის სიმბოლოს. მუხა მის პოეზიაში ქცეულია იმ ამაღლებულ სიმწვანედ, რომლის ნათელ ჩრდილში მოთავსებულია პატრიოტული მგზნებარებით ანთებული გრძნობები. ფესვებმაგარი, სივრცეში ტოტებგაშლილი ბებერი, მაგრამ ტანძლიერი მუხა მარადიული სიცოცხლისა და სიმწვანის საწინდარია. ამიტომაც მოუწოდებდა პოეტი თანამოძმეებს: ,,მუხა არ მოსჭრათ საქართველოში“ - აქ იგი თვით ქართული სულის ფესვებს, ლამაზ იმედებსა და ხვალინდელ დღეს უფრთხილდებოდა. მუხის სიმბოლური განდიდებაა ლექსი ,,ცხრა მუხა''. მუხის როგორც უბერებელი სიცოცხლის, სიმბოლურ

გააზრებას პოეტმა მოხერხებულად დაუკავშირა ხალხური პოეზიის რომანტიკული სურნელი:

ცხრა მუხა, ცხრა მთა და ცხრა კარი,
საწუთროს გზა-კვალი, ცხრა ლოდი მარაბდის,
ცხრა მუხამ მიკურთხა აკვანი,
ცხრა წყაროს ფესვებით მიმაბა მარაბდას.
ჩრდილს მიფენს ცხრა მუხა თამამი,
ნახმლევი ცხრა ქერქი ალერსით დაკორძა,
მოვიდა მუხასთან თამარი
და მწუხრზე ცალ-ცალკე ცხრა მუხა დაკოცნა.

(ჩიქოვანი, 1963:21)

მუხის სიმბოლოს ეროვნულ გააზრებას აძლიერებს ამ ფესვმაგარ ხესთან მეფე ერეკლეს უკვდავი სახის დაკავშირება:

ცხრა მუხის ჩრდილში ერეკლე
და დროშა ბერმუხას უკავია,
სიონში ზარებმა დარეკეს,
არაგვი კრწანისშიც უკვდავია.

(ჩიქოვანი, 1963:314)

აღსანიშნავია, რომ მხატვრული გამოსახვის საშუალებათა შერჩევისას პოეტი ჩვეულებრივ ერიდება ზედმეტ მაღალფარდოვნებასა და ჰიპერბოლურ სახეებს. მაგრამ მისი პოეტური აზროვნებისათვის დამახასიათებელია უნივერსალურისაკენ, მცირედიდან მონუმენტურისაკენ მსვლელობა. აქ მხატვრის ძიებისა და შთაგონების შინაგან პათოსს თითქოს ,,სივრცისა'' და ,,ჟამის'' განსაზღვრულობისა დაძლევას წარმოადგენს. ამ მოსაზრებას ჩვენ გვკარნახობს მისი ცნობილი შედევრის - ,,ვინა სთქვას'' უაღრესად ორიგინალური და, ამავე დროს, ქართველი ხალხის ისტორიული თვითშეგნებისათვის ნამდვილად ორგანული კონცეფცია, რომელიც შესატყვის პოეტურ ფორმებში არის

ჩამოყალიბებული. ეს ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი ლექსი ერთგვარი ნიშანსვეტია თანამედროვე ქართული საზოგადოების ეროვნული თვითცნობიერების გზაზე:

ვინა სთქვა , თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო და ჩემი ნისლი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!
აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები - შემკული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.
ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.
გაზომეთ ქარი და ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმუოდა ხევით,
წყალი მქოხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით,
წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი ძლეული გაფრენილ ცხენით,
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთად აღბეჭდილი ქართველის რწმენით.
შეახეთ ბრძოლის გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,

უსასრულობის შემცველი მხარე.

ვინა სთქვა , თითქოს პატარა იყოს

ჩემი სამშობლო და ჩემი ნისლი,

ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,

ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

(ჩიქოვანი, 1963:7-8)

სიმონ ჩიქოვანის პოეზია პატივს მიაგებს ქართველი დედის მამულიშვილურ თავდადებას. ამის ნათელი მაგალითია ლექსი „ქართლის დედა“:

ცხრა ძე ყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედას,

მოკაზმული ხმლით და მუზარადით.

ქართლის დროშა დაულოცა მხედართ,

როს დაგვესხა მტერი მუხანათი.

შეჯირითდნენ გულადები ცეცხლში,

ჩაინერგეს მხოლოდ ვაჟკაცობა.

ამშვენებდათ საქართველოს ეშხი,

თვითეულმა ხმალი გააცოფა.

ერთი დასჭრეს და შეირხა დროშა...

დედა გაჩნდა, მკლავის ანაბარა,

მედროშე შვილს შეაშველა ლოცვა,

მომდევნო ძეს დროშა ჩააბარა.

დასძახოდა: არ შეირხეს ტარი,

საქართველოს ძუძუს გაწოვებდით.

მტერი სჩეხეთ, შეაჩერეთ ქარი! –

ვით სამრეკლო, რეკდა სასოებით.

დასძახოდა, თმები განიძარცვა,

თავდადებით აქეზებდა მხედართ,

ცხრა მარჯვენა დროშამ გადინაცვლა,

დაუხრელად დაუბრუნდა დედას.

ფეხშიშველი წინ უძღვოდა ლაშქარს

ანთებული დედა ქეთევანი.

არკინებდა მამულისთვის მაშვრალს,

ბნელს აპობდა ქართლის სატევარი.

წამომდგარი ლეჩაქს გადმოისვრის,

გორის ციხით ახლაც უხმობს მხედარს:

- მამულისთვის, ბრძოლა მამულისთვის! –

ქარში რეკავს საქართველოს დედა.

(ჩიქოვანი, 1963:47-48)

სიმონ ჩიქოვანის მხატვრული ქმნილებები მკითხველს უდიდეს ცოდნას აწვდის ჩვენი ერის თავისებურებაზე და ამდიდრებს მის შემეცნებას საქართველოს ზღაპრული ფერებითა და ხმებით:

ფიქრს მისცემოდა შემოგარენი.

სულგანაბული იყო მამული,

ჰქონდა ტკივილი და სინანული,

აკვნესდებოდა ვით სალამური,

ინამებოდა ცრემლით მამული.

მე მამძიმებდა, როგორც ღრუბელი,

შენი საღამო და ბედი მწარე,

ფიქრი მრავალი გამოუთქმელი...

(ჩიქოვანი, ,,მთაწმინდაზე“, 1963:317)

პოეტური წარმოსახვის ექსპრესიულობა წარმოადგენს სიმონ ჩიქოვანის ოსტატობის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშან-თვისებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს ნიშანი თავისთავად ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმ მხატვრული შთამბეჭდაობის გასაგებად,

რომელიც პოეტის საუკეთესო ნაწარმოებთათვის არის დამახასიათებელი, რომ არა მის მიერ შექმნილი გარე სინამდვილის სურათში ჩატეული ადამიანის სულიერი სამყაროს ანარეკლი, მის ფიქრი თუ განცდა. მაგალითად, როდესაც თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში ,,თბილისის თოვლი" პოეტი ამბობს:

ჩემი სისხლია თოვლში ჩაღვრილი.
მაინც თეთრია თოვლის ფიფქები.
შენი ყელი ვარ, შენი საყვირი
და შენი ფესვიც მალე ვიქნები.

(ჩიქოვანი, 1963:100)

ჩვენ აქ, პირველ რიგში, გვხიბლავს და გვაღელვებს არა თავისთავად ბრწყინვალე ოსტატობით გააზრებული ფერწერული სურათი, არამედ სწორედ ის შინაგანი განცდა, რომელიც ამ სახის საშუალებით არის გადმოცემული. პოეტს იმედი ჰქონდა, რომ სიკვდილის შემდეგაც შეძლებდა სამსახური გაეწია თავისი ქვეყნისათვის და ეს ამაღლებული, შვების მომგვრელი წინათგრძნობა თავის ლექსშიც გამოხატა.

პატრიოტული გრძნობების გამოსახატავად სიმონ ჩიქოვანი ხშირად იყენებს პეიზაჟს. ხატავდა რა ჩვენი სამშობლოს მდიდარ ეგზოტიკურ ბუნებას, ამით იგი ხაზს უსვამდა იმ დიდ სიყვარულს მამულისადმი, რომლითც ეს სტრიქონები იყო შთაგონებული. მიუთითებდა კიდეც ერთგან ამის შესახებ პოეტი: ,,პატრიოტული გრძნობის ერთ-ერთი საფუძველი საქართველოს მომხიბვლელი ბუნებაც არის''. სიმონ ჩიქოვანის პატრიოტული ლირიკა ამ დებულების ნათელი ილუსტრაციაა.

ჩამიტევია სტრიქონში გული,
გულში მამულის ტრფიალი მიზის,
თუ ვერ შევძელი, განვკურნო წყლული,
ესეც ბრალია ხატოვან მიწის.

(ჩიქოვანი, 1963:57)

როცა ლიახვის სათავესთან მისული პოეტი მდინარისა და მისი შემოგარენის სილამაზეს წარმოგვისახავს, ამით თავისებურად ხაზს უსვამს ამ კუთხისადმი ღრმა სიყვარულსაც. ლიახვი ავტორს იმ ცრემლთა შეერთებულ ნაკადად წარმოუდგენია, რომელიც ჩვენს წინაპრებს დასცვენით თვალთაგან წარსულის ავბედობის ჟამს. ამიტომაცაა მისი მოკრძალება მდინარისადმი ასე სათუთი და განსაკუთრებული:

შენს ქარიშხალში ბევრჯერ შევცურე ,
მკერდით შევაპე შენი ჩქერები,
ჩემო ლიახვო, ახლა მერწმუნე,
ისევ მოვრბივარ და გეფერები.

(ჩიქოვანი, 1963: 78)

ამგვარი სიახლოვით პოეტმა პატრიოტული მგრძნობელობის წარმოსახვას ახალი შინაარსობრივი ფორმა მოუძებნა.

პოეტისათვის ცხადი ხდება, რომ ,,წალკოტი, სადაც მამულის ტრფიალი ჰყვავის'', მარადიული ,,წყლულია'', რომ ,,ვეღარ გააქრობს ამგვარ ჭრილობას, თუგინდ სიკვდილმაც შეახოს ბაგე'', ამ წყლულს იგი უწოდებს ,,მწვანე ბივრიტს''. მწვანეს იმიტომ, რომ იგი არ ჭკნება და არ ხუნდება, ბივრიტს იმიტომ, რომ იგი განძია უძვირფასესი:

ეგებ მშობელი არის ვარძია,
ანუ ხერთვისი კვამლივით მსრბოლი.
ჩემი აკვანი ვინ დაარწია,
ლანდი ვინ მომცა წყნარი და ტოლი...

(ჩიქოვანი, 1963:296)

პოეტი ხოტბას ასხამს ვარძიის მშენებელ დიდ ოსტატს, რომელმაც კლდეში გამოკვეთა ეს სასწაული:

ღამდებოდა და ვარძიის თაღებს
გაოცებული მე გავყურებდი,
ჰგავდა ლოდები დამსხვრეულ ტალღებს

და ტალღებს აჩნდა ნაფეხურები.
და მე ვფიქრობდი: როგორ ახველი,
როგორ დაჭედე ვარძიის კარი.
როგორ გავარდა შენი სახელი,
ვით გავარდნილი მდინარე მტკვარი.
ვიწრო სენაკში როგორ ფიქრობდი,
ღელავდი, სცლიდი უხელო სურას...
ერთგულ შეგირთან როგორ მირბოდი
და უთარგმნიდი ბუნების სურათს.
როგორ ზომავდი მთას და პიტალოს,
როგორ ხაზავდი გვირაბებს ფიქრში.
როგორ მოქარგე შემდეგ მიდამო
და მტკვრის ნაპირზე ვარძიად იშვი!
(ჩიქოვანი, „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“, 1963:296)

სიმონ ჩიქოვანის პოეტურ ხელოვნებაში მხატვრობას თითქმის არასოდეს არა აქვს თვითმიზნური ხასიათი. გარეშე სინამდვილე, ,,მკვდარი'' თუ ,,ცოცხალი'' ბუნება მას, როგორც პოეტს, უმეტეს შემთხვევაში, აინტერესებს არა როგორც აღსაწერი საგანი, არამედ როგორც მასალა თავისი პოეტური სახეების გამოსაძერწად. ხოლო ამ უკანასკნელთა მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს არა უბრალო ფერწერული ეფექტის მიღწევა, არამედ გარკვეული იდეის, განცდისა და განწყობილების ხელშესახები გადმოცემა. ეს ბინებრივიცაა, რადგან, როგორც ვიცით, ბუნებისნ სურათები მხატვრული კომპონენტია არა მარტო ეპიური ტილოებისათვის, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ლირიკულ ნაწარმოებთათვისაც.

სიმონ ჩიქოვანის ბევრ ლექსში მამული მშობლიური განცდების მუდმივი თანამხლებელია: ეს არის ყოვლადი სული (,,ოი, მამულო, თუ დავინგრე, კვლავ აღმაშენე, სიკვდილს გამთიშე, ჩაგვერიე და გაგვაშველე'') შთაგონებისა და დაუმარცხებელი

მხედრის სახით გამოცხადებული, რომელსაც წმინდა გიორგის იერი აქვს. ეს არის გვალვაში ,,ქართული ჩრდილი'' და სიკვდილში დამტირებელი ,,სუსხიანი კოლხური ქარი'', ეს არის ,, სადაფისფერი ცის, ნაჭერი ქართული მაისის, ნამდვილი შიში ქარიშხლის და აპოკალიპსის...'' და კიდევ ეს არის უდიდეს მამულიშვილებთან მხარდამხარ დგომა (,,მათი სამხილით ვიტანჯე ბევრი და გულმოდგინედ ბევრჯერ ვეწამე'').

ლექსით ,,უდღეურ პოეტს'' (1927წ) იგი მკაცრად უპირისპირდება იმ მწერლებს, რომლებიც მოსწყდნენ ხალხს, უცხოეთში ნასესხებ ხმებს ყალბად აჰყვნენ და მშობლიური ჰანგების ნაცვლად მკითხველს ნაქურდალი აქცენტითა და უხამსი გრძნობით შეზავებულ კაკაფონიებს სთავაზობდნენ:

შენ დაგრჩა სხვისგან მოპარული ლექსის ნახევი
დაეძებ სუფრას რომ მიიღო სხვისი წყალობა
შენ უცხოეთში ნასესხებ ხმას ყალბად აჰყევი
და ვერ გაიგე სამშობლოში ხალხის გალობა.

(ჩიქოვანი, ,,უდღეურ პოეტს“, 1965:155)

ამ საპროგრამო ლექსში ს. ჩიქოვანი თავის უწმინდეს მოვალეობად ქვეყნის სამსახურს აღიარებს. მას სწამს, რომ ჭეშმარიტი პოეტია მხოლოდ ის, ვინც თავის ხალხთან ერთად ცხოვრობს და უმღერის მის წარსულსა და მომავალს. მხოლოდ ასეთ მწერალს შეიყვარებს და მიიღებს ხალხი, სწორედ ამიტომ სურს პოეტს, რომ „ხალხს დავუტოვო სიტყვა მართალი, ვამბობ სიმღერას ანთებულს და ადამიანურს“.

ცხოვრების აზრისა და არსის ფილოსოფიური განსჯა ორგანულად ერწყმის სამშობლოზე ფიქრს. ყოფნა-არყოფნის ზღურბლთან მიახლოებული შემოქმედის სულიერი სამყაროს ფილოსოფიური გააზრება, თავისებური ყოყმანი მიღწეულსა და თვით შემოქმედის სულში აღძრულ უკმარობის გრძნობას შორის ბრწყინვალედ განსახიერდა ლექსში ,,არის სიყრმის და სიმწიფის შორის''...

არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების თუ სიმორცხვის ჟამი.

ხელში შეგრჩება დაღლილი ქორი,
ჯამში დაშრება სპეტაკი შხამი.
ეს ჟამი დადგა, დავეჭვდი, ძმანო!
გამხმარ თითებში ნელდება ალი,
პირველი ცეცხლის დახარჯვას ვნანობ
როგორ ავანთო ფურცლებზე ბწკარი!
სულის თვისება, მღერა და ცრემლი,
როგორ ვამგვანო აპრილის კოკორს,
ანუ ოსტატის გაწვრთნილი ხელი
აღსარებისთვის აღვმართო როგორ!
ფრთები მომტყდა თუ დამშვიდდა ქორი,
გულს სიჭაბუკე აშოროს ლამის.
არის სიყრმის და სიმწიფის შორის,
სინანულის თუ სიმორცხვის ჟამი!
ეს ჟამი დადგა, მეცვლება ფერი,
ველი დაჭკნა და მცირე ხნით მოთოვს.
მინდა მიწაზე ცხოვრება ჩემი
ჰგავდეს ქარიშხალს და არა ფოთოლს.
ჩემო მამულო მაჩუქე ნამი,
უშველე მინდვრად გამოსულ მთესველს.
მტირალი მოველ მიწაზე ღამით
და მინდა მღერით ავიდე მთებზე.
შემომაშველე მაისის თქორი,
გულში ყვავილი დამიჭკნეს ლამის.
არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების და სიმორცხვის ჟამი!

(ჩიქოვანი, 1963:174-175)

მამულთან ამგვარი დამოკიდებულება, მის წარსულსა და აწმყოში სიცოცხლის აზრის ძიება მეორდება ლექსში ,,ჩემო მამულო''... ,,ჩემო მამულო, თუ დავინგრე, კვლავ ამაშენე, სიკვდილს მომწყვიტე, ჩაგვერიე და გაგვაშველე'', - ეს მიმართვა გულწრფელი გამჟღავნებაა იმ დიდი ძალისა თუ იმედისა, რომელსაც პოეტური ძიების გზაზე პოულობდა ავტორი. სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ჭიდილის ჟამს მას ერთადერთი მესაიდუმლე და მანუგეშებელი ჰყავდა; ესაა მშობელი ქვეყანა. ამ იმედს აცისკროვნებს ბალახისა და თივის სურნელი, მაისის ზეცის უსაზღვროება. ყოველივე ეს აძლევს პოეტს უფლებას, განაცხადოს:

თუ დამიჯერებთ, მამულს ვფიცავარ,
მე არ ვიცოდი კაცად ვინცა ვარ,
ახლა ვიგრძენი, მუჭა მიწა ვარ
და საქართველომ წილად მიწამა.

(ჩიქოვანი, 1963: 20)

ამ სტრიქონების მიღმა ჩანს მამულის ბედზე დაფიქრებული სახე ჭეშმარიტი პატრიოტისა. განწყობილება, რომელსაც კიდევ ერთ ლექსში - ,,არ დამშვენდება'' - ქმნის ავტორი, სამშობლოს ბედზე დაფიქრებული კაცის მონოლოგია.

სიმონ ჩიქოვანის ლირიკის მთავარ შინაარსს სამშობლოსადმი სიყვარული განსაზღვრავს. მისი ფიქრი და შთაგონება განუყოფელია მამულისაგან:

თვალის სინათლევ, ორთავ თვალის, ჩემო სამშობლოვ,
მე შენთვის ვშრომობ, რომ ბოროტის კვალი გაშორო.
განლია ცრემლმა უმარილომ თვალი დამწვარი,
გაშლილ ფურცელზე ფორიაქობს შენი ნაცარი.
შენი მიმინო მხარს მიმშვენებს, ფერი ვეუანის,
ჩემს ოცნებებში წკრიალებდა მისი ეუვანი.
შენ ბნელოვანში გამინათე წყარო სარწმუნო,

მინდა გულიდან ვით ყურძნიდან ღვინო დავწურო.

სული, ქვევრივით თავმოხსნილი, როგორ ამბოხდა,

მღერა მინდოდა და ყიჟინი როგორ აღმომხდა?!

შენ, წინაპარო, გამოცხადდი ან მომეშველე,

შემომეშველე, შენ, სამშობლოვ, შემომეშველე.

(ჩიქოვანი,„ჩემო მამულო“, 1963: 20)

თავდავიწყება იბადება მძაფრი სურვილიდან, - რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოასწრო,მეტი ლამაზი ფერი დაუტოვო სამშობლოს, თორემ გასულა ცხოვრების შუადღე, ჭკნობა შეპარვია შეყვითლებულ ფოთლებს და სულში ფოთოლცვენა შრიალებს. ამ ქვეყნიდან მიმავალ პოეტს კი დიდი სიკეთე, ბევრი აუხდენელი სურვილი და შიში მიჰყვებს თან, შიშ საკუთარ თავში დაეჭვებისას:

თქორი გაქრა და შარა მშრალია,

მცირე საგზალი მიდევს აბგაში,

ჩემს სულში ქარვის ქარიშხალია,

მცირე იჭვი და ჩუმი განგაში.

მე ერთი ლუკმა პური მეყოფა,

ფინჩხა ყველი და ჭინჭილით ღვინო

და თუ შარაზე ღამემ შემღობა,

არ მეძინება, რად დავიძინო?!

(ჩიქოვანი, 1963:125)

სიცოცხლის ღრმა რწმენა, ნათელი ოპტიმიზმი, კეთილ საქმეთა უკვდავყოფა სიმონ ჩიქოვანის ლირიკის ამოსავალი წყაროა. მისი პოეზია განმსჭვალულია ჯანსაღი სიყვარულით სამშობლოსადმი, მშობლიური ხალხისადმი. პოეტმა თავისი შემოქმედება ფერდობზე მორაკრაკე მაცოცხლებელ წყაროს შეადარა. მას ღრმად სწამდა, რომ ამ წყაროსთან მისი სიკვდილის მერე მოვიდოდნენ ადამიანები, შესვამდნენ მაცოცხლებენ წყალს და მოიგონებდედ მათს სიყვარულში დაფერფლილი პოეტის გულს:

ჩემო მამულო, თუ დავინგრე, კვლავ ამაშენე,

სიკვდილს მომწყვიტე, ჩაგვერიე და გაგვაშველე.

ამრიგად, სიმონ ჩიქოვანის პატრიოტულ ლირიკაში იგრძნობა სამშობლოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე მოფიქრალი შემოქმედის მამულიშვილური განწყობა.

§ 2. ისტორიული წარსულის პოეტური ხატება

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მოტივი ქართველი ხალხის გმირული ისტორიის მხატვრული გარდასახვაა. პოეტის ლირიკაში წარსული მოჩანს არა როგორც ჩვენს გარეთ არსებული გარდასული ცხოვრება, არამედ როგორც ჩვენს სისხლსა და ხორცში განუყოფლად ჩაკირული ტკივილი:

ჩემი წყლულია მწვანე ბივრიტი,

როგორც ბეჭდის თვალს დასცქერის თემი.

ჩემო მამულო, დიდხანს მივლიდი,

აწ კი მიიღე სიცოცხლე ჩემი.

(ჩიქოვანი, „დაჭრილი“, 1963:31)

ჯერ კიდევ ბავშვობაში, ტყვირის საყდრის მყუდრო სიძველე ღრმად აღიბეჭდა პოეტის ცნობიერებაში. ტყვირის საყდართან სიახლოვემ დიდად განსაზღვრა მისი დამოკიდებულება ქართველი ხალხის წარსულთან ამის შესახებ მწერალი წერდა: ,, მე ხშირად ვყოფილვარ ტყვირში სიყრმის წლებშიც, შესაძლოა იქ ჩაისახა ჩემში მშობლიური ქვეყნის ისტორიისადმი სიყვარული. ეს სიყვარული სანთელივით ანთია პოეტის რწმენაში. ვისაც ქართული მიწისთვის ფეხი დაუკარებია და მის წარსულს დაჰკვირვებია, არ აქვს უფლება ამ კუთხეს პატარა უწოდოს. ის ლექსი ,,ვინა სთქვა'' არის გაჟღენთილი, ამ დიდ სიყვარულში იღებს სათავეს. მასში ერთმანეთთანაა შერწყმული ქართველი ხალხის მიღწევათა გრანდიოზულობა, ქართული ბუნების კოლორიტი და გუთნისდედის რწმენის უკვდავება.

ლექსებში აღბეჭდილია პოეტის ღრმა სიყვარული თავისი ძლევამოსილი, თავისუფალი სამშობლოსადმი. ეს მკაფიოდ იგრძნობა მის ისტორიულ თემატიკაშიც. ციკლი ,,წინაპრები'', რომელშიც შედის ლექსები ,,წიგნი ჟამთა აღმწერელისა'', ,,თათართა შემოსევა'', ,,არმაზის აჩრდილები'', ,,მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი'' და სხვა. ეს ლექსები გამსჭვალულია იმ აზრით, რომ ქართველმა ხალხმა არა მარტო გაუძლო ბარბაროსულ შემოსევებს, არამედ ისტორიული განსაცდელის მძიმე დღეებში შეძლო შეექმნა ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების განუმეორებელი ძეგლები. ამის თვალსაჩინო მაგალითია ვარძია, რომლის ქვებზე ამოკვეთილია ქართველი ხალხის ფიქრები და ნებისყოფის სიმტკიცე, გაუტეხელობა, დიდი შემოქმედებითი უნარი და სიბრძნე, ვარძიის ბნელ სენაკებში მოხეტიალე პოეტი შთაგონების მადლიანი ძალით აცოცხლებს გარდასული დროის დიდ ოსტატს და, მისი ნიჭის ნაღვაწით გაოცებული, გონების თვალით ეძებს ჟამთა ბურუსში ჩაძირული ხელოვანის ვინაობას:

წინაპრები ჭექდნენ ოდით,
საზღვრად ვიდგეთ დარაჯებად,
და როცა მტერს მოველოდით,
ხმალზე ვწერდით გამარჯვებას.

(ჩიქოვანი, 1983:25)

პოეტს ღრმად აფიქრებს ბედი იმ ადამიანისა, რომელმაც ზღაპრულ ჩუქურთმებში საკუთარი სული და გული ჩააქსოვა და საუკუნეებს ხორცშესხმული საკვირველება დაუტოვა, თავისი სახელი კი თავმდაბლობის გამო არსად არ აღნიშნა. მაგრამ ამ დიდი შემოქმედის სახელი მაინც უკვდავი დარჩა, როგორც ხალხის გმირული სული და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ნათელი სიმბოლო. ვარძიის ისტორიული ძეგლის ხუროთმოძღვარს გამარჯვებული ხალხის პოეტი ასე მიმართავს:

რად წარიშალე, შენ უკვდავება
გეძახის, გეძებს მთების უბეში!
დიდო ოსტატო, ჩვენი თაობა

გიხმობს მშრომელთა საუკუნეში.

.....

შენ ჩვენთანა ხარ, როგორც გულისთქმა,

და გვაამაყებს შენი მარჯვენა.

შენმა სვეტებმა, შენმა ჩუქურთმამ

მაღლა აგწია და დაგამშვენა.

მძლავრი ფიქრები ქვაზე აქარგე,

ქვაზე დაღვარე სულის ნაღველი,

რადგან სახელი უკვე დაჰკარგე,

ვარძია იყოს შენი სახელი.

(ჩიქოვანი, „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“, 1963:297-298)

ეხება რა სიმონ ჩიქოვანის პოეზიას გ. მარგველაშვილი აღნიშნავს: ,,ისტორია სიმონ ჩიქოვანისათვის უფრო მასალაა, ვიდრე თემა. ნიშანდობლივია, რომ ამ მასალის შერჩევისას მუღავნდება გარკვეული კანონზომიერება: პოეტს იზიდავს არა ,,ოქროს ხანა'' საქართველოს ისტორიისა, არამედ მისი ტრაგიკული პერიოდები.... წარსულის დრამატული აღქმა, ღრმა ლირიკული განცდა და გააზრება , - აი, სიმონ ჩიქოვანის პოეზიის განმასხვავებელი ნიშნები'' (მარგველაშვილი, 1960: 92-93). კრიტიკოსმა გამოკვეთა ის თავისებურება, რაც პოეტის შემოქმედებას ახლებურ ჟღერადობას ანიჭებს.

სიმონ ჩიქოვანმა უბადლო ოსტატობით გააცოცხლა ისტორიის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ქართველ ხალხს წამების გვირგვინს ადგამენ თავზე. ლექსი ,,წიგნი ჟამთააღმწერლის: თათართა შემოსევა'' საქართველოში მონგოლების ლაშქრობის გახსენებაა. თათართა ურდოების მიერ აოხრებულ ქვეყანაში, სადღაც მონასტრის ცივ სენაკში იჯდა მემატიანე და წერდა ჩვენი სამშობლოს ტანჯულ ისტორიას, თანამედროვე პოეტისათვის მტკივნეულია ისტორიის ამ უძნელესი ფურცლების გახსენება:

მე გადვიკითხავ ჟამთააღმწერელს,

მსურს სხვა წარსული ვიხილო შიგნით,

ვპოვებ ისრებით მიწას დასერილს

და მონღოლივით დამჩეხავს წიგნი.

მიხმობს აისით და ჩინმაჩინით

კაცი თვალმცირე, ჭვრიტა და გრემან,

ცხენზე შემჯდარი შავი აჩრდილი

და ფლოქვით იწყებს კოშკების ნგრევას.

ლექსში განსაკუთრებით შთამბეჭდავად მოსჩანს ცოტნე დადიანის გმირული სახე და მისი მომლოდინე კოხტაგორის შეთქმულნი:

წიგნმა გვაჩვენა ცოტნეს აჩრდილი,

ვარვარა ისრის მწივანა კვესი,

და წინაპარი, მკერდში დაჭრილი,

კალმახად მხტუნავ სტრიქონში კვნესის.

ვხედავ, შეყრილან კოხტას შეთქმულნი,

მეცნიერნი და მხედრობის მცოდნე, -

ხმლით აღადგინონქართლი ბედკრული,

რად იგვიანებს გულადი ცოტნე?!

სტრიქონს ეხვევა კვამლი კოცონის,

შეთქმულ კოხტაზე ეცემა ციხე.

მონგოლთა ლაშქარს, მთაზე მოწოლილს,

მოაქვს აზიის ტრამალის ციხე.

წიგნი ინახავს რამდენ წინაპარს,

თვალიც ელვარებს მცირე და მჭვრეტი.

მე შენს ფურცლებზე ფერფლი მინახავს

და ქართლის ბედით ჟრუანტელს მგვრიდი.

(ჩიქოვანი, ,,წიგნი ჟამთააღმწერლის: თათართა შემოსევა“, 1963:304)

ჟამთააღმწერლის მონათხრობიდან წამოყოლილი მეორე ტკივილი, რომელიც კვლავ მონგოლთა ბატონობას უკავშირდება, ესაა გვანცა დედოფლის გმირული თავგანწირვა . ,,ავაგის ცოლყოფილი, გვანცა დედოფალი, მოკლულ იქნა თათართა შინამყოფი“. მემატიანემ გადაარჩინა ერისათვის წამებული მშვენიერი ქართველი ქალის სახელი; ,,ტანი კენარი, მხრები ლამაზი და მონგოლებით შემკრთალი სახე'' , - ასეთია პოეტის წარმოდგენით გვანცა. ავტორი ცდილობს, აღადგინოს მომაკვდავი ქალის სულიერი თრთოლვა, რომელიც ბოლომდე სამშობლოსაგან იყო განუყოფელი:

ვინ გაგიმეტა ქალი მწყაზარი
ვინ მოგაშორა მშობლიურ ფუძეს.
სამშობლოს ეშხით ლოყა დამწვარი
ვინ დაამგვანა გაცრეცილ ფურცელს.
ცრემლების სითბო თავფურცელს ორთქლავს,
ნარნარი ტანის სანთელი იწვის.
საფლავში ჩაგყვა რაჭული მოთქმა
და მღელვარება მშობლიურ მიწის.
ვინ დაგაშორებს წარსულს ბინდიანს,
წიგნში მწუხრივით ჩაგრჩა სახელი,
დავით ულუ და სარგის ჯაყელი.

(ჩიქოვანი, 1963:306)

მაღალმხატვრული, რეალისტური სახეებითა და პოეტური გადამწყვეტის თავისებური მანერით გამოირჩევა ს. ჩიქოვანის ლირიკული ლექსები, რომლების ისტორიულ ფაქტებზეა შექმნილი. ვკითხულობთ ამ ლექსებს და ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან დათალხული აჩრდილები მტრების მიერ სამშობლოსაგან გატაცებული ასულებისა, რომლებსაც წაართვეს ყველაფერი, რაც კი მათთვის ძვირფასი და სანუკვარი იყო. ჩვენ თითქოს შორეთიდან მოგვესმის თათარ-მონღოლთა ცხენების ფეხის ხმა და ომის ქარცეცხლით გადათქერილი ქართლის გადატრუსული ველების კვნესა.

ვხედავ ქართლიდან წასხმულ ქალწულებს,
შიშველი ტერფით ველობს ნაძოვარს,
ქალებმა ქართლში ძუძუ დასწურეს
და მისი ორთქლი მიწამ გვაწოვა.

(ჩიქოვანი, 1963: 314)

პოეტი კითხულობს ჩვენი წარსულის მღელვარე მატიანეს და სიყვარულისა და მოკრძალების უდიდესი გრძნობით ხატავს იმ თავდადებულ ქართველ პატრიოტებს, რომლებმაც ქვეყნის განსაცდელს მძიმე დღეებშე თავიანთი ხალხის ღირსება და სახელი გმირულად დაიცვეს და თავიანთი საქმით მამულისადმი ჭეშმარიტი სიყვარული გვიჩვენეს და ამასვე მოითხოვს სხვისგან:

ქვაზე ნუ წაშლი პაპის ნაფიქრალს,
იგი მწეა და სულის მთაფლავი
და გთხოვ, ეს გული ისე ჩაიკრა,
როგორც ჩაგიკრავს აბოს საფლავი.

(ჩიქოვანი,1963:143)

სიმონ ჩიქოვანის კალამს ეკუთვნის არაერთი ლექსი, რომლებიც ცოცხლად და ხელშესახებად წარმოგვისახავენ ძველი საქართველოს სინამდვილეს. სიმონ ჩიქოვანს ეკუთვნის ,,მომღერალი ცეცხლით'' ახმიანებული და ,,პირველქმნილი კვამლით შეფუთნული'' სტრიქონები საქართველოს უძველეს დედაქალაქზე, აი, უმშვენიერესი მინანქარი ,,არმაზის აჩრდილებისა'':

ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე,
მე ვარ მისი გაზაფხულის როშარი,
შევეთვისე, გულით დავიფურცლე,
შრიალებენ ვარდები და დროშანი.
პირველ ქართველს აქ დაუკრავს ბარი,
მოხვევია ვენახი და ასული.

აქვე მზრდიდა გამრჯე წინაპარი,

ჟანგიანი, ხავსიანი წარსული.

მშვენიერო რტოვ არმაზის!

მოვვლე მცხეთა და ზინძარი.

შენ ცხადი ხარ თუ სიზმარი,

თუ მძინარეს მოგისწარი.

ჩემი გული არ გათელო,

აღსდექ, თმებით აშრიალდი!

შენ ხარ ძველი საქართველო

და იმ ძველის ხვაშიადი!

(ჩიქოვანი, 1963:288-291)

თუკი ლექსის დამწერი არ განუცვიფრებია სტრიქონთა ანაზდეულობას, ისინი მკითხველსაც ვერ განაცვიფრებენ. (რ. ფროსტი) და მკითხველი მიხვდება, როგორი პოეტური წნეხი უნდა გაევლო პოეტის შთნაგონებას, რომ არსებობის სიხარული მოეხვეჭათ ასეთ სტრიქონებს:

მცირედი ჭვრეტით, გრემანი თვალით

ეგებ გეტრფოდა თვითონ ჩაღატარ!

ჟამთაღმწერელმა ჯევარდნულ ხმალით

შენი თვალები წიგნში ჩახატა...

(ჩიქოვანი, 1965:50)

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში სათანადოდაა წარმოჩენილი სამასი არაგველის გმირული სახე და შემართება:

გვიხმობსო ერეკლე ბატონი,

ვარამში თბილისის უბნებია,

სჭირდება არაგვის ნახტომი,

თვალში ჩაჟანგული ღრუბლებია,

დაბრუნდა წისქვილის ბორბალი,

თუმცა ხეობაში ლაჟვარდია...

და მოჰქრის სამასი თორღვაი,

ულაყზე ულო და აბჟანდია!

დაეცნენ გმირები არაგვის,

ორწოხეს ცხენები ჩარაგვია,

მტრის ჯავრი არ ჩაყვა არავის,

არაგვი თბილისშიც არაგვია.

(ჩიქოვანი, „სამასი არაგველის შემოსვლა თბილისში“, 1963:3140

რამდენიმე ლირიკული ლექსი მიუძღვნა სიმონ ჩიქოვანმა ისტორიულად საქართველოს მიწაზე მოსახლე ლაზების ტრაგიკული ყოფის წარმოსახვას. საზღვართან მისული პოეტის ფიქრი სავსეა ისტორიული ავბედობის გახსენებით. მარადიდში დამკვიდრდა სიცოცხლე და სიკეთე, მაგრამ ხიდგაღმაც ხომ მარადიდია. სურდა პოეტს გაღმაც ღვიძლი ძმა ჰყოლოდა.

საზღვრის ტრაგიკული აღქმა კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა სოფელ სარფში. შუაზე გაყოფილი ეს სოფელი ორად გაჭრილი გულისთვის შეუდარებია მწერალს. გაღმა სარფში სიჩუმეა, თითქოს იქ უფრო ადრე ღამდება, არც მამლის ყივილი ისმის, გარემო რომ გამოაფხიზლოს. თითქოს ,,ამომშრალა'' მთელი სოფელი, მოგვარის ოჯახში სულს ღაფავს ქონის სანთელი:

აგრე მგონია, გადაღმა სარფში

ადრე ეშვება თურქული ღამე,

ლაზის ურემი ჩაფლულა ლაფში

და შინ მეურმე ვერ მივა მალე.

(ჩიქოვანი, 1965:172)

სიმონ ჩიქოვაბის ლირიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი სახელოვანი წინაპრებისადმი მიძღვნილ ლექსებს. თეიმურაზ პირველის, სულხან-საბა ორბელიანის,

ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა ხსოვნისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში პოეტი აცოცხლებს საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ფურცლებს. საყურადღებო ამ ლექსებში ის არის, რომ მწერალი წინაპართა დამსახურებას ქართველი ხალხის ისტორიასთან განუყოფელ კავშირში წარმოგვიდგენს.

თეიმურაზ პირველის ტრაგედია იმიტომაა ავტორის მიერ ასე მტკივნეულად განცდილი, რომ იგი მთელი ერის სატკივარი იყო. პოეტი ხატავს შემოდგომის სიყვითლეში გარინდებულ, ნაადრევად მობერებულ მეფე-პოეტს, რომლის აწეწილი ცხოვრების ისტორია იგივე ქართლ-კახეთის ბედის ძიების ისტორიაა:

შემოდგომაა და უსურვაზი
ამშვენებს ტყეს და ნანგრევის თაღებს.
სადღაც წარსულში თეიმურაზი
ზის, უთვალთვალებს წლევანდელ კახეთს.
შებერებულა მგოსანი თითქოს,
ვერ შეუცნია ნისლში ხმელეთი.
სპარსულ უღლიდან გამოხსნას ითხოვს,
და იმედივით ჩანს იმერეთი.
უთქმელი დამრჩა ბევრი ნაწყვეტი,
ყრმობა დავკარგე, ჩაკვდა სიამე,
და მგლოვიარე დედის ცაცხვები
მე მახსენებენ სპარსულ ყიამეთს.
დედა ქეთევან და სიჭაბუკე
ვუძღვენ ერთგულმა კახეთის წალკოტს,
შემდეგ სპარსულად ხმა დავიქუხე
და ხმის სამშობლომ წამება მარგო.

(ჩიქოვანი, „თეიმურაზ პირველი“, 308-309)

წინაპართა ღვაწლი დაფასებულია იმის მიხედვით, თუ რა როლი მიუძღვით მათ ერის კულტურისა და ისტორიის წინაშე, ამიტომ პოეტი გვერდს ვერ აუვლიდა ერის სულიერი მამის - ილია ჭავჭავაძის - ხსენებას. წიწამურთან ვერაგულად მოკლული მამულიშვილი მოუნელებელ ტკივილად ექცა ერს:

არაგვის მარცხნივ ჩუმი ჩრდილია,
ქვიშაწაყრილი მწვავე წყლულია,
სადაც დაეცა მწუხრზე ილია,
სადაც მწუხარე წიწამურია.
აქ უჩინარი აჩრდილი ტირის,
მამულის წყარომ სული დალია,
რტო დაუხრია არაგვზე ტირიფს,
მერმე კალო და ნაპურალია.

(ჩიქოვანი, „წიწამური“, 1963:319)

ლექსების გაცნობით მკითხველი ადვილად შეამჩნებს სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში ნათლად გამოვლებილ ტენდენციას, - თავისი პოეტური სათქმელი ავტორმა დაუკავშირა ისეთ ადამიანებს, რომელთა პიროვნული ბედი ორგანულად შეერწყა ჩვენი ხალხის ტრაგიკული ისტორიის ფურცლებს. ამის ნათელი მაგალიათია ლექსი „აჩრდილი“, რომელიც ილია ჭავჭავაძის უკვდავი პოემის გამოძახილია. ეპიგრაფვადაც პოეტს ილიას სტრიქონები წაუმძღვარებია:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული...“

სწორედ აჩრდილის მონოლოგი იქცა სიმონ ჩიქოვანისათვის იმ შთაგონების წყაროდ, რომელმაც პოეტს შემდეგი სტრიქონები დააწერინა:

რქვა: საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
შენი მცხუნვარე მიწის ნაწილი.
ჩვენი მარკვენა არსად შემკრთალა,

არსად გამტყდარა თვალი არწივის.

მინდა ყიოდე, პაპას გამგვანო,

ღამე ვტეხე და გლოცე წუხელი.

შენ, ამირანის მიწავ, აკვანო,

ვერვინ დაგადგას მონის უღელი.

(ჩიქოვანი, 1963:29-30)

თითქმის ყველა ნაწარმოები, - წარსულის თემაზე დაწერილი, - იმ სევდისა და უკუღმართობის ანარეკლია, რომელიც ქართველი ერის ისტორიას მკაფიოდ ახასიათებს. ამ თვალსაზრისით აფასებს პოეტი თანამედროვეთა საქვეყნო დამსახურებასაც. გავიხსენოთ, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი: ,,თითქო სიგელზე თემური იწვა, შენ შეეხე და მოგტეხა ხელი'' , - ასე განიცდის ავტორი ივანე ჯავახიშვილის სიკვდილს, რომლის მთელი სიცოცხლეც ორგანულად შეერწყა ქართველი ხალხის წარსულს.

ასევე საინტერესო ლექსები მიუძღვნა სიმონ ჩიქოვანმა ვლ. მაიაკოვსკს, ა. წერეთელს, პ. იაშვილს, მ. გელოვანს, ნ. შენგელაიას, უ. ჩხეიძესა და სხვა მონაწილეებს.

უცხოობაში ნატანჯი წინაპრის შთამბეჭდავი და ამღელვებელი სახე მოსჩანს ს. ჩიქოვანის ლექსში „დავით გურამიშვილი წვიმაში“. ლეკთა ტვეობიდან თავდახსნილ, სამშვიდობოს მაძიებელ დავით გურამიშვილს მრავალი განსაცდელის გადატანა მოუხდა. მშიერსა და მიუსაფარს ხან წვიმა წამოეწია გზაზე, ხან სეტყვა და ჭექა-ქუხილი:

შენ გარბოდი, გზაში ქარი მოგეწია,

მოასხურა წვიმა და აგაპყრო ცისკენ.

ღმერთო ჩემო, წვეთია თუ წყლის ბეწვია!

ნუ დამამსხვრევ მეხით, ხე კეთილი მიხსენ!

არ გისმინა, გზაში წვიმამ გაგიმეტა,

გაიშალა იგი, როგორც დედის გლოვა.

მოშხუილე ღამე ბინად დაგებედა

და ავდარი ბედმა მოძმედ დაგიტოვა.
ერთი ცაცხვიც არსად შეგხვდა დაქოლგილი,
აღარც თივის ზვინი, შესადარი ბუხრის.
მოწანწკარე წვიმის ძუით დაბორკილი,
გიხილე და, მწირო, გამშვენებდა მწუხრი.
ხეტიალში ხუჭუჭა თმა გაახუნე,
გალობაში სუფთად შეახვიე წყლული
და მლოცველმა კალმით ქართლში დააბრუნე
ნაწვიმარი ვარდი, სტრიქონებში რგული.
წვიმაა თუ მგლოვიარე ყვავილები?
და ამშვენებს წიგნში წამოფრენილ სტრიქონს!
ვკითხულობ და სანთელივით დავილევი
და წვიმაში, მწირო, საქართველო გიხმობს.

(ჩიქოვანი,„დავით გურამიშვილი წვიმაში“, https://poetry.ge)

ჩვენი ეროვნული ისტორიის ერთი მკაფიო ფურცლითაა შთაგონებული სიმონ ჩიქოვანის ლირიკული პოემა ,,სიმღერა დავით გურამიშვილზე“. იგი თავისი იდეური და მხტვრული კონცეფციით ჭეშმარიტად ხალხური ნაწარმოებია და, ამასთან ერთად, მისი პოეტურ სახეები უშუალოდ მემკვიდრეობით კავშირში იმყოფებიან ქართული კლასიკური პოეზიის ცოცხალ ტრადიციებთან.

ამრიგად, სიმონ ჩიქოვანის კალამს ეკუთვნის არაერთი ლექსი, რომლებიც ცოცხლად და ხელშესახებად წარმოგვისახავენ ძველი საქართველოს სინამდვილეს და წარსულის კოლორიტული სახეებს, აქ იგრძნობა ისტორიის ცხოველი განცდა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან სულიერ ტრადიციებთან უშუალო შეხმიანება.

§ 3 „განჯის დღიურები“ - დიდი შემოქმედის ცხოვრების პოეტური ქრონიკა

სიმონ ჩიქოვანის ლირიკის საუკეთესო ტენდენციებმა თავისებური განვითარება და გაღრმავება ჰპოვეს ლექსების ციკლში - ,,განჯის დღიური". მასში ავტორმა მძაფრი შთაგონებით წარმოსახა ბარათაშვილის სულიერი ცხოვრების ვნებათაღელვა აღსასრულის ჟამს. ეს არის ლირიკული დღიურები ეპოქისაგან გარიყული გენიოსისა, რომელმაც უცხო მიწაზე, ყველასგან მიტოვებულმა, დალია სული. ლექსების ციკლზე წამძღვარებულ ანოტაციაში ვკითხულიბთ: ,,გამოჩენილი ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნი ,,განჯის დღიური" ერთი ბრწყინვალე ფურცელია თანამედროვე ქართულ პოეზიაში. წიგნში მაღალმხატვრულად ისახება დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი ცხოვრება. ეს არის შემოქმედის ბედისა თუ უბედობის ამსახველი ლექსების კრებული, რომელიც თავისთავად გამოხატავს თვით წიგნის ავტორის მრწამსსა და სულიერ განწყობილებას.

სიმონ ჩიქოვანის მიერ ბარათაშვილის სულიერი ტკივილების ლირიკულ განცდას წინაპარი მგოსნის ლტოლვათა და ვნებათა გათავისებას, მეტი სიწრფელე და დამაჯერებლობა შეაქვს ლექსებში. ციკლის ტრაგიკულ პათოსს ამძაფრებს მონოლოგების ფორმით სათქმელის გამოხატვა. ყოველი ლექსი თითქოს აღსარებაა განსჯის ზღურბლთან მისული შემოქმედისა.

,,განჯის დღიურში'' გამთლიანდა ბარათაშვილის პოეზიის ტკივილთა ძირითადი საწყისები, რაც ცხოვრების არსის ფილოსოფიურ გააზრებაში, ეპოქის უკუღმართობასა და სიყვარულის ტრაგედიაშია შობილი. სიმონ ჩიქოვანი განსაკუთრებული სიმძაფრით აშუქებს ტატოს სულიერი მარტოობის ლირიკულ სფეროებს. შთამბეჭდავი ფერებითაა გაცოცხლებული ეკატერინე ჭავჭავაძის აჩრდილი, რომელიც განუყრელ ზმანებად ასდევნებია მშობლიური მიწიდან ბედის უკუღმართობით გადაკარგულ პოეტს.

წინათქმაში, რომლითაც ლექსების ეს ციკლი იხსნება, ავტორი გამოხატავს თავის მიმართებას მგოსნის წმინდა ხსოვნასთან. ყოველი ფრაზა განმსჭვალულია დიდი წინაპრისადმი ღრმა სიყვარულითა და მოკრძალებით, რაც აბედვინებს ავტორს, მისეულად განიცადოს ბარათაშვილის სატკივარი:

ჩემიც ჩავურთე, ღამე ვათიე,
გადავათეთრე თლილი ბწკარები,
თუ რამ შევცოდე , შენ მაპატიე,
სულში რეკავენ შენი ზარები.
(ჩიქოვანი,1965:167)

ბარათაშვილის სულიერი ვნებათაღელვის გასახსნელად სიმონ ჩიქოვანს თავიდანვე შემოჰყავს ციკლში ეკატერინე ჭავჭავაძე. ეკატერინე ჭავჭავაძესთან უიღბლო რომანში იგრძნო ბარათაშვილმა ყველაზე მძაფრად სიყვარულის რომანტიკული და ღვთაებრივი ბუნება. სიყვარული ტატოს არსებაში ქცეულია სულისა და ზნეობის უმაღლეს მწვერვალად, საიდანაც სულ სხვაგვარად მოჩანს სამყაროს ჰარმონია.

ლექსების ამ ციკლისთვის სპეციფიკურია სამშობლოს სიშორით აღძრული მძაფრი განცდა მშობლიურ კუთხეს მოწყვეტილი პოეტისთვის. ბარათაშვილის სინანულს აძლიერებს ქართლის მთებისა და მტკვრის დუდუნის გახსენება და იგი თავს სხვის საფლავში მიბარებულივით გრძნობს. მისთვის უმჯობესია მტკვრის პირას ჩინარად ყოფნა, ოღონდ მთაწმინდის სიახლოვით ითრთოლოს. მგოსნის სევდას ხშირ შემთხვევაში მშობელ კუთხეში ვერმობრუნების წინათგრძნობა განაპირობებს.

ოსტატურადაა ჩართული ,,განჯის დღიურში" ბარათაშვილის ოჯახის სიდუხჭირე. მამას დამბლა დაეცა და დაავადმყოფდა. სიღატაკეში ჩავარდნილ პოეტს თავზე ენგრევა ჭერი, მოვალეებს მიაქვთ თითქმის ყველაფერი და იგი იძულებულია ლუკმა-პურისთვის განჯაში წავიდეს სამუშაოდ, თუმცა ეს ძალზე ძნელია. ,,უკვე ვერ ვხედავ ეზოს გალავანს, დაბლა ეშვება სამშობლოს ჭერი" ,- ამბობს პოეტი და ამ მონოლოგში ჩანს მისი სულის მარტოობა.

განჯაში გადაკარგული მგოსნისთვის ერთადერთი მეგობარი, რომელსაც იგი წერილებით უმხელდა გულის ხვაშიადს, მაიკო ორბელიანი იყო. სიმონ ჩიქოვანი მაიკოსთან ტატოს სულიერ სიახლოვეს სულ ორ პოეტურ ბარათში წარმოგვიდგენს, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ვიგრძნოთ ბარათაშვილის ცხოვრებაში ამ ქალის

იმედიანი როლი. მშობლიური კუთხიდან გადაკარგული პოეტი უჩივის უმეგობრობას, თითქოს ყველას მიავიწყდა იგი და ამ მივიწყებას თან გაჰყვა ყოველივე საოცნებო და საიმედო. ეჭვები ფათურობენ მის სულში, ირგვლივ ჭაობის ცხელებაა. საწუთროს ორად გაუპია მისი გული: ერთი-ღვთიური ოცნებებითა და იმედებით სავსე - თბილისში დარჩა, მეორეს კი უმწეოდ დაათრევს განჯაში: ,,ცბიერი ყოფილა სატრფო თუ საწუთრო, ვინც სანდო მეგონა აღმოჩნდა მაცდური" , - ასეთ დასკვნამდე მიდის დიდი წინაპარი.

ამგვარ გარემოში მოქცეული მგოსნისთვის, ბუნებრივია, ძვირფასი იქნებოდა ყოველივე სამშობლის მშვენიერებას რომ გაახსენებდა; ამიტომაც ევედრებოდა იგი თავის საყვარელ მეგობარს - მაიკო ორბელიანს, გამოეგზავნა ბარათი, მოეთხრო მასში თავისი სევდაცა და თბილისის ჭორებიც:

საყვარელო დაო, ძვირფასო მაიკო!
გულიდან ამომაქვს მჩხვლეტავი ქაცვები,
რას სწუხარ, რა მოხდა, ასეთი რა იყო?
ბინდშია მთაწმინდა და შენი ღაწვები.
დავყურებ ბრჭყვიალა, დახეთქილ ბროწეულს,
სადილად ლავაში და ცხელი ფითია.
მე ვგავარ განჯაში სასიძოდ მოწვეულს
და სული მილეულ ჭრაქივით მინთია.

(ჩიქოვანი, 165:122)

ეს ბინდი ეპოქის, მაშინდელი საქართველოს ბინდი იყო, რომელიც განაპირობებდა ბარათაშვილის სევდას. განჯის დამყაყებულ გარემოში მომწყვდეული მგოსნის ტკივილი მთელი ერის ტკივილია. ასე ნათდება თვითონ ბარათაშვილის პოეტური სამყაროს სიღრმიდანვე დიდი წინაპრის ეული სულის აღსარება, რომელიც სიმონ ჩიქოვანის ნიჭის სიმწიფემ ახალი ცეცხლის ნათელით აავსო.

განჯის ლირიკული დღიური განვლილი ცხოვრების მოგონებათა ანარეკლია, რომელშიც მთელი სიგრძე-სიგანით ჩანს ბარათაშვილის სულის მდინარება. ამ

მოგონებებში კი მთავარი ადგილი უჭირავს დაკარგული სიყვარულის ტრაგიკულ განცდას. პოეტს აგონდება როიალთან სატრფოს სიმღერა. სატრფო ალაზნის პირას გაფურჩქნული ვაზია, რომელსაც ვერას აკლებს ვერც სიცხე და ვერც სიცივე. მისი ჩურჩული ისმის ბალახის შრიალში, ხოლო სიცილი - წყლის ჩხრიალში. პოეტი ეძებს სატრფოს ხმას უცხო მხარეში. ამ ძიებამ მას ცხოვრების გზა გაუმრუდა, მაგრამ ეამაყება, რომ მის ოცნებაში ცისიერს ისე უცხოვრია, როგორც თბილისის ვიწრო ქუჩებში; ამ ოცნებაში ბინდი წამოსწევია და ღამის ქსელში გაბმულა, მაგრამ მაინც უწმინდესი ნეტარებაა სატრფოს აჩრდილის ჩვენება:

მე დამესიზმრა უცხო საყურე,
როგორც პეპელა, ვარდზე გაჭრილი,
წამოვვარდი და კარი დავხურე!
არსად გაფრინდეს შენი აჩრდილი.

(ჩიქოვანი, 1965:27)

აქ ბრწყინვალე პოეტური ფორმაა მოძებნილი სიყვარულის ახლებურად გააზრებისათვის, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს სატრფოსაგან დაშორებით გამოწვეულ ტკივილს.

,,განჯის დღიურში“ მკითხველი გრძნობს ბარათაშვილის უსაზღვრო სამდურავს სოფლისადმი. ამ გულისწყრომის საფუძველი მრავალგვარია: ფილოსოფიური, ეროვნულ-სოციალური ვითარებითა და პირადი ცხოვრების უბედობით განპირობებული. განჯაში ცხოვრებამ პოეტი უფრო ღრმად დაარწმუნ , რომ ,,საწუთროს ზნე მკაცრია“. ირგვლივ ძარცვა - გლეჯვა და ყაჩაღობაა, ქვეყანა არეულია და მოთმინება აღარ ჰყოფნის დაღლილ სურვილებს. უმწეობაში ჩავარდნილი კაცის გოდება ისმის სტრიქონებში:

რა ვიღონო, ვის მივმართო, რა ვუშველო,
მოძმე მიხმობს უანგარო.
სხვას ცხოვრება როგორ უნდა ავუშენო,

როს თავად ვარ უსახლკარო.

(ჩიქოვანი, 1965:28)

ჭაში არეკლილ მთვარესავით გაყოფილა ბარათაშვილის სული : სული- პოეტი და სული- ყაჩაღთა მდევარი. აქ ყველაზე მკვეთრად გამოჩნდა ბედის დაცინვა. კაცი არაა, ვისაც შეიძლება ხვაშიადი გაანდო, წუთისოფლის მიწურულ ბინდში ერთი რამ დარჩენია პოეტს ნუგეშად: საკუთარ ოცნებაზე ლოცვა, მაგრამ არ ეწერა ამ ვედრებას აღსრულება. იგი ისე განშორდა წუთისოფლის ბინდიან სივრცეს, რომ ვეღარ იხილა საყვარელი ქალაქი, რომლის ვიწრო ქუჩებშიც ღვთაებრივი ოცნებანი უტარებია. და აი, წევს ცხელებაშეყრილი მგოსანი სასიკვდილო სარეცელზე, თვალწინ ირევიან ავბედითი მოჩვენებანი. ან შუბლზე თლილი თითებით მიალერსებას. წუთით გონზე მოსულ პოეტს ახსენდება მშობელი დედა:

ცხელ ოთახში შემოფრინდა თეთრი დილა,
თუმცა სულში დასეტყვილი ედემია.
მეჩვენება სასთუმალთან დამხობილა
დედაჩემი ფერმიხდილი ეფემია.

(ჩიქოვანი,1963:137)

გულგატეხილი მგოსანი მძაფრად გრძნობს სიშორეს თავისი ქვეყნისა და მეგობრებისაგან. უნებლიეთ აღმოხდება: ,,ჭრილობებით დასერილი საქართველო არ მცოდნია, რა საოცრად მყვარებია“. კრძალვით ეთხოვებიან მომაკვდავს ქსნის ხეობა და ატენი, ქართლი ნისლშია გახვეული. ესმის ავადმყოფს მანანასა და მაიკოს ძახილი, თითქოს უახლოვდებიან სიყრმის მეგობრები გაფრენილი სიჭაბუკის გადასარჩენად.

ამგვარ ფიქრებში დადგა უკანასკნელი ღამე. ცხელი ქვიშით აშრიალდა უდაბნო და დაბურულ ტყეებს ფოთლები დაცვივდა. ირგვლივ მძიმე დუმილი ჩამოწვა და სარკმელი მიჯნას დაემსგავსა. უფრო მძაფრად მოენატრა მტკვრის ნაპირზე აყვავებული აპრილი და ვერის ბაღი. ტურფამ ქვა ესროლა მომაკვდავის საწოლთან მიფრენილ ყორანს, მაგრამ ქვა თითქოს ავადმყოფის ლოგინში ჩავარდა და ჩინარის რტოს ჩამოწყდა საყურე:

შორს მიმავალ ღამეს მშვიდად დაენდო,
დავიწროვდა ბინა, როგორც გალია.
წუთით ჩაქრა... მერმე ისევ აენთო...
და ცისკარზე ჩუმად სული დალია.

(ჩიქოვანი, 1963:142)

ასე აღსრულდა დიდი წინაპარი, აღსრულდა იგი თავისივე მონოლოგებით. სიმონ ჩიქოვანმა, როგორც სიტყვის ჭეშმარიტმა ოსტატმა, შეძლო ბრწყინვალედ გამოეხატა ბარათაშვილის ცხოვრების უკანასკნელი დღეები, რომელშიც ფაქტიურად ტატოს მთელი სულიერი სამყარო გამთლიანდა.

განჯის უცხო მიწამ მიიბარა გენიოსი მგოსნის მრავალტანჯული სიცოცხლე. სიმონ ჩიქოვანმა შეძლო აღედგინა მომაკვდავი ბარათაშვილის სულიერი სამყარო, ჩაეხედა მისი სულის ხვეულებში და ახალი პოეტური საღებავებით გადმოეცა მარტოობაში აღსრულებული მწერლის ტრაგედია. უკანასკნელ ლექსში, რომლითაც ავტორი ეთხოვება ბარათაშვილის წმინდა აჩრდილს, ერთმანეთს შეერწყა ტატოს გენიალობისადმი მოკრძალება და ეკატერინე ჭავჭავაძისადმი გამღუავნებული საყვედური. სიმონ ჩიქოვანი ხაზს უსვამს გენიოსი მგოსნის მიწიერი ცხოვრების აღსასრულს და მოწიწებით საუბრობს წინაპრის უკვდავებაზე:

მუდამ ფიქრში და მუდამ გარჯაში
გათანგული და მტკვარს შეჩვეული,
საფლავში ჩუმად ჩაწვა განჯაში
და დაგვიტოვა ლექსის რვეული.
შეარჩია და თავად შეჰკონა.
გარს შემოავლო მწუხრის ზონარი,
ყველა ფურცელი ღველფი ეგონა
და სიყვარულის მოსაგონარი.
ლექსის წერაში, როგორც წირვაში,

ბევრჯერ დასცალა გულის მათარა.
შენი ფეხის ხმა ჩაწვდა წვიმაში
და მოშრიალე რტოს შეგადარა.
მუდამ გარჯაში, მუდამ ტანჯვაში
ვერც ღამე მოსპო, ვერც ყაჩაღები.
განჯაში ჩუმად ჩაწვა საფლავში
და შენ მოგიძღვნა ცის გასაღები.
არ დაიმარხა მაშინ მამულში,
შენ დაგიტოვა ლექსების კონა,
ნუთუ ენგურის ტალღის ხმაურში
ყრმის განშორებამ არ დაგაღონა?
როგორ გაშალე შემდეგ რვეული,
როგორ იპოვე ჩრდილი მორჩილი,
მამული ღობე შემორღვეული
და ნაფუძართან მუხა მოჭრილი.
ცხელ მკათათვეში თუ ცივ ზამთარში,
გვერდით მფარველად უნდა ჰყოლოდი,
მისი ოცნება გედო კალთაში,
ვერ მოაშორე სული ბოროტი.
მერმე ცხელებამ თითქო იდროვა,
მღერალს არგუნა საფლავის მღვიმე
და უკვდავება შენ დაგიტოვა,
როგორც ჭრილობა ნაზი და მძიმე.

(ჩიქოვანი,1965:28)

უცხო მიწაზე აღსრულებული გენიოსის სულიერ სამყაროში სიმონ ჩიქოვანმა გაწბილებული სიყვარულის დრამატიზმი წამოწია წინა პლანზე. ამ ლექსით ბრწყინვალედ

დაგვირგვინდა ბარათაშვილის სულში აღძრული, ლირიკულ ასპექტში განცდილი, ადამიანური ტკივილების წარმოსახვა. ,,განჯის დღიური“ შემოქმედის სულის წამების, სიკვდილის ზღურბლთან მარტოდ შერჩენილი გენიოსის შინაგანი სამყაროს ბრწყინვალე პოეტური აპოლოგიაა.

როგორც ვნახეთ, სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში მაღალოსტატურად აისახა საქართველოს ისტორიის მტკივნეული მომენტები. პოეტის ლირიკა ის მაღალი სარკმელია, საიდანაც ჩვენ ვხედავთ თანამედროვე კაცის მიერ განცდილ გარდასულ საუკუნეებს, რომლებმაც ბევრჯელ ცეცხლითა და ცრემლით, ნგრევითა და ხმაურით გადაიარეს ქართულ მიწაზე, მაგრამ ხვალინდელი დღის რწმენა ვერ ჩააქრეს. ეს არის სიმონ ჩიქოვანის ლირიკის ძალა და გამარჯვება.

§ 4. სიმონ ჩიქოვანის ომისდროინდელი ლირიკა

სიმონ ჩიქოვანის ომისდროინდელი ლირიკა მეომრულ სისადავესა და ლაკონიზმთან ერთად შინაგანი მონოლოგის განსაკუთრებული სიმძაფრითა და დრამატიზმით გამოირჩევა. მის მამულზე გადმოწოლილი პირქუში ღრუბელი თითქოს ერთიორად აგრძნობინებს პოეტს სამშობლოს უსასრულობასა და სილამაზეს:

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.
ვინა სთქვა,თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

(,,ვინა სთქვა’’,1943:7-8)

ომის წლებში სიმონ ჩიქოვანი ბევრს ფიქრობს და ბევრს წერს სიკვდილზე. ეს გასაგებიცაა - სიკვდილმა მის დიდ სახლში - მის სამშობლოში შემოაბიჯა (გავიხსენოთ ,,ლეშქაშელის სიკვდილი'', ,,ყუბანის ველზე'', ,,გამოსათხოვარი'', ,,დაჭრილი'', ,,საფლავის ქვასთან''). ყველა ეს ლექსი სიკვდილზეა და ამავე დროს პოეტისათვის მცირედი მინიშნებაც კი კმარა, თუნდაც ნაღმების ცეცხლს გადარჩენილი მზესუმზირა, რომ აქცენტი სიცოცხლის უსასრულობაზე, სიკეთის გამარჯვებაზე გადაიტანოს (,,მზესუმზირები'') და ეს რწმენა სიცოცხლის საბოლოო გამარჯვებისა გაისმის არა როგორც ოპტიმიზმის მორიგი ულუფა, არამედ როგორც ცხოვრების მარადიული კანონის გამოძახილი:

ბუდედ იქცევა ჩემი საგულე,
ჩრდილს დამაფარებს მყინვარის თხემი,
და თუ გალობა ვერ დავასრულე,
სხვამ დაასრულოს გალობა ჩემი.

(,,დაჭრილი'', 1963:22)

- წერდა სიმონ ჩიქოვანი. პოეტი ხედავდა, რომ ის, ვისაც გუშინ ,,პატარა ხრახნად'' რაცხდნენ, დღეს ზეადამიანურ გმირობას იჩენდა, თავგანწირვით იბრძოდა, რადგან იცოდა, რომ აწ სწორედ მისგან იყო დამოკიდებული მისი სამშობლოს ყოფნა-არყოფნა. თანამემამულეთა გმირობაში ჩიქოვანი მისი პოეზიის იდეალების გამარჯვებასაც ხედავდა. იგი გრძნობდა, რომ არ შემცდარა, როდესაც თავის ხალხს მიმართავდა:

მე ჩემი სიტყვა,
ჩემი ლექსი
ვისთვის მინდოდეს,
პოეტის საქმე
სად ვეძიო თქვენს საქმის იქით?

(ჩიქოვანი, ,,პოეტის საქმე'', 1933:761)

ს. ჩიქოვანის ომისდროინდელ ნაწარმოებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსს ,,მეომარი და ქლიავი". ომის ქარცეცხლიდან გამოყვანილი ცოცხალ-

მკვდარი მეომარი მოათავსეს ეზოში, სადაც სიკვდილს მხოლოდ ერთი მსხმოიარე ქლიავის ხე გადარჩენოდა. ნამეხარ მიწაზე სიცოცხლის ფრთებივით მოშრიალე. მცენარე სასიკვდილოდ განწირულ ჯარისკაცს ტკივილებს უქარვებს და ცხოვრებისეული სიხარულის დიადი ძალით აღავსებს. აქ პოეტი სიმბოლურად გამოხატავს ბუნების მაგიურ ძალას, მგრძნობიარედ ათრთოლებს იმ უხილავ სიმებს, რომელიც ადამიანსა და ბუნებას შორისაა გაბმული.

ლექსში ,,ყუბანის ველზე'' უაღრესად დრამატული სურათია მოცემული. მასში ლაპარაკია სამშობლოსათვის გმირულ ბრძოლაში დაცემული სამასი ქართველისათვის სოფელ კალაბატკასთან გათხრილ საფლავზე. ეს მძიმე განცდა პოეტს დიდი მხატვრული ძალით, სინაზითა და სისათუთით აქვს გადმოცემული.

ყუბანის ყანას ვდარაჯობ,
ველზე ეშვება ივნისი.
ჰგავს მოხრილ დედას ყაყაჩო,
კაბა აცვია ყირმიზი.

ყაყაჩოს ცეცხლი ჰქონია,
მიმწუხრში ელავს მდელოზე,
და ამბავს მკითხავს, მგონია,
საყვარელ საქართველოზე.

(ჩიქოვანი, 1963: 57)

პოეტური კულტურის ასეთმა მაღალმა დონემ, რომელიც ორგანულადაა შერწყმული მაღალიდეურ სათქმელთან, განსაზღვრა სიმონ ჩიქოვანის დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე და მოუპოვა მას გამოჩენილი პოეტის სახელი.

§ 5. საქართველოს კუთხეთა პოეტური ასახვა

არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, რომელსაც სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში ასახვა არ ეპოვოს თავისი წარსულითა და დღევანდელობით. ციკლებად დაყოფილი ეს ლექსები, ერთმანეთთან თემატურად და იდეურად მჭიდროდ დაკავშირებულნი, ამა თუ იმ გეოგრაფიული მხარის დასრულებულ პოეტურ სურათს იძლევიან.

სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსების ციკლს ,,ქართლის საღამოები'', მასში ავტორმა გადმოსცა შრომითი პროცესის რომანტიკს. პოეტი მსუყე ფერებით ხატავს ქართლის შემოდგომას, მეტაფორებში აცოცხლებს იმ მშვენიერებას, რომელსაც გორის ციხიდან გადმომზირალი კაცი აღიქვამს. აქ ერთმანეთს ენაცვლებიან გორის ციხის სიძველეთა და მინდორ-ველებში ,,დარხეული შემოდგომით'' აღძრული განწყობილებებანი. ამ ორი მხარის ურთიერთგაპირობებით ავტორი იძლევა მთლიან სურათს ქართველი ხალხის ცხოვრებისა. თუ, ერთი მხრივ, პოეტის საფიქრალია: ,,როგორ შევძლო ავამღერო რთველი, შრიალებენ ფოთლები თუ ზღვაურია'', მეორე მხრივ, რწმენაში უკვდავ ძეგლად აღმართულია გორის ციხის შერუჯული ნანგრევები, რომელსაც ,,რამდენი გზა, რა მანძილი გრძელი მგზავრის დარად გაუვლია,'' საუკუნეთა სისხლიან ლაბირინთებში. გორის ციხეს პოეტი აღიქვამს იმ სიმაღლედ, საიდანაც მოჩანს როგორც ჩვენი სამშობლოს დღევნდელობა, ისე მისი წარსული.

რთველში ქართლის სილამაზით ვთვრებით,
მწუხრის ეშხით გაჭოლვილი სანახები,
საგალობელს თავად ჰგვანან მთები
და ხმებივით დაწყობილან ვენახები.

(ჩიქოვანი, 1963:64)

როცა კახეთზე შექმნილ ციკლს ვკითხულობთ, წინა პლანზე იწევს ამ კუთხისთვის დამახასიათებელიყოფისა და ვაზის კულტურისადმი სიყვარული და მოკრძალება. კახური შემოდგომის ფონზე პოეტი აღიქვამს მშრომელთა საქმიანობას და ამ ეპიკურ თემებს ლირიკული პასაჟებით ამძაფრებს:

ადრე შემეტყო კახეთის ყადრი,
ალაზნის პირას ცეცხლი დამენთო.
წინათ მეპოვნა წინანდლის ვარდი,
მომეწყვიტა თუ დარდი გამედნო.
ვინ ათამაშა ხელში ხელადა,
ან ვით შემიქო შრომა წინა დღის?
და ალაზანი რადგან ღელავდა,
მე ვერ მოვწყვიტე ვარდი წინანდლის.
მაინც იორზე და ალაზანზე
დიდი ხანია, არ ვარ სტუმარი,
კახს ვინ უკურთხა ეს სილამაზე,
მე ვინ მარგუნა ქების უნარი?

(ჩიქოვანი,1963:201)

ს. ჩიქოვანი ფერებით მოაზროვნე პოეტია; ფერის აზრობრივი დატვირთვა პოეზიაში მან უკიდურესობამდე გაზარდა. გავიხსენოთ კახეთზე შექმნილი ციკლიდან ლექსი ,,გომბორზე გადასვლა''. მასში ავტორმა ფერთა ჰარმონიის შექმნით შესანიშნავად გამოხატა შემოდგომის რომანტიკული განწყობილება; ,,ღრმად შევდიოდით შემოდგომაში თუ მოგიზგიზე გომბორის ტყეში''. - ამ მხატვრულ სახეში შთამბეჭდავად გამოჩნდა შემოდგომის ფერთა სიმბოლური ხილვა.

მოხდენილი, ღრმა ასოციაციებითა დატვირთული პოეტური სახეები და მეტაფორები კოლორიტულად წარმოგვისახავენ საქართველოს მთიანეთის ბუნებას, მთიელი ადამიანის ყოფით მხარეს ლექსების ციკლში ,,მთაო, გადმიშვი''. ამ ციკლის ლექსები -

,,გადასვლა გორვაშზე'', ,,უშგულის კომკავშირი'' და ,,შემოღამება ხახმატში''. ეს ლექსები რწმენის უკვდავების, ამქვეყნიური ბედნიერი ცხოვრების თავისებური საგალობლებია.

ლექსში ,,გადასვლა გორვაშზე" დახატულია, თუ როგორ მიბრუნებია მშობლიურ სვანეთს ბარში განსწავლული ექიმი, მიდიან ზემოთ, მიიწევენ მაღლა და მაღლა, ,,მთები ქვემოთ სჩანს, ურიცხვი თითქმის", კლდეზე მცოცავი საცალფეხო ბილიკი უფსკრულთა პირზე მიიკლაკნება. მართალია, ძნელია ამგვარი ბილიკებით ღამეურ მთაში სვლა, მაგრამ რწმენის სიმტკიცეს ყველაფერი შეუძლია. და აი, ,,ჩვენ სხეულიდან აგვდინდა ორთქლი, საკუთარ მუხლის სიმაგრე გვიკვირს. ახალი ხალხი, აზრით და მოდგმით, შევხვდით ცახსნილზე გორვაშის სიკვდილს''. გორვაში დაძლეულია და წინ შემოხვედრილ ხალხს ახალი რწმენისა და სიცოცხლის უკვდავება ავსებს.

სამეგრელოზე შექმნილი ლექსების ციკლში საგრძნობია ავტორის განსაკუთრებული სიახლოვე ამ კუთხესთან. ლექსებში გაიელვებს დანანება გავლილი ბავშვობის უდარდელობაზე, ნათელი ჩრდილებით ივსებიან მოგონებები, აქ მოსული პოეტისთვის ყველაფერი უფრო მახლობელია, სიზმრისეულია, ზღაპრული სურნელის მატარებელია. კარგადაა ამგვარი გრძნობა გამოხატული ლექსში ,,წალენჯიხა''. პოეტი ერთგვარი დანანებით ესაუბრება ბავშვობის უდარდელ ტკივილებს:

შეკრთი, უცებ მოიღუშე, -
დამტუქსე და უნებლიედ დამაღონე,
სატკივარი აგრე მომიშუშე
და გულისთიქმა თმის შრიალით გამაგონე.
მორჩილება დამაკისრე,
შორს ფშანიდან გიგალობდა მაფშალია,
თხემზე იწვა თხელი ნისლი
და მეგონა ნისლი შენი თავშალია.
თავზე მადგას თოვლის ჯიღა,
ჩემი სახლი წუთისოფლის ბოლოშია,

მაგონდება მწვანე წალენჯიხა,

შენი ეზო, ოშოშა თუ ოშოშია.

(ჩიქოვანი,,,წალენჯიხა“, 1963:)

1940 წელს ს. ჩიქოვანმა შექმნა ლექსების ციკლი - ,,შინიდან გაველ სამშობლოს გზებზე’’, რომელშიც მაღარმხატვრულად აისახა მისი ბიოგრაფიის დრამატული ეპიზოდები. ეს ციკლი არის აღსარება თავის თავთან თუ რწმენასთან განმარტოებული შემოქმედისა. იგი მოიცავს რომანტიკულ ფერებში გადატანილ ბავშვობისა და სიყრმისდროინდელ მოგონებებს:

ჩვენი ბავშვობის დღეები მშვიდი,

მიმზიდველი და ჩვილნი ესოდენ,

მოგონებები,რომლებსაც ვზრდიდით,

ან ჩვენთან ერთდ რომ იზრდებოდნენ,

ვით ვაშლის ხე და ფოთოლი ლეღვის,

ან აცვენილი სკიდან ფუტკარი,

ჩემთან დარჩნენ და მიპყრობენ ღელვით

და მეც პასუხი ვერვის ვუთხარი!

(ჩიქოვანი,1963:120)

ბუნების სურათების აღწერას სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს .ბუნება პოეტს აინტერესებს არა როგორც თავისთავადი, ადამიანებისგან განყენებული გარესამყაროს ერთობლიობა, არამედ როგორც ადამიანურ ვნებათა ღელვის სავანე და გამჟაღვნების გარემო. სიმონ ჩიქოვანის მიერ დახატული ბუნება ის მრავალმხრივი და რთული სამყაროა, რომლის სიღრმეშიც მოქცეულია ადამიანი, რომლის სულიერი სამყარო ღრმად პოეტიზირებულია და შერწყმული გარემოსთან:

კაკლის რტოზე ფრინველი წივის,

შორს ელვარე თრიალეთის ქედებია,

მთებს შეღებავს ჩამავამ მზის სხივი

და სარკმელში მოფარფატე მტრედებია.

(ჩიქოვანი, 1963:154)

ბუნებაზე დაწერილ ლექსებში სიმონ ჩიქოვანი უხვად იყენებს ფერებს. პოეტს განსაკუთრებით უყვარს შემოდგომის პეიზაჟების ხატვა:

რა კარგია მზის დახრისას გორი,

შემოდგომის ჩრდილი როგორ ეხამება,

გადმოვყუებ ციხიდან და შორით

ურმულივით ახლოვდება შეღამება.

(ჩიქოვანი, 1963:145)

სიმონ ჩიქოვანის პოეტური აზროვნების ორიგინალურობა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა მხატვრული შედარების არქიტექტონიკაში, რომელიც განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი მის პოეზიაში. ,,ქართლის საღამოებში'' ავტორი შეღამების ასეთ წარმოსახვას იძლევა: ,,გადმოვყურებ ციხიდან და შორით ურმულივით ახლოვდება შეღამება''. შეღამების სურათის ამგვარი აღქმა ეროვნული კოლორიტით მსჭვალავს შედარების აზრობრივ ქვეტექსტებს.

სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში საპატიო ადგილი დაიკავა კოლხურმა პეიზაჟებმა. ზღვის პეიზაჟს სიმონ ჩიქოვანმა რომანტიკული ელფერი მიანიჭა.ზღვის თემა ქართულ პოეზიაში იმდენად ძუნწადაა წარმოდგენილი, რომ მისი წვლილი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ამგვარ ლექსებში დახატულია ლირიკული გმირის განწყობილების მიმართება და სიახლოვე ზღვის უსაზღვრო სივრცეებთან, ზღვა კი მოაზრებულია შთაგონებათა მასაზრდოებელ წყაროდ:

ზღვა ნაწვიმარზე ადრე მწუხრდება,

მებადურებმა დასძრეს სანდლები.

მთვარის ამოსვლა აფრებს უხდება,

თითქო ანთია ზღვაზე სანთლები.

ზღვა თითქო ნაპირს ემუდარება,
გულში ქარიშხლის მიპყრობს ეჭვები.
ზღვა ცას, მოკენჭილს, დაედარება,
და დაცურავენ ზღვაში კენჭები.

(ჩიქოვანი, 1963: 211)

ზღვა არის დაუსრულებელი ფიქრისა და ოცნების წყარო. ზღვის პირას განმარტოება და ფიქრი ჩამავალი მზის მშვენიერებაზე ღრმა სიმბოლურობით მოსავს სიმონ ჩიქოვანის პოეზიას.

ყოფნა-არყოფნის ზღურბლთან გარინდებული შემოქმედის სულის აღსარება და მოახლოებული მიმწუხრის მტკივნეული შეგრძნება მაღალმხატვრულად გამოიტახა აჭარისადმი მიძღვნილ ,,შემოდგომის დღეების'' ციკლში. მათში ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბდა სიმონ ჩიქოვანის მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისი, ადამიანური ცხოვრების არსზე დაფიქრება. აჭარაზე შექმნილი ლექსების ციკლში - ,,შემოდგომის დღეები'' პოეტური სიმწიფის ფაზაში იწერებოდა. ამიტომაცაა, რომ მასში პოეტმა ღრმა აზრობრივი ქვეტექსტებით დატვირთა საკუთარი სიცოცხლის მიმწუხრზე ფიქრი. ,,ლექსების ამ პარატა ციკლში, - წერს რევაზ ჯაფარიძე, - პოეტმა საკუთარი ბიოგრაფიის ყველაზე უფრო დრამატული მოაკვეთები ჩაატია, ხოლო ეს ბიოგრაფია, თავისი ფეხით განვლილი ცხოვრების გზა, მთელი თაობის გზად გააცოცხლა მკითხველის წინაშე და ამით დიდი საქვეყნო სატკივარის ფართო განზოგადება მოგვცა. (ჯაფარიძე, 1970:235-236).

აჭარის პოეტურ დღიურებში მკვეთრად გამოვლინდა სიმონ ჩიქოვანის ლირიკის დრამატული ბუნება და ადამიანურ ტკივილთა განზოგადოებამ, ახალი ჰორიზონტები მოიპოვა. ყველა ლექსს სინანულის, სიშორის რაღაც ძვირფასთან გამოთხოვების ტკივილი აზის. ეს ტკივილი უაღრესად მართალია და მხოლოდ ავტორის სულიერი სამყაროს ანარეკლი როდია. თითქმის ყველა ლექსი შემოდგომის მიმწუხრიდან დანახული სდამყაროა, მეგობრის ჩუმი ღიღინივით მოყოლილი, საღამოს მიმწუხრიდან დანახული ზღვთისპირეთის მშვენიერებაა. ამ სიჩუმეში გარინდებულ ლირიკულ გმირს

ისევ სიცოცხლის მძაფრი სურვილი იპყრობს: ,,ზღვისპირას მიჰქრის მატარებელი და ქრება იჭვით სავსე სიჩუმე''. იჭვით სავსე სიჩუმისა და მატარებლის სიმბოლური ურთიერთმიმართება სიკვდილ-სიცოცხლის შინაგანი ჭიდილის ახლებური ასოციაციური ფორმით გააზრების ნიმუშია. ჩაქროლილმა მატარებელმა პოეტის სულში აღაგზნო მინავლული მოგონებანი, ერთხელ კიდევ დადგა ამ მოგონებებთან გამოთხოვების მყუდრო საღამო, რომელიც გაფრენილ სიყრმის ნაბიჯების ძიებასთანაა დაკავშირებული.

აჭარაში, ზღვის პირას განმარტოებული, სიყრმისდროინდელი მოგონებების ნაკვალევს ადევნებული პოეტის სულიერი სამყარო კვლავ სიცოცხლის მძაფრი სიყვარულითაა გაჟღენთილი:

ზღვის მომიჯნავე მამულის კუთხევ,
მოველ და გიძღვენ წრფელი მადლობა.
ჩემო აჭარავ, მწუხრზე მაკურთხე,
კვლავ დამიბრუნე ახალგაზრდობა.
შენ დამიმშვენე მტევნებით ვაზი,
ზღვა- აფრებივით და მთები - ფერებით,
ხან ჩემს სტრიქონებს ფეხს წაკრავ გზაზე,
ხან კი ხელთ იღებ და ეფერები.

(ჩიქოვანი,1963:189)

მსგავსი სიახლოვე აჭარასთან, ზღვის უსასრულო ლივლივთან, სივრცეში გარინდებულ მთებთან და საღამოს ნათელ ბინდში გახვეულ მეწამულ დაისებთან ახალი რწმენით აღავსებს შემოქმედის ფანტაზიას.

ლირიკული წარმოსახვის მაღალოსტატურობით სიმონ ჩიქოვანის ლექსების აჭარული ციკლი მიღწევაა ქართული პოეზიისა.

სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ქალაქურმა პეიზაჟმა. აქ უნდა შევეხოთ თბილისისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლს ,,თბილისის ჩუქურთმები'', რომელშიც ავტორმა წარმოსახა თავისი ღვიძლი სიახლოვე საყვარლ ქალაქთან. მასში

სიმონ ჩიქოვანმა დახატა ძველი თბილისის მკრთალი ეგზოტიკაცა და გარდასული სიჭაბუკის სევდაც. პოეტის ცხოვრების ყოველი დეტალი მჭიდროდაა დაკავშირებული თბილისთან.

ვარ ჭადარივით თბილისის მკვიდრი
და ჭადრის ფესვი მეხვევა ტანზე.
მეც დამაფარა ქალაქმა კალთა,
თუ შენობების ჩრდილებში ვთბები
და სექტემბერში თბილისის გარდა
არსად მინახავს ამგვარი მთები.

(ჩიქოვანი, 1963:97)

ამ სიყვარულს აძლიერებს განვლილი ცხოვრების გზის ლირიკული განცდა. ფართო პროსპექტზე ჭადრების ჩრდილში მოსეირნე პოეტი შინაგანად დაძაბული აღიქვამს თავისი სიცოცხლის გარდასულ ჩრდილებს. თბილისი ამ მოგონებათა წმინდა საუფლოდ ქცეულა:

მე ამ პროსპექტზე ადრე მივლია,
გულში იმ დროის ბეჭდის რგოლია,
ამ ჭადრის ჩრდილში შენი ჩრდილია,
იმ ჭადრის ჩრდილში ჩემი მგონია''.

(ჩიქოვანი, 1963:97)

მსუბუქი სევდა, რომელიც ამგვარი განწყობილების მიღმა უჩნდება მკითხველს, უფრო ნაზსა და უფრო ლამაზს ხდის ემოციას. თბილისი ქცეულია რწმენისა და იმედის სათვედ, პოეტს ღრმად სჯერა, რომ დედაქალაქში მისი სიყვარულიცა და სევდაც უფრო სხვაგვარია, ამაღლებული და ფაქიზი. ,,თბილისში ყველას შევეჯიბრები სიყვარულში და ლექსის სროლაში'', - ეს სტრიქონები შემთხვევით არაა ნათქვამი.

თბილისზე დაწერილი ლექსების ციკლში ძალზე ბევრია პიროვნული სათქმელი და საფიქრალი. პოეტის სულში ერთმანეთს შერწყმია დედაქალაქის განუმეორებელი

პეიზაჟები. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა ლექსი ,,თბილისის თოვლი''. აქ ავტორმა ერთმანეთს დაუკავშირა დათოვლილი დედაქალაქის მშვენება და საკუთრი განცდა მშობლიური ქალაქისადმი. ლექსის დასაწყისში შთაგონების ცენტრში ექცევა თბილისის თოვლის მშვენიერება. თბილისში თითქოს ყველაფერი სხვაგვარი ელფერის მატარებელია, თოვლიც კი თითქოს უფრო ნაზია; ,,თოვლი თბილისში უტურფესია, ყლორტზე ნაზია თოვლის ფიფქები".

სიმონ ჩიქოვანი მოულოდნელი მეტაფორებით, ღრმააზროვანი, სხარტი და ნათელი სახეებით გვიხატავს თბილისის პეიზაჟებს. ამ მხრივ, ლექსი ,,ნაწვიმარი'' ერთ-ერთი საუკეთესოა პოეტის ლირიკაში. ახალი პოეტური საღებავებით გააფერადა პოეტმა ნაწვიმარი თბილისის სილამაზე. ქალაქის ქუჩებს წამოეპარა გაზაფხულის ჟღურტულა წვიმა და ნაწვიმარზე სახეტიალოდ გამოსული პოეტი გრძნობს ,,მთებზე შერჩენილ სინესტის გემოს":

თბილისი იღებს ნაწვიმარ იერს,
ღარებზე გასდგეს ფიცრის ხიდები.
ლამაზდებიან ქალები ძლიერ
და დაფრინავენ დაბლა ჩიტები.
თრთის ნაწვიმარზე ვარდი მრავალი,-
ხიბლავს თბილისის გამრჯე მშენებელს,
მთაზე სახლები, მაღლა მავალნი,
მთამსვლელებივით შეისვენებენ.

(ჩიქოვანი,1963:82-83)

აქ შესანიშნავადაა აღქმული ნაწვიმარი თბილისის მშვენიერება, გაზაფხულის წვიმის შემდეგ ქუჩებში გამეფებული სინაზე და სილამაზე. პოეტი გამოდის გარეთ და ხეტიალში იბადებიან ბრწყინვალე მეტაფორები და შედარებები; მთებზე შემორჩენილი სინესტის მიღმა იგი ჭვრეტს სინაზით აფერადებულ ტბორებს. წვიმამ თითქოს უფრო გაალამაზა გარემო, მეტი სიტურფე შემატა ჭადრებს:

თბილისი იღებს ნაწვიმარ იერს,

ღარებზე გასდგეს ფიცრის ხიდები,

ლამაზდებიან ქალები ძლიერ

და დაფრინავენ დაბლა ჩიტები.

(ჩიქოვანი, 1963:90)

ხოლო როცა მთაწმინდის პლატოს გახედავ, დაინახავ, რომ სახლები მთასვლელებივით შესდგომიან მამადავითის აღმართს. ლექსში აღძრულ მეტაფორათა და შედარებათა ნათელ სირთულეს აგვირგვინებს შორეულ ასოციაციაზე დამყარებული სტრიქონი ,,მწუხრი ლურჯდება, როგორც ქლიავი''. ლექსის განწყობილება მეტად ფაქიზია და ემოციური.

თბილისის წარმოდგენა მთაწმინდისა და მტკვრის გარეშე შეუძლებელია. ამიტომაცაა, რომ პოეტი მათ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს და რომანტიკულ სამოსელში ხვევს მათ.

ს. ჩიქოვანის ლირიკაში იშვიათია ისეთი ლექსი, რომელშიც პირდაპირ იყოს გადმოცემული ავტორის პატრიოტული მიმართება სამშობლოსადმი. პოეტი ძუნწია გრძნობათა გამჟღავნების დროს, მაგრამ ისეთ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც ამ ტრადიციული გრძნობის უშუალო, პირდაპირი ანარეკლია, ერთ-ერთი საუკეთესოა ,,მთვარე, შიშველი, მტკვარში ეშვება''. მასში ავტორმა გულწრფელად და დამაჯერებლად გვიჩვენა დედაქალაქთან მისი დამოკიდებულების ლირიკული მხარე.

მთვარე, შიშველი, მტკვარში ეშვება,

ჩუმი ჩრდილები მთაზე დავჩითე,

შენს თავდაღმართში ფეხი მეშლება,

შემეშველე და ხელი ჩამჭიდე.

ვაკე მეძახის თუ საბურთლო,

ვიჭერ ცაცხვიდან აფრენილ ფურცელს,

მინდა ეს გული შენ მოგითალო,

ან მივადუღო მთაწმინდის ფუძეს.

მინდა კარდაკარ თარფი ვატარო,

სულში ჩაგწვდე და ვძლიო სიცოცხლე.

თუ დავიქანცო, ნუ გაოცდები,

ჯამი დამიდგი კოშკის ლიბოზე...

(ჩიქოვანი, 1963:101)

ამრიგად, როგორც განხილული ლექსები ცხადყოფს, სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში სათანადოდაა წარმოჩენილი საქართველოს ცალკეული კუთხის ლაზათი და ხიბლი, მრავალფეროვანია ის ფერთა პალიტრაც, რომელსაც პოეტი გვთავაზოს მათი კოლორიტის უკეთ წარმოსაჩენად.

თავი IV

სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკა

ცალკე განხილვას საჭიროებს სიყვარულის თემაზე შექმნილ ლექსები, რომელთა დიდი ნაწილი თავმოყრილია ციკლში - ,,თანდაყოლილი გრძნობები''. ამ ლექსებისთვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ღრმა შინაგანი ვნებიანობა, გრძნობათა გამჟღავნების სიძუნწე, სიყვარულის იდუმალი არსის პოეტური წარმოსახვის უნარი. ეს ლექსები უფრო მეტად ადრე განცდილი ემოციების სევდიანი მოგონებებია, ფიქრითა და განსჯით დატვირთული ნაგვიანევი გამოძახილია გავლილი მღელვარებისა. როცა სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკაზე ვსაუბრობთ, შეიძლება გავიხსენოთ თვით ავტორისავე სიტყვები, ილია ჭავჭავაძის შესახებ თქმული: ,,ილია ჭავჭავაძის სასიყვარულო ლექსებში მეტია ადამიანის სულის სიღრმეში ჩაწვდომის უნარი. იგი უფრო დამაფიქრებელია და ლიტურგიული, მას თითქოს გარეგნული საღებავები აკლია, მაგრამ მისი შინაგანი ჭვრეტა უფრო ღრმაა და უფრო გულთამხილავი... ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკა უფრო ელეგიურია და გარეგნული არტისტულობის გარეშეა

შესული მკითხველის სულში“(ნიკოლეიშვილი, 1979:122). მკვლევარ ა. ნიკოლეიშვილის დაკვირვებით, სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკა აგრძელებს ამ ნიშან-თვისებებს. გრძნობათა შინაგანი სიღრმითა და ლოგიკური მსჯელობითი ტონით პოეტის ლირიკული პოეზია წინამორბედთაგან ყველაზე მეტად სწორედ ილია ჭავჭავაძესთან დგას ახლოს:

მოგშორდები და მგონია თითქო
მე შენი გული მარქაფად მახლავს...
ჩემსავით ღელავს, ჩემსავით ფიქრობს,
მხოლოდ ერთ ვარსკვლავს უღიმის მაღლა.
მე ავჩქარდები შინისკენ მაშინ,
თუმცა მეც გიძღვენ ლანდი ამგვარი.
არ დამეკარგოს შენი ხმა ქარში,
შინ დარწეული როგორც აკვანი.
მართლაც, მე ფიქრმა აგრე მაცნობა,
რომ ჩემი გული ბუდეა შენი.
შენა ხარ ჩემი ახალგაზრდობა
და მომავალი სიბერის დღენი.

(ჩიქოვანი,1965:127)

არ არის ძნელი, აქ დავინახოთ გონებისეული განსჯა იმ წმინდა სიყვარულისა, რომელიც პოეტს წლების მანძილზე გულით უტარებია. თუმცა ამ თავშეკავების მიღმა იგრძნობა სიყვარულის ყოვლისმომცველი სიშმაგეცა და რომანტიკაც.

სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკის უმეტესი ნაწილი პოეტური სიმწიფის ჟამს, ცხოვრების შუა წლებს მიღწეული შემოქმედის მიერ იწერებოდა. იქნებ ამიტომაც იყოს დამახასიათებელი ამ ლექსებისთვის თავშეკავებულობა და გრძნობათა გონებისეული განსჯა. სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლექსები ცხოვრების მიერ გამოცდილი და განმტკიცებული სიყვარულის ქებათა-ქებაა, საყვარელი არსების სულში რწმენისა და ცხოვრების აზრის დანახვაა. ,,ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად, მთა და ბარში

ხვეული და სწორი'' - მიმართავს პოეტი ერთგან თავის სულიერ მეგობარს. ამგზაზე მავალთ თან მიჰყვებოდათ მამულზე ფიქრი და სოფლის პატიოსანი კერიიდან აზრილი კვამლი. მართალ შრომაში გასულან წლები, მაგრამ მგოსანი ისევ პირველი თრთოლივით უფრთხილდება ამ სიყვარულს.

სიმონ ჩიქოვანის ბიოგრაფიიდან ცნობილია ის დიდი ერთგულება და სიყვარული, რომლითაც იყო პოეტთან დაკავშირებული მისი მეუღლე მარიკა ჩიქოვანი. ამის დასტურია მარიკას განუყოფელი კავშირი პოეტის შემოქმედებითს საქმიანობასთან, სიმონ ჩიქოვანის ცხოვრების ბოლო წლებზე დაწერილი მისი მგრძნობიარე დღიურები და პოეტის ანდერძი,- სიკვდილის შემდგომ მისი ფერფლი საყვარელი მეუღლის საფლავზე მიმოებნიათ.

ლამაზი მოგონებები ავსებენ სიბერის ერთფეროვნებას და შემოდგომის გრძელ ღამეებს ემოციებით აფერადებენ:

ჩემი გზა სულში ლარზე სწორია,
შენთვის დავყარე ლოდზე ფუჩეჩი,
ჩემს ოცნებაში შენ გიცხოვრია,
როგორც თბილისის ვიწრო ქუჩებში.

(ჩიქოვანი,1963:90)

სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკაში ხშირად ირეკლება სინანულის განცდა, რომელიც სულ უბრალო მიზეზითაც კი შეიძლება დაიბადოს. მათში გამოხატულია ჩავლილი ახალგაზრდობის მტკივნეული შეგრძნება. გავიხსენოთ ლექსი ,,თოვლის გუნდა'', რომელიც ხანდაზმული მგოსნის გასაუბრებაა თავისი ცხოვრების ერთგულ მეგობართან. მასში გულისტკივილიც ჩანს გაფრენილ სიჭაბუკეზე ოცნება:

ეს თოვლი წლებმა დაყარეს თმაზე,
ზამთრის ბუნებით თვალი მოცულა,
შენთვის იები დავთესე მთაზე,
ია დავთესე, თოვლი მოსულა.

თოვლს გავყურებ თუ ქათქათა ღრუბელს,
მთვარემ გაკვალა თოვლი ბინამდი,
გუნდა მესროლე სიზმარში წუხელ
და მსურს ვეფერო გუნდას დილამდი.
თოვლის ფანტელი ისევ ლურჯია,
ისევ სავსეა სიცოცხლის სურა,
თოვს სიყვარულმა მოსვლა ურჩია
და იის ნაცვლად თოვლი მოსულა.

(ჩიქოვანი,1963:100)

სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლექსებში გაცოცხლებულია გარდასული დღეების რომანტიკა. სიყვარულს ღვთაებრივი სიწმინდე აქვს მინიჭებული. იგი ქცეულია სიკვდილთან მიახლოებული შემოქმედის სიცოცხლის უმთავრე აზრად. აჭარაში, ზღვის პირას მისული პოეტი იხსენებს სიჭაბუკეში სატრფოსთან გატარებულ დღეებს, რომლებიც ტალღების ჩუმ სრიალში მარხია თითქოს. ამ სიყვარულის საძებნელად ჩამოსულა იგი ზღვის პირას. მოახლოებული მიმწუხრიდან ასე აღიქმება პოეტის ცხოვრება:

ისევ ზღვასთან ვარ, როგორც დასჯილი,
მსურს სამკურნალო ბალახი ვთიბო,
შენ კი შორს წევხარ, როგორც დაჭრილი
და მე მერყევა სიცოცხლის ლიბო.
დღეებს ვითვლი და ბევრჯერ გინატრე,
ვერ დავასრულე შენთვის უსტარი,
ღამემ წამართვა წუთით სინათლე,
თუ ცისფერ ცისკარს ვერ მივუსწარი.

(ჩიქოვანი, 1963:98)

სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისება გრძნობათა თავშეკავებულ გამჟღავნებაში მდგომარეობს. პოეტი

გრძნობებს გარეგნული სიმშვიდითა და თავშეკავებით გადმოგვცემს. მისი სატრფიალო ლექსები უფრო მეტად ამ გრძნობის ფიქრიანი, აზრიანი განსჯა-შეფასებაა, ვიდრე თავდავიწყებამდე მისული კაცის აფორიაქებული განწყობილების ხატვა.

სიყვარულის ნიჭი ვხარჯე,
გულისთქმა და სიყვარულის წლები,
რაც შემეძლო, გავისარჯე,
დამეფანტა სულის ნაპერწკალები.

(ჩიქოვანი, 1963:152)

სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკა არ იკეტება ვიწრო კამერულ ჩარჩოებში. პოეტმა ლირიკული გმირის ინტიმი თავისი არსით ფართო ადამიანური ბუნების მომცველი გახადა და საყვარელი არსებისადმი მოწიწება სამშობლოს სიყვარულთან მჭიდრო და განუყოფელ კავშირში განიცადა (ნიკოლეიშვილი, 1979:38). ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითს იძლევა ლექსი ,,შენი ჩრდილის საძებრად'', რომელიც 1925 წლით თარიღდება. ნაწარმოების დედააზრს განსაზღვრავს სატრფოსადმი ღრმა მოკრძალება, რომელიც გაგრძელებას ჩვენი მამულის ისტორიის სიმყუდროვეში პოულობს. ავტორი ეძებს საყვარელი არსების ჩრდილს, ეალრსება მის ზმანებას და, მთაზე განმარტოებული, თავის თავს ადარებს ციხეს, - პაპის მიერ აგებულს. ამგვარი დეტალის შემოტანით სიმონ ჩიქოვანმა თავისებურად გაუსვა ხაზი ინტიმური გრძნობის მარადიულ და სასიცოცხლო ბუნებას და იგი ჩვენი წინაპრების სულის უქრობ მდინარებასთან განუყოფლად დააკავშირა: ,,მე შენ გიგონებ და მამულის მწვავე იარას და ციხის შიგნით დაშრიალებს ჩვენი სახელი''.

სატრფიალო თემაზე დაწერილ ლექსებში ავტორი ცდილობს ისეთი ნიუანსები და დეტალები წარმოგვიდგინოს, რომლებიც მკითხველში უკიდურესი სიმძაფრით გააცოცხლებენ შესატყვის განწყობილებებს და მათაც მოაქცევენ სასურველი ემოციის სფეროში. ხშირად ამგვარ ცდებს მოულოდნელი შედარებებისა და მეტაფორების მიგნებამდე მივყავართ, რითაც აღქმის ასოციაციური მასშტაბები ფართო და

მრავალპლანიანი ხდება.მაგალითად: ,,სინიდისს ვფიცავარ, ჰკურნავდი იარებს, მიყვარდი როგორც ზღვა ალბატროსს'',

საყურადღებოა, რომ ს. ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკაში სიყვარული იშვიათად წამოგვიდგება უეცარი აღტაცებისა თუ თავდავიწყების სახით. ეს არის ,,ჭკვიანი'' სიყვარული, მთელი შინაგანი გამოცდილებით ,,გაწვრთნილი'' და მომწიფებული, რომელიც უმაღლესი ბედნიერების წუთებშიც კი თავისებური სევდანარევი მოწიწებისა და კდემამოსილების ელფერს ატარებს.

თუ ადრინდელ ინტიმურ ლირიკაში პოეტის შთაგონებას სატრფოს ,,ლერწმად რხეული ნაზი სხეული'' ანათებდა, ამ ლექსებში, სადაც ,,ხანდაზმული გრძნობა რეკავს'' , სწორედ იმგვარი ხასიათის სულთა კავშირი არის ამღერებული, რომელიც ,,ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით, დაუხსნელად დამტკიცებულსა''.

,,მიძღვნა'', ,,პირველი მიძღვნა'', ,,მეორე მიძღვნა'', ,,ბარათები'', ,,როცა თბილისში ღამეს ვაღევ და ...'' ,,საუბარი წვიმაში'', ,, ეგ საუბარი შევწყვიტოთ წუთით'', ,,ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად'' გამოხატავენ ქალისადმი უკიდურეს მოკრძალებას. ამ ლექსების ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სიყვარული უბრალო ვნება, მერყევი და ცვალებადი გრძნობა კი არ არის, არამედ ხანგრძლივი, ჩაუქრობელი გრძნობაა, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს.

შენ წასვლის შემდეგ
ბევრი დამშორდა,
ქალიც გამიწყრა მსგავსი მონგოლის,
აქ გავისხენებ ამბებს შარშანდელს -
მოკვდეს წიგნებში ტრფობის მომგონი,
გადავსხვაფერდი როგორც ჰაერი წვიმების შემდეგ.

(ჩიქოვანი, 1963:429)

სატრფოსაგან დაშორებით გამოწვეული ტკივილის ლირიკული განცდა, ამ ტკივილის ასოციაციური აღქმა და სულში არსებულ ყველა ძვირფას გრძნობათა

ურთიერთშენივთებათა ერთ მთლიან, ფაქიზ ჰარმონიად, განსახიერდა ,,მგზავრის სიმღერაში''. ოდნავი სევდა, რომელიც ამ ნაწარმოებს გასდევს თავიდან ბოლომდე. უფრო ლამაზსა და მახლობელს ხდის განწყობილებას:

მომგონებიხარ, მომგონებია
ლერწმად რხეული შენი სხეული,
ეს ვაგონებიც მონგოლებია
და სად მივყავართ შენი რჩეული,
შენ დარჩენილხარ მთების გადაღმა,
მიკვირს, რომ გული კიდევ მთელია.
გზამ დაგვაშორა, ტურფავ, ამაღამ
და ეს მანძილიც ჩვენი მტერია.
ალბათ ვიქნები სადგურში დროზე,
ჩაქრნენ ღამეში ჩრდილნი მთებისა,
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე?
გამხადე ღირსი ყურადღებისა.

(ჩიქოვანი, ,,მგზავრის სიმღერაში“,)

ლექსში ,,ბარათები“ პოეტმა მასში ოსტატურად გამოხატა გაცრუებული სიყვარულით გამოწვეული ტკივილი. ,,მე გთხოვე და დამიბრუნე ბარათები, ჩემი ფიქრით ნაკვები და სათუთები'', - ამგვარად დაწყებული ლირიკული დრამატიზმი მძაფრად გაიშალა ლექსში. გადაყრილ ბარათებს, რომლებიც ქცეულან იმედგაცრუებული ტრფობის სიმბოლოდ, თან გაჰყავთ წრფელი ოცნებები და სულში საღამოს ღარიბი მზე ჩამოიწრიტა:

ფურცლებს გაჰყვა ვარდები და ბალახები,
ერთ წერილში სოფლის მთვარეც კიაფებდა,
მეგობრები დავკარგე და ბარათები,
თუ ჩემს აპრილს ხიდზე ქარი მიაფრენდა.

ვერ შევავსე მოგონების კარადები,
მივხურე და კარებს ფიქრი მივალუქე,
დაიფშვნა და გაიფანტა ბარათები,
გაფრინდა თუ გზაზე გაქრა სიჭაბუკე.
მაინც ვეძებ და ძებნაში არ ვიღლები,
ვინ წაშალა ხმები, მკერდში ჩანადები,
და მგონია, როგორც ვაშლის ყვავილები,
შენს ეზოში დაფრინავენ ბარათები.

(ჩიქოვანი,1963:172)

ამრიგად, სიმონ ჩიქოვანის სატრფიალო პოეზიისათვის დამახასიათებელია ღრმა შინაგანი განცდა, გრძნობათა გამჟღავნების სიძუნწე, სიყვარულის იდუმალი არსის პოეტური წარმოსახვის უნარი.

თავი V

მხატვრული ოსტატობის ზოგიერთი საკითხი სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი სახელოსნო უაღრესად მდიდარია მხატვრული გამოსახვის მრავალფეროვანი იარაღებით, ხერხებით და საშუალებებით. მისმა პოეზიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე ქართული ლექსის რიტმიკის, მელოდიკისა და ინტონაციური თავისებურების განახლებაში.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების ძირითადი თავისებურება მდგომარეობს არა ჭვრეტით, აღმწერლობით მხატვრობაში, არამედ პოეტური წარმოსახვის უაღრესად მძაფრ, ,,დინამიკურ'' მანერაში. თავის საუკეთესო ლექსებში პოეტი თითქმის არასდროს არ იძლევა სინამდვილის მკვდრ, გაყინულ ასლებს, რადგანაც ასეთი მხატვრობა ორგანულად მიუღებელია მისი შემოქმედებითი ბუნებისა და ტემპერამენტისათვის. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ ამონარიდი ლექსიდან ,,მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“:

ღამდებოდა და ვარძიის თაღებს
მე ვუცქეროდი გაოცებული,
ჰგავდა ბექობზე გადმოსხმულ ტალღებს
მთიდან მომსკდარი ლოდთა კრებული.
უსინათლო და მრავალთვალება
კლდე დაგვცქეროდა, ოსტატო ჩემო,
საკვირველება, საკვირველება
 გადმომდგარიყო მდინარის ზემოთ...

(ჩიქოვანი, 1963: 296)

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების ერთ-ერთ ჟანრულ სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ მან მთელი თავისი პოეზია ციკლებად დაჰყო და მათში გააერთიანა მსგავს თემებზე შექმნილი ლექსები. მათში პოეტი იძლევა ერთი და იმავე თემის მრავალკუთხოვან წარმოსახვას. პოეტური ციკლების დამკვიდრებისა და გაბატონების საქმეში სიმონ ჩიქოვანის დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე, უდავოდ, დიდია. პოეტური ციკლის სპეციფიკამ, მისმა ფართო მასშტაბურმა გაშლამ ავტორს საშუალება მისცა

ლირიკული გმირის იდეური სახისათვის ისეთი დატვირთვა და სიღრმე მიენიჭებინა, რომელიც მას ეპიკური ნაწარმოების ტიპიურ სახესთან აახლოვებს. ეს თავისებურება სიმონ ჩიქოვანმა აქცია ლირიკული პოეზიის მასშტაბების ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად.

პოეტის კალამს ეკუთვნის არაერთი ცნობილი ნაწარმოები, რომელიც ჩვენ სწორედ თავისი ღრმად ორიგინალური მელოდიური ჟღერადობით გვხიბლავს. ასეთი ლექსებია, მაგალითად, ,,ძველი მცხეთა'', ,,ქართლის საღამოები'', ,,დავით გურამიშვილის გამოთხოვება და ომში წასვლა'' და, საერთოდ, ამ ციკლის ლექსთა უმრავლესობა. გავიხსენოთ რამდენიმე ადგილი ამ ლექსებიდან:

ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე,
მე ვარ მისი გაზაფხულის როშარი,
შევეთვისე გულით, დავიფურცლე,
შრიალებენ ვარდები და დროშანი.
უეცრად ომში მიხმეს,
ტყეში იყავ, სოკოს ჰკრეფდი, ვინანე.
მსხმოიარე ვენახი ხარ სიყრმის,
ვერ გიპოვე, სიმძიმილი ვინამე.
ამხედრების შემხვდა ჯერი,
დაიფარე თაფლისფერი ბაია,
დამიქროლე დარაია ჭრელი,
ბაღისფერი, როგორც ჭიამაია.

(ჩიქოვანი, 1965: 376)

პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით, სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია სწორედ მხატვრული წარმოსახვის ფორმები. ეს გარემოება არაერთგზის იქნა აღნიშნული პოეტის შემოქმდების მკვლევართა და შემფასებელთა მიერ. მის „მიერ შექმნილი სახეების უაღრესად მდიდარი სისტემა, მის მიერ დამუშავებული ორიგინალური მხატვრული ფორმები მნიშვნელოვანია არა

მხოლოდ თავისთავადი პოეტური ღირებულებით, მათში კიდევ უფრო ღირსშესანისნავია იმ ახალი საშუალებებისა და შესაძლებლობების მინიშნება, რომლებიც თანამედროვე ქართულ სიტყვას გააჩნია“(ასათიანი, 1983:208).

სიმონ ჩიქოვანის ლირიკისათვის სპეციფიკურია აგრეთვე სათქმელის მოქცევა შეკითხვის ფორმში. ეს ერთგვარი პოეტური ხერხია, რომელიც ნაწარმოების ექსპრესიულობას აძლიერებს:

1.მაინც რად დაქრის ცაცხვის ფურცელი,
ზღვა, როგორც ნეშო, რატომ შრიალებს?
2. რა დიდი დროა გათენებამდი
და ზამთრის ღამეს რა გაათენებს.
3.უჩინარი სიოს რწევა ვიგრძენ
თუ დაირწა ჩვენი ტურფა საქართველო.
4.არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების თუ სიმორცხვის ჟამი.
5.კახეთს ვით შერჩა ეს სილამაზე,
მე ვინ მესროლა ეს აზარფეშა?

პოეტისთვის არ იყო უცხო არც ხალხურ ინტონაციებზე დამყარებული ლექსები, თუმცა ეს არცაა გასაკვირი, რადგან თავად „ლირიკული სიმღერა, როგორც კ. ბიუხერი მიუთითებს, აღმოცენებულია ხალხური საცეკვაო სიმღერისაგან, რომელიც თავის მხრივ შრომის საფუძველზეა შექმნილი. მოცეკვავის სხეულის მოძრაობა და მუსიკალური ინსტრუმენტების აკომპანიმენტი ქმნიან გარკვეულ რიტმს, რომელსაც შემდეგ ერწყმის სიმღერის იმპროვიზაციული ტექნიკა“ (ხინთიბიძე, 2001:445). სიმონ ჩიქოვანის სარგებლობს ხალხური პოეზიის რიტმიკით.ამის ნათელი მაგალიათია შემდეგი სტროფი:

გელოდი ბოლოს ეზოზე
გადმოვდექ, წინ კი ჭალაა,
თვალმა სანამდის გიმზიროს,

ლოდინი ხათაბალაა.

შემოქმედება ინტერესს აღძრავს მაშინ, როცა იგი უშუალო და ახალია. ამ თვისებათა დაკარგვა სიყალბეს იწვევს . გარდა ამისა, ეპიგონურს ხდის პოეზიას. ამ ჭეშმარიტებას ხატოვნად გამოთქვამს პოეტი:

მინდა უშუალო ოცნების აფრით
ვიპოვო გრძნობით ახალი მხარე...
გადამღერება წმინდა ხმას ღუპავს,
ვეღარ გამოთქვას სიმართლე წრფელი,
შემოქმედებას სიახლე უყვარს
ცისარტყელის და ქუხილის ფერი.

(ჩიქოვანი, 1963:97)

ნამდვილი შემოქმედება პიროვნული თავისუფლებიდან მოდის, მისი ინდივიდუალობის გამოვლინებაა. ადამიანი შემოქმედებაში მშვენიერების ფორმით განაგრძობს ცხოვრებას. სიმონ ჩიქოვანის აზრით, „შემოქმედის სულს უნდა აჩნდეს ცხოვრების ხნული“, რომ შესძლოს „სულში ჯეჯილად გარდაქმნას მარცვალი“. მისი ლირიკული მემკვიდრეობა ამართლებს იმ მოსაზრებას, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი მთლიანად ერწყმის მშვენიერებას, როგორც უმაღლეს ფენომენს და ქმნის ახალ ესთეტიკურ ღირებულებას.

სიმონ ჩიქოვანის ლექსებში შეინიშნება ერთი წყება თითქოს მოულოდნელი სიტყვებისა, გამოთქმებისა და განწყობილებებისა, რომელთა მთლიანობაში წვდომა უჭირს მკითხველს, რაკი ისინი ძნელად ეგუებიან ჩვენს წარმოდგენას პოეტზე, მისი პოეზიის იმ ხასიათსა და სურათზე, რომელსაც მიჩვეულნი ვართ.

ლექსის სუბიექტი სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში ზოგჯერ წარმოდგენილია ეპიტეთებით: მ ს ხ ე მ ი (,,ჩემი წყლულია მწვანე ბივრიტი, ბეჭდვის თვალით ვინახავ, მსხემი''), მ წ ი რ ი (,,ვეთხოვებოდი ცხოვრებას მწირი''), წ მ ი ნ დ ა ნ ი (,,მე წმინდანივით სიცოცხლე დავთმე''), ტ ა ძ ა რ ი (,,მეც ტაძარი ვარ...''). ამავე და სხვა ლექსებში

ნახსენებია სხვადასხვა კონტექსტში მრავალგზის მოხმობილი ,,კურთხევა'' და შესაბამისი ტონალობის სიტყვები: აღსავლის კარი, მისტერია, ჯვარცმული, მირქმა, აპოკალიპსი, (აღსანიშნავია შემდეგი:ბოლო გამოცემებში პოეტმა შეცვალა ზოგიერთი ამ სიტყვის კონტექსტი, როგორცა ჩანს, იმ მიზნით, რომ გაენელებინა მათი რელიგიური ნაჯერობა...)

რა თქმა უნდა, ამ სიტყვებს პოეტი არ მოიხმობს პირველადი მნიშვნელობით, კონტექსტში მათი მნიშვნელობა დიდად შეზღუდულია, მაგალითად, ,,კურთხევა'' დღევანდელი სალაპარაკო მნიშვნელობით იხმარება და სულაც არ ნიშნავს ,,ლოცვის მიღებას ან მოახლებას ღვთისას'' (საბა), და მაინც, მიუხედავად ამისა, ცხადი ხდება, რომ ამ სიტყვებსა და გამოთქმებს გარკვეული ფუნქცია აკისრიათ, ფუნქცია, რომელიც სიღრმისეული მნიშვნელობის სულიერ მიმოქცევებზე გვიმახვილებს ყურადღებას. თუ მ ს ხ ე მ ი საბას განმარტებით:,, ესე არს რომელი უმკვიდროთა და სხვათა დგილთა გამოიზრდებოდეს და ადრე წარმავალ იყოს''. - განზრდიდეს'', და სწორედ ეს ,,სულის ზრდა'' არის არსებითი პოეტისათვის.

სიმონ ჩიქოვანის პოეტური ლექსიკისათვის უაღრესად ნიშანდობლივი ასეთნაირი სიტყვებისა თუ გამოთქმებისაგან იქსელება განწყობილებათა უჩინარი ქსელი (ფაქტიურად, ამ უკანასკნელთა ფარული ვიბრირება განსაზღვრავს პოეტურ ლექსიკონს), რომელიც მკითხველს თანდათანობით და შეუმჩნევლად აყენებს შემოქმედის იდუმალი ფიქრებისა და განწყობილებებისაკენ მიმავალ ბილიკზე.

30-იანი წლების დასაწყისში სიმონ ჩიქოვანის ლექსებში კრისტალდება პოეტური პერცეპციის მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი სტრუქტურა, რომელივ შესაბამის სიტყვიერ გარემოცვასა და შესაბამის ინტონაციებს გულისხმობს...

თოვლი გადნა და ხეებმა მარტში
თვალების მსგავსად კვირტები გახსნეს,
მზე გაძლიერდა, ბუნებამ მაშინ
მოჰგვრა სითბო გათოშილ სახსრებს.
    როგორც შანდალი დადგა ეზოში

ბინდი და შუქი ავარდა შინდის,

მე მომაგონდა ხმა ორფეოსის

და ჰომეროსის თვალებში ბინდი.

მე მომაგონდა ბრმა იადონი,

და ყვავილები სულში აღზრდილი,

მთაწმინდელი და ძველი ათონი,

ცა, ოტარიდი და ავთანდილი.

ყველა, ვინც ნახა ეს გაზაფხული

მოსრიალე და გაშლილი მწვანედ,

მე შევინახე ფიქრში ნახული

და ოთახიდან გამოველ გარეთ.

თითქოს ცის მიღმა იწვა ავდარი

და მივეყრდენი სიამით კედელს,

ვთქვი: გაზაფხული მაინც ამგვარი,

მე არ მინახავს ბავშვობის შემდეგ.

(ჩიქოვანი, 1963:156)

სიმონ ჩიქოვანის პოეტურ სახეებს თავისი მკაფიოდ ინდივიდუალიზებული ხასიათი აქვთ. მათი გამოცნობა ზოგჯერ ადვილია კონტექსტის გარეშეც, ზოგიერთი გრეგნული ნიშნის მიხედვით. დამახასიათებელია, მაგალითად, რომ პოეტი განსაკუთრებით ხშირად მიმართავს კავშირ ,,თუ''-ზე აგებულ მეტაფორებს და შედარებებს, რომლებიც ჩვეულებრივ ორმაგ, სამმაგ დ კიდევ უფრო რთულ სახეებს ქმნიან.

მკვლევარ ვლადიმერ ჯიბუტის დაკვირვებით, „პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ს. ჩიქოვანის პოეტურ ქმნილებებში გონება სჭარბობს გრძნობას. ამით იმის თქმა როდი გვსურს, თითქოს ს. ჩიქოვანის დინჯად მოფიქრებულ ლექსებს არ აშუქებდეს დიდი გულის ნათელი გრძნობა. ამით ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ს. ჩიქოვანის

პოეზია უმთავრესად აზრის პოეზიაა. მისი ინტელექტუალერად მძაფრი ლირიკა ამის მკაფიო მაჩვენებელია“(ჯიბუტი, 1975:130).

სიმონ ჩიქოვანის პოეზია გამოირჩევა სახეების მრავალფეროვნებით. მისთვის, როგორც მეტაფორული აზროვნების პოეტისათვის, დამახასიათებელია სურათოვნების სიუხვე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ლექსების თითქმის ყოველი სტრიქონი მხატვრულ სახეს წარმოადგენს . ეს სახეები ავსებენ ერთმანეთს და პოეტის მიერ გააზრებულ საგნისა თუ მოვლენის სურათს მკითხველისათვის ხელშესახებს ხდიან. თუმცა სახე სიმონ ჩიქოვანისთვის თვითმიზანი როდია. იგი პოეტის იდეურ-მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი კომპონენტია, მისი შემოქმედებითი პროცესის ორგანული ნაწილია. ს. ჩიქოვანის ახალი ცხოვრების სიდიადისა და მონუმენტურობის გამოსახატავად არ ახასიათებს დეკლარაციულობა და რიტორიკული პათეტიკა. მაშინაც კი, როდესაც პოეტი მწიგნობრულ სიტყვას ხმარობს, ამ სიტყვას ხალხურობის ელფერს აძლევს და სურათს ნათელს ხდის:

შენი ოცნება და გაელვება,
გამოხატული ქვის მასალაში.

სიმონ ჩიქოვანმა შექმნა ახალი პოეტური მეტრი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სტროფის პირველი და მესამე სტრიქონები მოკლეა, მეორე და მეოთხე კი გრძელი. ეს წყობა უკვე დამკვიდრდა ჩვენს პოეზიაში.

აივანზე გაგვიშალა სუფრა
და სუფრაზე ჩამოლაგდა ხელადები,
შნოიანად დაფაცურდა ტურფა,
პატარძალო, ცხადში ხარ, თუ მელნდები?

პოეტური ასოციაციების შესამჩნევი სიჭარბე, რასაც პოეტი ნივთიერი სამყაროს მხატვრული წარმოსახვისას მიმართავს, სწორედ ელფერების სიმდიდრისა და სისრულის ძიებით აიხსნება.

პოეტმა, ერთი მხრივ, წინა პლანზე წამოწია ქართულ პოეტურ მრავალხმიანობაში ნაკლებად გამოყენებული ფორმები, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ შემოიტანა ახალი რიტმული და მეტრული ერთეულები. მიუხედავად ამგვარი ინტონაციური სიახლეების ძიებისა, სიმონ ჩიქოვანი ყველაზე ხშირად იყენებს ტრადიციული ფორმით - ათმარცვლიანი საზომით შექმნილ მეტრულ ერთეულებს. ამავდროულად სიმონ ჩიქოვანი ხშირად არღვევს რიტმს და თავისუფალი ლექსისაკენ იხრება, ზოგჯერ უარყოფილია რითმაც. რიტმის გამრავალფეროვნებისა და თვისებური ინტონაციის შექმნის მიზნით ავტორი ხშირად მიმართავს ათმარცვლიანი ზომით დაწერილ ლექსში მარცვალდაკლებული სტრიქონის ხმარებას, რითაც ხდება მუსიკალური ჰარმონიის თავისებური განახლება: ,,ბიბინებს მდელო, შრიალებს ტყე, სახლი მოხრილა როგორც ნიბლია, ორბსაც არა ყავს არც ერთი ტყვე და ბუნდღლი ფარავს ციურ ბიბლიას''.

სიმონ ჩიქოვანის პოეტური სახეები, კლასიკური ლირიკის ნიმუშებისაგან განსხვავებით, ხშირად მოკლებულნი არიან ფერთა მკაცრ სისადავეს და ჰარმონიულობას, ვინაიდან პოეტის მთავარი მიზანია კონტრასტული საღებავების შეზავება და სწორედ ამ გზით მდიდარი ელფერებისა და განწყობილების მიღწევა.

ამ ლექსის ღერძი მოგონებაა, საჩინოყოფა ,,ფიქრში ნახულისა''. ეს ფიქრში ნახვა „უაღრესად ნიშანდობლივია პოეტისათვის და მის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს ,,მასალის'' დაურვების გზაზე. აწმყოს განცდაში შთაწრეტილი ნამყო პოეტის ხილვაში ,,მწიფდება“: ,,მოგონებაც კი ასაკში შედის და მოწიფული სხვაგვარად მთუთქავს...'' ეს მოგონებები, როგორც პოეტი იტყვის, ჩვენთან ერთად იზრდებიან, ხოლო ზოგჯერ მათ ჩვენ თვითონვე ვზრდით. და აქ, მე ვფიქრობ, სიმონ ჩიქოვანი უნდა იზიარებდეს ვალერიან გაფრინდაშვილის პოეტური ხილვისათვის დამახასიათებელ და შინაგანად მისთვის მახლობელ თვალსაზრისს: ,,აქვს მოგონებებს სიმწიფის ხანა, როცა ისინი ატკბობენ ცქერას'' ან: ,,ვრწყავ მოგონებებს, როგორც მებაღე, დიახ, ეს არის ჩემი მამული'' (ლექსი ,,მებაღე...''). ეს თანხვედრა საცნაურია, რადგან ორივე პოეტს აახლოებს

ერთის მხრივ, ინტროსპექციული გეზით მომართული შთაგონება, ხოლო მეორეს მხრივ, ინტელექტუალიზმით აღბეჭდილი ხედვა.

სიმონ ჩიქოვანისათვის დამახასიათებელია ფერადოვანი ხილვები. მისი სტრიქონი ,,ხმა მოხატულია'', მისი სახეები ფერწერულია: ,,ფეხებმორთხმული ასი ასკილის, ასი ზაფრანის მწვავდა იერი'', ან: ,,და მომეჩვენა წითელ-ყვითელი ტყეში შეჭრილი ცხენების რემა'' , ან: ,,ფოთლებში თრთოდა უფლის თითები და ჩირაღდნებში ჩანდა გომბორი...'' თვალისმომჭრელი და დამაბრმავებელი სახეებია....

სიმონ ჩიქოვანის პოეტური სიტყვა ზოგჯერ მოკლებულია ფორმის გარეგნულ სინატიფეს. ,,შენ მძიმე ხარ ჩემი ლექსივით'', - წერს პოეტი ერთ თავის ადრინდელ ლექსში. სწორედ ამის გამო იგი გულგრილად ტოვებს იმ კატეგორიის მკითხველს, რომელსაც პოეზიაში მხოლოდ ეს თვისებები იტაცებს.მხატვრული დეტალის მაქსიმალური დატვირთვა პოეტური შინაარსით, სივრცისა თუ დროის მცირე მონაკვეთზე დიდისა და ზოგადის მოთავსება წარმოადგენს სიმონ ჩიქოვანის ოსტატობის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას. ამგვარ პრინციპზე არის აგებული, კერძოდ, მისი ლექსები ,,ძველი საათი'', ,,ნიჟარის საფერფლე'' და სხვ. აქ ჩვეულებრივი, ყოფითი სინამდვილის შეგნებულად არჩეულ ვიწრო ჩარჩოებში მოქცეულია შინაგანად მრავალმხრივი და ღრმა პოეტური ჩანაფიქრი.

სიმონ ჩიქოვანის ლირიკის დინჯ და მონუმენტურ ტონს აზრობრივ-ემოციური წარმოსახვის სირთულე და მრავალპანიანობა განაპირობებს. პოეტი შემოქმედების ხასიათს შემდეგნაირად განსაზღვრავდა: ,,შემოქმედებას სირთულე უყვარს, გასაგებად და სიმძაფრით თქმული"; ,,შემოქმედებას სირთულე უყვარს ცისარტყელას და ქუხილის ფერი".

ითვალისწინებდა რა თავისი პოეზიის სპეციფიკას, სიმონ ჩიქოვანი აცხადებდა:

,,ხმების ოსტატი არა ვარ ვიცი,
ხმა მიწყდება თუ მიწივის ყური,
მე მხოლოდ ხილულ მშვენებით ვიწვი

და ბაღს მიაგავს პატარა გული“.

შემოქმედების აქტი მისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ სინამდვილიდან უშუალოდ აღებული საგნებისა და სურათების პოეტურ ამეტყველებას, არამედ პოეზიის გარდუვალ, მარად უჭკნობ სახეებთან თავისებურ შემოქმედებით შეხმიანებასაც.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროს ჩვენს მწერლობაში ხშირად დავობენ ე.წ. ,,სირთულისა'' და ,,სისადავის'' პრობლემაზე. არსებობს აზრი, რომ ის ახალგაზრდა პოეტები, რომლებიც დღეს ქართული ლექსის ,,ტრადიციული'' ფორმების დაძლევას ცდილობენ და შედარებით რთული პოეტური სახეებისა და ასოციაციებისაკენ იჩენენ მიდრეკილებას, ერთგვარ შემოქმედებით ნათესაობაში იმყოფებიან სიმონ ჩიქოვანის პოეზიასთან.

მართლაც, სიმონ ჩიქოვანი ერთ-ერთი განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტთა იმ პლეადისა, რომელთაც კლასიკური პოეტიკის გარკვეულ ფორმები განავითარეს და გამდიდრეს ახალი საშუალებებით. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოეტის არა მხოლოდ ადრინდელი ფორმალური ძიებები, არამედ ის გაცილებით უფრო სერიოზული ხასიათის ძვრები, რომლებიც მის სიმწიფისდროინდელ ლექსებში შეინიშნება. ,,დრომ დაგვავალა, არამარტივი გაგვეხსნა სული მზით და ჩრდილებით'' , - წერს სიმონ ჩიქოვანი უშანგი ჩხეიძისადმი მიძღვნილ ლექსში და როგორც ეს ლექსს, ისე პოეტის არაერთი სხვა ნაწარმოებიც რთული და ტევადი პოეტური ფორმებით აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ.

ამრიგად, ქართულ მწერლობაში სიმონ ჩიქოვანმა შემოიტანა ახალი პოეტური თრთოლვვა, ახალი სიღრმე და ტევადობა აღმოუჩინა ქართულ სიტყვას. ის იყო ბრწყინვალე ფერწერული სახეების აღიარებული ოსტატი ჩვენი საუკუნის პოეზიაში.

ძირითადი დასკვნები

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით საგულისხმო წვლილი შეიტანა დახვეწილი პოეტური ხელწერის შემოქმედმა სიმონ ჩიქოვანმა. მისი პოეზია სწორხაზობრივი გაღრმავებაა ქართული ლექსის განვითარების კლასიკური ტრადიციებისა. პოეტის შემოქმედება ყურადღებას იქცევს როგორც შინაასობრივი სამყაროს მრავალფეროვნებითა და პრობლემატურობით, ასევე პოეტური ოსტატობის თვალსაზრისითაც.

როგორც ცნობილია, სიმონ ჩიქოვანის პოეზია ქართული მოდერნიზმის წიაღში აღმოცენდა. მაგრამ აღსანიშნავია. რომ მისი შემოქმედების მთავარ პათოსს იმთავითვე დეკადენტური პოეტიკის დაძლევა და უარყოდა წარმოადგენდა. ამ ტენდენციამ,

რომელიც ადრე არსებითად ფორმალურ ხასიათს ატარებდა, თანდათან პრინციპული მსოფლმხედველობრივი და შემოქმედებითი მიმათულება მიიღო. როცა თანამედროვე ქართული ლექსის რთულ და თავისთავად ბუნებაზე საუბრობენ და მის სტილურ თავისებურებებზე მიუთითებენ, ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში აქცევენ სიმონ ჩიქოვანის ლირიკას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანის პოეზიამ თვალსაჩინოდ შეძლო იმ საუკეთესო მისწრაფებათა და ნიშანთვისებათა ტიპიური დატევა-გაღრმავება, რაც ქართული კლასიკური ლექსის თანამედროვე ტრადიციებს ქმნის.

სიმონ ჩიქოვანი ქართული ფუტურიზმის თავკაცი და ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო ინიციატივით უხდებოდა საქმიანობა ამ ლიტერატურულ ჯგუფს, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც სიმონ ჩიქოვანს, ასევე ,,მემარცხენეთა'' სხვა დანარჩენ წარმომადგენლებს, თავიანთი შთაგონება მხოლოდ და მხოლოდ ფუტურისტული პრინციპებით არ შემოუფარგლავთ.

ლექსების ციკლში ,,ორკესტრული ლექსალობა“ ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა მწერლის გადახრა ფუტურიზმისაკენ. ამ ციკლის საერთო დამახასიათებელი თვისებაა ახალი სიტყვებისა და ჟღერადი ბგერითი შესიტყვებების ძიება, ორიგინალური რიტმული კონსტრუქციების შექმნის ცდა, თვითმიზნური ესთეტიკის პრინციპებით შექმნილი სახეებისკენ სწრაფვა, ტრადიციული პოეტური ფორმების მსხვრევა, მოულოდნელ, გარეგნულ ეფექტებზე დამყარებული ასოციაციური ხილვების უსისტემო და ბუნდოვანი წარმოსახვა.

როგორც ფუტურისტ პოეტს, სიმონ ჩიქოვანს უნდა გაელაშქრა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ. ზემოთაც ვნახეთ, წარსულის უარყოფა ფუტურისტების მიერ ჩამოყალიბებული მანიფესტის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამ თეორიულ საპროგრამო მოთხოვნას პრაქტიკული ხორცშესხმა უნდა ეპოვნა ფუტურისტების მხატვრულ შემოქმედებაშიც. მაგრამ საკმარისია, გადავავლოთ თვალი ს. ჩიქოვანის ადრინდელ ლირიკას, რომ დავინახოთ ის სისხლხორცეული და ორგანული კავშირი წარსულთან, რომლითაც საზრდოობს პოეტის შთაგონება. პოეტმა პირდაპირ

აღიარა მისი განუყოფელი კავშირი წარსულის ლიტერატურულ ტრადიციებთან და თავისი თავი გურამიშვილის, ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შთამომავლად მიიჩნია.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სამშობლოს თემას. პოეტს უსაზღვროდ უყვარს თავისი ქვეყანა, მშობლიური ენა და კულტურა, ეს სავსებით ბუნებრივია. მკვლევარ ათანდილ ნიკოლეიშვილს სამართლიანად მიაჩნია, რომ „ყველა საუკეთესო ტენდენციამ და თვისებამ, რომელიც ს. ჩიქოვანს, როგორც შემოქმედს, ახასიათებს, პირველ რიგში თავი მოიყარა პატრიოტულ თემაზე დაწერილ ლექსებში. მათში ავტორმა გამოხატა ფიქრები. მამულის აწმყოსა და წარსულზე. პოეტმა სამშობლო რწმენად აქცია, ეს რწმენა არის მისი სიცოცხლის აზრის განმსაზღვრელი ძალა“.

სიმონ ჩიქოვანის მხატვრული ქმნილებები მკითხველს უდიდეს ცოდნას აწვდის ჩვენი ერის თავისებურებაზე და ამდიდრებს მის შემეცნებას საქართველოს ზღაპრული ფერებითა და ხმებით. სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მოტივი ქართველი ხალხის გმირული ისტორიის მხატვრული გარდასახვაა. პოეტის ლირიკაში წარსული მოჩანს არა როგორც ჩვენს გარეთ არსებული გარდასული ცხოვრება, არამედ როგორც ჩვენს სისხლსა და ხორცში განუყოფლად ჩაკირული ტკივილი.

სიმონ ჩიქოვანის კალამს ეკუთვნის არაერთი ლექსი, რომლებიც ცოცხლად და ხელშესახებად წარმოგვისახავენ ძველი საქართველოს სინამდვილეს და წარსულის კოლორიტული სახეებს, აქ იგრძნობა ისტორიის ცხოველი განცდა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან სულიერ ტრადიციებთან უშუალო შეხმიანება. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოეტის შემოქმედებაში ომისდროინდელ ნაწარმოებებს.

სიმონ ჩიქოვანის ლირიკის საუკეთესო ტენდენციებმა თავისებური განვითარება და გაღრმავება ჰპოვეს ლექსების ციკლში - ,,განჯის დღიური“. მასში ავტორმა მძაფრი შთაგონებით წარმოსახა ბარათაშვილის სულიერი ცხოვრების ვნებათაღელვა აღსასრულის ჟამს. ეს არის ლირიკული დღიურები ეპოქისაგან გარიყული გენიოსისა, რომელმაც უცხო მიწაზე, ყველასგან მიტოვებულმა, დალია სული.

არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, რომელსაც სიმონ ჩიქოვანის ლირიკაში ასახვა არ ეპოვოს თავისი წარსულითა და დღევანდელობით. ციკლებად დაყოფილი ეს ლექსები, ერთმანეთთან თემატურად და იდეურად მჭიდროდ დაკავშირებულნი, ამა თუ იმ გეოგრაფიული მხარის დასრულებულ პოეტურ სურათს იძლევიან.

ცალკე განხილვას საჭიროებს სიყვარულის თემაზე შექმნილ ლექსები, რომელთა დიდი ნაწილი თავმოყრილია ციკლში - ,,თანდაყოლილი გრძნობები''. ამ ლექსებისთვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ღრმა შინაგანი ვნებიანობა, გრძნობათა გამჟღავნების სიძუნწე, სიყვარულის იდუმალი არსის პოეტური წარმოსახვის უნარი. ეს ლექსები უფრო მეტად ადრე განცდილი ემოციების სევდიანი მოგონებებია, ფიქრითა და განსჯით დატვირთული ნაგვიანევი გამოძახილია გავლილი მღელვარებისა. საყურადღებოა, რომ ს. ჩიქოვანის სატრფიალო ლირიკაში სიყვარული იშვიათად წამოგვიდგება უეცარი აღტაცებისა თუ თავდავიწყების სახით. ეს არის ,,ჭკვიანი'' სიყვარული, მთელი შინაგანი გამოცდილებით ,,გაწვრთნილი'' და მომწიფებული, რომელიც უმაღლესი ბედნიერების წუთებშიც კი თავისებური სევდანარევი მოწიწებისა და კდემამოსილების ელფერს ატარებს.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი სახელოსნო უაღრესად მდიდარია მხატვრული გამოსახვის მრავალფეროვანი იარაღებით, ხერხებით და საშუალებებით. მისმა პოეზიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე ქართული ლექსის რიტმიკის, მელოდიკისა და ინტონაციური თავისებურების განახლებაში.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების ძირითადი თავისებურება მდგომარეობს არა ჭვრეტით, აღმწერლობით მხატვრობაში, არამედ პოეტური წარმოსახვის უაღრესად მძაფრ, ,,დინამიკურ'' მანერაში. თავის საუკეთესო ლექსებში პოეტი თითქმის არასდროს არ იძლევა სინამდვილის მკვდრ, გაყინულ ასლებს, რადგანაც ასეთი მხატვრობა ორგანულად მიუღებელია მისი შემოქმედებითი ბუნებისა და ტემპერამენტისათვის.

სიმონ ჩიქოვანი ერთ-ერთი განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტთა იმ პლეადისა, რომელთაც კლასიკური პოეტიკის გარკვეულ ფორმები განავითარეს და გამდიდრეს ახალი საშუალებებით. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოეტის არა მხოლოდ ადრინდელი ფორმალური ძიებები, არამედ ის გაცილებით უფრო სერიოზული ხასიათის ძვრები, რომლებიც მის სიმწიფისდროინდელ ლექსებში შეინიშნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე ზ., „ახალი ადამიანი - სიმონ ჩიქოვანის ლირიკის გმირი“, ადამიანის კონცეფცია თანამედროვე ქართულ ლირიკაში, , გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1975

2. ავალიანი ლ., XX საუკუნის 10-20-იანი ქართული სალიტერატურო დაჯგუფებები, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტ.V.თბ.,2009

3. ასათიანი ლ., ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თბ., 1955

4. ასათიანი გ., სიმონ ჩიქოვანი, თანამდევი სულები, გამომც.,,მერანი'', თბ.,19838.

5. არველაძე ს., პოეზია დათანამედროვეობა, გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1966

6. ბარამიძე ა., ახლო წარსულიდან, თბ.1983

7. ბუაჩიძე ბ., კრიტიკული წერილების კრებული, თბ., 1960

8. ბუაჩიძე ბ., პოეტის დაბადება, გაზ. ,,სიტყვა და საქმე'' 1935. N 11;

9.კვერენჩხილაძე რ., ფუტურისტ-მემარცხენეები, XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2008

10. მარგველაშვილი გ., სიტყვა და საუკუნე, თბ., 1960

11. მერკვილაძე გ., თანამედროვე ლირიკის ნოვატორული ხასიათი, მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1971

12. მისივე, სიმონ ჩიქოვანი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტ.V.თბ.,2009

13. მისივე, სიმონ ჩიქოვანი, XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, III, გამომც. „მერანი“, თბ., 2000

14. მისივე, სიმონ ჩიქოვანის ლირიკა, თბილისის უნივერსიტეტეის გამომცემლობა, თბ. 1979

15. მისივე, სოფლის სასწორზე აწონილი სიტყვა, გამომც. ,,მერანი'', თბ.,1970

16. მისივე, წერილები, თბ., 1972

17. ნაკუდაშვილი ნ.,ფუტურიზმი, ლიტერატურული მიმდინარეობები,თბ.,

18. ნიკოლეიშვილი ა., სიმონ ჩიქოვანი, XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი2002

19. ნიჟარაძე მ., კიკვიძე ზ., ლიტერატურათმცოდნეობის პროპედევტიკა, ქუთაისი 2007

20. ჩიქოვანი ს., თხზულებანი, ტომი I, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1963

21. ჩიქოვანი ს., თხზულებანი, ტომი II, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965

22. ჩხენკელი თ., „მწვანე ბივრიტი“, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტ.V.თბ.,2009

23. ჩიქოვანი ს., მხოლოდ ლექსები, თბ., 1930

24. ჩიქოვანი ს., სამ ტომად, ტომი III, თბ., 1967

25. ჩიქოვანი ს., თხზულებანი, ტომი I, თბ., 1963

26 ჩიქოვანი ს., თხზულებანი, ტომი II, თბ., 1965

27. ჩიქოვანი ს., თხზულებანი, ტომი III, თბ., 1967

28. ჩიქოვანი ს., ლექსებე და პოემიბი, წიგნი I, თბ., 1933

29. ხინთიბიძე ა., ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 2001

30. ჯაფარიძე რ.,ერთი წელი,აწონილი სიტყვა, გამომც. ,,მერანი'', თბ.,1970

31. ჯიბუტი ბ., სიმონ ჩიქოვანი, თანამედროვე ქართველი მწერლები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975

32. ჩიქოვანი, https://poetry.ge